ვლადისლავ სტ. რეიმონტი
Władisław St. Reymont

წერილები ქალბატონს

(ვანდა ტოჩილოვსკას)

LISTY
DO WANDY TOCZYLOWSKIEJ

პოლონურიდან თარგმნა
ამბროსი გრიშიკაშვილმა

Przetłumaczyl z jezyka polskiego
Ambrosi Griszikaszwili

გამომცემლობა „ინტელექტი“
თბილისი
1998

პოლონელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ვლადისლავ სტ. რეიმონტის (1867-1925) შემოქმედება დღემდე არ თარგმნილა ქართულ ენაზე. ამ წიგნში თავმოყრილია მწერლის სასიყვარულო ბარათები ვანდა ტოჩილოვსკასადმი. წერილები გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმითა და უნაზესი ლირიზმით. ვფიქრობთ, რომანტიული ბუნების ქართველი მკითხველი გატაცებით წაკითხავს რეიმონტის წინამდებარე წერილებს.

რედაქტორ- გამომცემელი
კახმეგ კუდავა

მთარგმნელის წინათქმა

ვლადისლავ რეიმონტი (1867–1925) მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის პოლონელი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის რომანები — „კომედიანტები", „ფერმენტები", „აღთქმული ქვეყანა" და სხვ. რეიმონტის შემოქმედების მწვერვალს, მის გენიის სიმღერას, რომანი „გლეხები" წარმოადგენს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს რომანი არა მხოლოდ პოლონური ლიტერატურის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის შედევრია; მწერალი 1924 წელს ნობელის პრემიით დააჯილდოვეს.

აღნიშნული წერილების გარდა ვ. რეიმონტს დაწერილი აქვს შესანიშნავი ლირიკულ-ფილოსოფიური ხასიათის წერილები, რომელთა ნაწილის ადრესატია მწერლის უკანასკნელი სიყვარული — ვანდა ტოჩილოვსკა. ამ წერილებს ავტორი თავის შეყვარებულს 1907–1912 წლებში უგზავნიდა. რეიმონტის სიყვარული ვანდასადმი ისე ძლიერი იყო, რომ მწერალს სურდა გაჰყროდა ცოლს. ემუდარებოდა ვანდასაც, რომ განშორებოდა ქმარს და მას გაყოლოდა ცოლად, საკუთრად მიეჩნია მისი შვილები... მაგრამ ამ განზრახვას, ისევე როგორც მწერლის არაერთ სხვა განზრახვასაც, განხორციელება არ ეწერა. ეს სიყვარული ბოლომდე პლატონურ გრძნობად დარჩა და, ვანდას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ მოშორებია ცას და არ დაშვებულა მიწაზე".

რეიმონტის ვანდასადმი გაგზავნილი წერილები ლექსებივით იკითხება. ისინი ძლიერ ჩამოგავს ბალზაკის, მოპასანის, ეგზუპერის, ბარათაშვილის, ლევ ტოლსტოის, ილიას წერილებს...

„მხოლოდ სულთა ნათესაობას ვანაცვალებდი მთელს ჩემს სიცოცხლეს" — ამბობს მწერალი ერთ-ერთ ადრეულ სასიყვარულო ბარათში. „ადრეულს" ვამბობთ იმიტომ, რომ რეიმონტმა თავის სიცოცხლეში არაერთხელ განიცადა სიყვარულის მძაფრი გრძნობა. თუმცა ეს

უკანასკნელი — ვანდასადმი სიყვარული, სულ სხვა იყო, ყველასაგან გამორჩეული. „ქალისადმი ასეთი წერილები არასოდეს მიმიწერია“ — აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში. მოგვიანებით მწერალი ამ სიყვარულს იხსენებს, როგორც „ცხოვრების უკანასკნელ სიზმარს“.

ამ წერილების დაწერიდან მრავალი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში წერის სტილიც შეცვალა და აზრის გამოხატვის მანერაც, მაგრამ რეიმონტის წერილები იმდენ მგზნებარებას, გულახდილობასა და ადამიანურ სითბოს შეიცავენ, ისე ძალუმად არიან დამუხტული, რომ დღესაც გვაღელვებს.

„შეყვარებულისადმი მიძღვნილი წერილები მონოლოგებს ემსგავსებიან“ — წერს ერთგან მწერალი. და მართლაც, ვანდასადმი მიძღვნილ წერილებში რეიმონტი შეყვარებულთან განშორების მიზეზებსაც იკვლევს და დანაშაულის მთელ სიმძიმეს მხოლოდ საკუთარ თავს, ანდა გარემომცველ სამყაროს აბრალებს და არავითარ შემთხვევაში საყვარელ არსებას. ამგვარი ღრმა ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანს არ ხელეწიფება ზეგარდმო მოვლენების შეცვლა...

ორიოდე სიტყვა ამ წერილების ბედის შესახებაც; მიუხედავად იმისა, რომ ვანდა ტოჩილოვსკა გულმოდგინედ ცდილობდა გამოეცა რეიმონტის წერილები, რათა ხელმისაწვდომი გაეხადა ისინი თანამედროვეობისათვის, მან ეს ვერ შეძლო. 1944 წელს ფერფლად ქცეული ვარშავიდან ვანდა ტოჩილოვსკამ წერილები ემიგრაციაში წაიღო და იქ სათუთად ინახავდა. სიკვდილის წინ, 1960 წელს, მონტევიდეოში, ქალბატონმა ვანდამ წერილები თავის ვაჟიშვილებს გადასცა. 1979 წელს თეოდორ ტოჩილოვსკიმ ისინი მშობლიურ პოლონეთში დააბრუნა მათი დაბეჭდვის ნებართვასთან ერთად. 1981 წელს წერილები დაამუშავა და გამოსცა ბარბარა კოცმა.

ა. გრიშიკაშვილი

პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

1. ᲙᲠᲐᲙᲝᲕᲘ, 13, 1907 წ.

საუკუნეებივით უსასრულოდ გრძელდებიან დღეები, მთვრალი ვარ მოგონებებით, მთვრალი სამარადჟამოდ. ო, ჩემო გულითადო მეგობარო, ჩემო ძვირფასო. გიგონებ შენ და მწველი, გამოუქმელი სევდა მეუფლება. მოსვენება დავკარგე და აღარც საშველი სჩანს. ღამით საოცარ სიზმრებს ვხედავ, ხოლო დღისით სევდიან ყოფას არ უჩანს ბოლო. ეს ჩემი აფორიაქებული სულის კივილია. იქნება ხვალვე, ან ცოტა მოგვიანებით ამ ტკივილებსაც რამე მოვუხერხო, მაგრამ დღეს გულჯავრიანი და აღელვებული ვარ. ჩემი წასვლა სიკვდილის შესახვედრად წასვლასა ჰგავს, რადგან ვიგრძენი, რაც დავკარგე. შენი ცრემლებიც დავინახე, გულზე მეცემოდნენ და გულ-ღვიძლს მიშანთავდნენ, მაგრამ მშველოდნენ და მაიმედებდნენ კიდეც.

ო, როგორ ცუდადა ვარ, როგორ ცუდად...

გთხოვ, დროგამოშვებით მაინც გამიხსენო ხოლმე. ამის მეტს არაფერს გთხოვ.

ნუ დამივიწყებ, გემუდარები. მე კი — ღამისაა შეეიშალო. მხოლოდ ღამით თუ მეწვევიან საუცხოო სიზმრები, გამოვიღვიძებ და კვლავ სასოწარკვეთილება მიპყრობს. ო, ჩემო უწმინდესო, ჩემო დღესასწაულო. რამდენიმე სიტყვაც გადამარჩენდა, თუ ისინი შენს სულს მოსწყდებოდნენ და ჩემს თავს გაახსენებდნენ. ოღონღ ისინი მხოლოდ ჩემთვის ჩურჩულებდნენ ქარშიც, ხეთა შრიალშიც, ნაკადულთა რაკრაკშიც. მაშინ ვიტყოდი — სატრფო სიყვარულზე მეჩურჩულება-მეთქი.

ო, დალოცვილ იყავ, ჩემო სულიერო მეგობარო.

გელი, ენაღვლობ და ვოცნებობ.

P. S. ვბედავ და ამ წერილს თან ვურთავ ჩემი ნოველის ერთ ფურცელს, რომლის წაკითხვაც ჩვენთან ყოფნის დროს მოისურვე. გახსოვს?

2. ვარშავა, 2-3 1907 Წ.

როგორ დავიწყო ეს წერილი, თუ არა მადლიერების სიტყვებით? მთელი არსებით, სიყვარულით აღსავსე გულით გწირავ მადლობას იმ სიტყვებისათვის[1], კრაკოვში უმალ რომ დამიბრუნეს რწმენა და იმედი. მწამს მათი, ისევე როგორც თქვენი. ეს რწმენა ფრიად გამომადგება ცხოვრებაში. მე ხომ მხოლოდ მოგონებებითა და იმედებით ვცოცხლობ და მიხარია, რომ ჩემი და განმარტოებული არსებობიდან ვესაუბრები მეორე სულს, ასე საუცხოოდ რომ ესმის ჩემი[2].

მართლაც ამ ქვეყნად არაფერია უფრო საოცარი, ვიდრე კავშირი ორ სულს შორის, აღმოცენებული ყოველგვარი ეგოიზმის გარეშე და გარშემო მყოფთათვის ფრიად საიდუმლოდ. ზოგჯერ იმგვარი გრძნობა მეუფლება, რომ თქვენ იქეცით ჩემს წმინდა საყდრად, ჩემს ერთადერთ და საკუთარ საყდრად, სადაც ძალმიძს განვერიდო ამქვეყნიურ ამაოებას და უმაღლესი ნეტარება განვიცადო, ნეტარება განცვიფრებისა და წმინდა სიყვარულისა. ჩემი საყდარი ვინმეს საზიანოდ არაა აგებული... ო, როგორ მწადს, ათასი რამ მოგითხრო, ათას რამეზე გესაუბრო, მრავალი რამ აგიხსნა, მაგრამ არ ვიცი, როგორ. იძულებული ვარ, ჩვეულებრივი ამბები გამოვტოვო.

გუშინ ჩამოვედი. კრაკოვმა მომქანცა, გამტანჯა გამუდმებულმა ფიქრმა იმაზე, რომ თქვენ სულ ახლოს, რამდენიმე საათის სავალზე ყოფილხართ... მე კი მოსვლა არ შემეძლო. საშინლად ვნაღვლობ, საშინლად. როგორ გრძნობ თავს? აი, კოშმარივით მძიმე კითხვა, რომლისგანაც ვერ გავთავისუფლებულვარ. საათებისა და დღეების გრძელ ჯაჭვში ნუთუ არავითარი ცვლილებები არ შეინიშნება? გთხოვ, ამ კითხვებზე გულახდილად მიპასუხო. თუ ფიქრობთ, რომ ჩემი სული ოდესღაც თქვენთან იყო... შემდგომ დაგშორდათ... და ახლა სხვა სამყაროშია ჩასახლებული...

ისიც კი არ ვიცი, რა მოგწერო და როგორ. ყველაფერი მინდა ვიყო თქვენთვის. წარმოვადგენ კი რაიმეს? ამ მტანჯველი კითხვებით დავეხეტები ვარშავაში და პასუხს ვერ ვპოულობ. მინდა იცოდეთ, რომ შევიარე „ტიგოდნიკში“[3]. იქ არაფერია, გარდა მდუმარებისა. ყოველდღე ვივლი იქ, დაველოდები. უიმედობა შხამივით მწარეა. დავდივარ და გამუდმებით ყურში ჩამესმის არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ნათქვამი შენი სიტყვები. დავდივარ და თან დამყვება საოცნებო თვალების ხატი. ნუთუ ველარ ვნახავ მათ? ნუთუ ძველებურად აღარ შემომხედავენ დედოფლური მოწყალებით? თუ შემომხედავენ?

სევდა მკლავს.

მაგრამ ველი...

შევეცდები, ხვალიდან სამუშაოს შევაფარო თავი. რამდენიმე დღე ჩავიკეტები, რათა მხოლოდ და მხოლოდ მოგონებებით ვიცხოვრო და სასწაულებრივ სიზმრებში ჩავიძირო. ჩემს გრძნობებს იქნება მომავალი არა აქვს? შესაძლებელია! მაგრამ მაინც ტანჯვა მიჯობს უნაყოფო და სამარისებურ სიმშვიდეს. ჩემს გონებაში ქაოსია და შენს ორიოდ გულთბილ სიტყვას შეეძლოთ გზის მანათებელ ვარსკვლავებად გადაქცეულიყვნენ ჩემთვის. თუმცა უამრავი რამის თქმა მსურდა, ვერაფერი ვერ გითხარი.

შემეშინდა, არ გადამეჭარბებინა.

გელი, გელი და გემუდარები.

შენი ერთგული და თავდადებული — ვლადეკი.

3. ვარშავა, 16 03 1907 წ.

ძლივს დამიბრუნდა აზრის მოკრების ძალა. ორშაბათს თქვენი წერილი მივიღე. მას შემდეგ გაოგნებული დავდივარ და კარგად ვერ გამირკვევია, რა ხდება ჩემს თავს. წერილმა გამოუთქმელი ტკივილი მომაყენა.

ფამილარობის უფლება არა მაქვს, მაგრამ დავუშვათ გამონაკლისი. იქნებ ეს აღსარება უკანასკნელიც იყოს.

გულახდილობას გთხოვ: კეთილი, სულს გადაგიხსნი, ყველაფერს გულწრფელად მოგითხრობ. ოღონდ ჩემს გულში აბობოქრებულმა ქარიშხალმა არ შეგაკრთოს. სიმარტოვისა და სიცარიელის ისეთი გამყინავი შეგრძნება დაბუდებულა ახლა ჩემს არსებაში, რომ გამოთქმაც კი მიჭირს.

მუხლს ვიყრი შენი სულის წინაშე და ვაღიარებ იმედს ჩემსას, სინანულს ჩემსას და სისხლიან ცრემლებს. დიახ, დაუტირებელ ცრემლებს გიგზავნი და გამკიცხე, თუ ინებებ, დამსაჯე თუნდ სიკვდილით, — ოცნებათა სამყაროდან გაძევებით, თუ შენი გული ამის ნებას დაგრთავს.

მიყვარხარ! მწამს შენი! გაღმერთებ! აი, ერთადერთი ჩემი ცოდვა, ჩემი უბედურებისა და სისასტიკის სათავე. ვანდა! ძვირფასო! სულო ჩემო, ერთადერთო მეგობარო, საყვარელო და სასურველო. არა, წერაც

არ ძალმიძს. ცრემლმა ამომიშრო თვალთა უპენი და აღმიესო გული. შენთან ყოფნა მსურს, ... რათა მდუმარედ, მხოლოდ თვალებით გთხოვო შებრალება.

რა მეშველება უშენოდ!

გულწრფელობას დაგპირდი და გეტყვი, რომ ჩემს ცხოვრებაში დადგა ჟამი[4], როდესაც უკვე შევეგუე სიკვდილს, იგი ტკბილი საწადელი გახდა ჩემთვის და სიხარულითაც კი და იოტისოდენა სინანულის გარეშე ვოცნებობ არარაობაში გადასვლას.

შენი რა ბრალია, რომ ტანჯვისა და ახალი, მძიმე ცხოვრებისათვის აღმადგინე. ბედისწერამ ასე ინება. ახლოს გაგიცან და სული ამიფორიაქდა. თუმცა მიჭირს, მაგრამ ვიტან, როგორც შემიძლია. თვალებით შენს ფეხთ მიმჯაჭვე და გრძნობათა ჩაუქრობელ ხანძარში გამხვიე. მეალერსებოდი, ჩემი მოსმენა შეგეძლო და მე განზრახ იმიტომ წამოვედი უფრო ადრე, ვიდრე ვაპირებდი, რომ საიდუმლოს გამჟღავნებისა მეშინოდა. არ მინდოდა, ვინმეს შეეტყო და ამით გამოუსწორებელი უსიამოვნება შეგმთხვეოდა. ხედავ — უმაღლეს ბედნიერებას ვნატრობ შენთვის, და არა მოთმინებასა და ტანჯვას, თუნდაც ეს ჩემი გვემის ფასად იყოს. შენ ჯერ არ იცი, ვინ ვარ, მაგრამ ოდესმე გაიგებ, ეს დროც დადგება. ახლა ისე მზარავს ტანში, რომ კალამი მივარდება ხელიდან, ხოლო ფიქრები უაზროდ ირევიან გონებაში. მსურს ამ წერილში ჩავატიო მთელი ჩემი გრძნობა და სული, მაგრამ ვხედავ, სიტყვებს მხოლოდ გრძნობებისა და ფიქრების ფრაგმენტების გადმოცემა შესძლებიათ. გასაგებია შექმნილი ვითარება. ამიტომ გეთაყვანები ასე და მით უარესი ჩემთვის. ხანდახან მგონია, რომ რაც მოხდა, საკარნავალო ღამის სიზმარი იყო, რომ ამ მოსაწყენ და მდორე ცხოვრებაში თავდავიწყება მოვინდომე... თითქოს შეეძელი კიდეც, მაგრამ მსწრაფლ გაქრა ის წამი...

ხშირად ხდება ასე, ხშირად ემართებათ ეს ადამიანებს. ახლა შენ ნათელი, წმინდა და კეთილი რჩები, როგორც ყოველთვის. სასიამოვნო ტრიუმფის გრძნობას შეუპყრიხარ იმის გამო, რომ სადღაც, ვიღაც მოთმინებით იხდის ამის სამაგიერო საზღაურს და არაფრის გამო მისცემია სალმობას. სიამოვნებას თუ გგვრის ეს, მშვენიერო პანი?

შენთვის ეს დროებითი სენსაცია იყო, კარგად რომ გაგართო. ახლა შეიძლება იცინო და მე, სულელი გამიხსენო. მინდა თავიდან მოვიცილო ეს აზრი, უსარგებლო და საზიზღარია იგი. მით უმეტეს, რომ ნამდვილად არაა ასე, არა. დარწმუნებული ვარ შენს კეთილშობილებაში და ვიცი, რომ ამას არ იზამ.

ნუ გამირისხდები ამგვარი მსჯელობისთვის. მთელი ჩემი ცხოვრება კოშმარად იქცა, ბოროტ და საშინელ კოშმარად. ლამისაა შევიშალო.

კეთილი, მე თანახმა ვარ ჩვენს შორის ნებისმიერ ურთიერთობაზე, ოღონდ სავსებით არ დაგკარგო. დავრჩეთ მეგობრებად. მეგობრობა ყველაფერია, თუ სიყვარულთან იქნება გადაწინდული, მასზე დაფუძნებული. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია უფსკრულზე მტკიცე ხიდად გადება. მხოლოდ სიყვარულია ზიარება, მისგან იღებს სათავეს სიცოცხლეცა და სიკვდილიც. ამ გრძნობით გაცისკროვნებული მეგობრობა ისეთი ცისარტყელაა, რომლის სხივებითაც აღვსილია სამყარო. მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები, ჩემი შენდამი სიყვარული საუკუნეებს გაუძლებს. შენ კი როგორ მოეპყრობი ჩვენს მეგობრობას, ეს აღარ ვიცი. თუმცა ვგრძნობ, რომ იშვიათი შეხვედრების შედეგად დაჭკნება იგი და მოგონებაღა დარჩება მისგან. აი, ასეთი ფიქრები ბობოქრობენ ჩემს სულში ზღვასავით. მათი გამოთქმა მაინც შემეძლოს. შენ მწერ: „რა აზრი აქვს ყოველივე ამას?“ ჩვენს ნებისყოფასა და გრძნობათა სიძლიერეზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი. თუ შემიყვარებდი, ყოველი ცისმარე დღე ჩვენი გახდებოდა. ისეთად ვაქცევდით მას, როგორსაც მოვისურვებდით. ხოლო აზრი? რასა აქვს აზრი, თუ აღსავსე არაა სიყვარულით?! მაპატიე ეს წერილი, ქაოტიური გამოვიდა, თუმცა საუცხოოდ გამოხატავს ჩემი სულის მდგომარეობას...

იცი, შენი პირველი წერილი ისეთი ჰიმნი იყო ჩემთვის, ისეთი სიხარული, რომ გოლიათის ძალა მომეცა. ყოველგვარ გადაწყვეტილებასა და ყოველგვარი სისულელის ჩადენაზეც კი მზად ვიყავი. მივიღე მეორე და ისეთი თავზარი დამცა, რომ ბოლო მოშილო, — ნეტავ რისთვის, ერთადერთო? რისთვის, ძვირფასო? გეკითხები, იქნებ მიპასუხო. მგონია, რომ ყოველივე ცივმა განსჯამ და გულგრილობამ გიკარნახა.

ოჰ, რომ იცოდე, რომ გრძნობდე, რა უანგაროდ და ძლიერ მიყვარხარ და რას წარმოადგენ ჩემთვის — მაშინ ალბათ სხვაგვარ განაჩენს გამომიტანდი.

მედიდური ხარ და ამიტომ გეთაყვანები.

თავს სრულქმნილ ადამიანად გრძნობ.

უპირველესად ამის გამო მიყვარხარ.

დიდებული და წმინდა ხარ.

და ვიცი რა ეს ყოველივე, იმიტომაც აღვიძებ ჩემში გრძნობათა ბობოქარ გრიგალს.

ოხერით თავი მოგაბეზრე, ხომ? როგორც შენ მანდობ შენს პატიოსნებას, სულს მიხსნი წერილებში, ასევე მე განდობ ჩემს გულს, ჩემს სიმშვიდესა და მთელ ჩემს ცხოვრებას. გაანადგურე, თუ გსურს. ოღონდ ერთ რამეზე ნუ მეტყვი უარს, გევედრები, როგორც მომაკვდავი უკანასკნელ სათხოვარს: მინდა, ნახო, შეგხვდე, ხვაშიადი გაგიმხილო. ეიცი, ჩემი ცხოვრება ამაზე ჰკიდია, ჩვენ ხომ ერთი წუთითაც არ გვისაუბრია თავისუფლად. შემიბრალე, მაჩუქე ეს ბედნიერება. დღესასწაულის წინ თუ კრაკოვში იქნები, მიდეპეშე: „თათბირი ამა და ამ დღეს, ნოვაკი[5]". მივხვდები და მაშინვე მოვალ. 6 აპრილს, დღესასწაულის შემდეგ, კრაკოვში მივდივარ რამდენიმე დღით. თუ მანამდე ვერ შეძლო, მაშინ მაინც გამოემგზავრე. ანდა თავად წამოვალ ზაკოპანეში, მაგრამ მეშინია, რომ კვლავ ხალხში[6], შორით გნახავ და სიტყვის უთქმელად დაგშორდები. გევედრები, გამოიმეტე ეს შეხვედრა, როგორც უკანასკნელი. მომწერე ამის შესახებ ორიოდ სიტყვა „ტიგოდნიკში", თუნდაც უკანასკნელი. ეს არც ძნელია და არც ცოდვად ჩაგეთვლება. ჩემთვის კი ლოცვა-კურთხევა და ბედნიერებაა. ღმერთმა იცის, რას ჩავიდენ, თუ ესეც ვერ დავიმსახურე.

იცი, ზაკოპანეში ინდოეთში გამგზავრების იდეა ამეკვიატა. აუცილებლად წავალ. ვეცდები, დიდი ხნით გავეცალო ქვეყანას, ხალხს, შენ. თუმცა ვერ შევძლებ დაგივიწყო. განუყრელად ჩემთან იქნები. ვიდრე გზას დავადგებოდე, მსურდა ორიოდ სიტყვით გამოგთხოვებოდი, მენახე და შენი სახე გულში ჩამებეჭდა, როგორც თილისმა, ძვირფასი რამ ავგაროზი. უარს ნუ მეტყვი, გევედრები. ახლა ჩემს ოცნებას მხოლოდ ეს შეადგენს. ვამთავრებ და გთხოვ, მომიტევო. არ გეშმვიდობები, — „ნახვამდის!" ო, სულო ჩემო, ნება დამრთე, თუნდაც ბარათებში ვეამბორო შენს თვალებს, თუნდაც საბოლოოდ. მიყვარხარ! მიყვარხარ!

მომწერე ორიოდ სიტყვა, გევედრები.

შენი ერთგული — ვლადეკი.

P. S. როგორი ქაოტური წერილია. რამდენი რამ კი მქონდა სათქმელი. ველი დეპეშას ან ორიოდ სიტყვას.

მიყვარხარ.

ვლ.

4. ვარშავა 18. 03. 1907 ორშაბათი, საღამო.

ღმერთმანი, რაღაც გაუგებრობაა. ჩემი გამოგზავნილი ყველა წერილი ფოსტაში შემორჩა, შენი წერილები კი მივიღე. მათ არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ, რადგან თვალის ჩინივით ვუფრთხილდები. ვფიცავ ჩემს ღირსებასა და შენს სიმშვიდეს, რაც ჩემს სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია, რომ მათ უცხო თვალი ვერ მიეკარება. გთხოვ დამიჯერო და მენდო. გეევდრები, მაპატიო, მყუდროება რომ დაგირღვიე.

შენს პირველ წერილზე, ჩემსას გზაში რომ ასცდა, განგებ არ გიპასუხე, რადგან წერილის ფოსტით გამოგზავნისთვის შენს ნებართვას ველოდი. სხვაგვარად ვერ გავბედე. ერთი კვირის შემდეგ მივიღე ის მეორე წერილი, საშინელი, მეხისდამცემი. შაბათს ძლივს მოვახერხე პასუხი გამეცა. მოულოდნელი დარტყმისაგან იმდენად ვიყავი გონდაკარგული, რომ უფრო ადრე ეს ვერ შევძელი. ჩემი პირველი წერილი უკვე ფოსტაში იქნება. გუშინ მეორე, უფრო მშვიდი წერილი მოგწერე. ეს ყველაფერი ჩემი ბრალია და მაპატიე. იმ წერილში განმეორებით გთხოვ, შენთან შეხვედრის ბედნიერება მომანიჭო. არა, არ შემიძლია აზრის გავლებაც კი გონებაში, რომ უარმყავი. ო, რომ იცოდე, რა ცუდად ვარ. რა ცუდად. ეს სასჯელია იმისათვის, რომ სხივს ვეთაყვანები, ქიმერა შევიყვარე! მწერლობაში ვეძიებ საშველს, მაგრამ ამაოდ. ვიცი მხოლოდ ერთადერთს, შენს ამაყ გამოხედვას შეუძლია მომანიჭოს სიმშვიდე და ბედნიერება. მხოლოდ ერთადერთ, შენს ტკბილ ბაგეს აქვს ძალა მკვდრეთით აღმდგენი ფიცის თქმისა, ძალა სასწაულის მოხდენისა ჩემს უბედურ, საწყალ სულზე.

მაგრამ იგი სდუმს.

ახლა მხოლოდ იმასღა ვლოცულობ, რომ დროზე მიიღო ჩემი ბარათები და პასუხი მომწერო. უფსკრულის პირას მდგარ ადამიანს თხოვნაზე უარს როდი ეუბნებიან. მწამს, რომ ხელს არ მკრავ, მწამს შენი სათნოებისა და კეთილშობილების.

შენ ამაყი ხარ და ცივი, როგორც თოვლის დედოფალი. მესიზმრა, ოხვრითა და გრძნობით ყინული გავალხვე.

მაინც შენ გეკუთვნი, შენი მსახური ვარ მთელი სიცოცხლის მანძილზე. გთხოვ, მომიწოდო ყოველ წამს, ყოველგვარი საჭიროებისას, სიკვდილსა და სიცოცხლეზეც. აი, ამგვარად მსურს დაგიმტკიცო ჩემი

ერთგულება. ფურცელი მთავრდება და მეც ვამთავრებ წერას. კვლავ გევედრები, რასაც წერილში გთხოვ, რასაც დაუყოვნებლივ ველი.

შენი უსაზღვროდ თავდადებული
ვლადეკი

P. S. ჩემი სიცოცხლის დღეები ნაღველით აივსნენ და დამძიმდნენ. აგერ უკვე მერამდენედ ვკითხულობ წერილს, დავცქერ შენს ხელშენახებ ფურცლებს და სიხარული და იმედი კი არ იღვრება იქიდან, არამედ სევდა. რატომ არის ასე? რატომ ჩაკვდნენ ჩემი იმედები ასეთი უცნაური სიკვდილით? რატომ გაითელა ჩემი გრძნობები ასე სასტიკად და ულმობელად? რატომ?

აი, ჩემი მუდმივი გალობანი სინანულისანი.

აი, მდგომარეობა ჩემი სულისა. მდგომარეობა მიტოვებულობის, უკაცურობის. ნეტავ შეგეძლოს იმის დანახვა, თუ რა აუტანელია ასეთი სიცოცხლე ჩემთვის. ვცდილობ კვლავაც თავი მოვიტყუო, ვოცნებობ და შენი თუნდაც წამით ნახვის იმედს ვებღაუჭები...

თუნდ წუთიერი, გულახდილი საუბარი შენთან, და შემდეგ დავიწყების წყვდიადშიაც ჩავძირულვარ, დაე ნუ დამინდობს ბოროტი ბედისწერა.

5. ვარშავა 3 05 1907

ეს წუთია შენი წერილი მივიღე. მან ისეთი სიხარული განმაცდევინა, რომ გამოთქმა მიჭირს. სრულად წარიღო თვალთა ჩემთა სინათლე წერილის კითხვით მოგვრილმა წამიერმა ბედნიერებამ. რა ძალუმ ველოდი ამ სიტყვებს, მხურვალედ ვლოცულობდი მათზე, და აი, როგორც იქნა, გამოჩნდნენ. რა საოცრად კეთილი და მოწყალე ხარ... უფსკრულის პირას ვიყავი, მადლობას გწირავ სიცოცხლის დაბრუნებისათვის.

რამდენჯერ წარმეკვეთა სასო, რამდენი რამ მოვითმინე და გავუძელი.

ოდესმე მოგიყვები ყოველივეს, დღეს კი ეს არ შემიძლია. კალამი არ მემორჩილება და ცრემლები მივსებს თვალთა უპეებს.

შემდეგ წერილში უფრო დაწვრილებით მოგწერ, ახლა კი გეტყვი, რომ სასტუმროში შენი წერილი არ დამხვდა. მითხრეს, არაფერი მიგვიღიაო. შეგიძლია, წარმოიდგინო ჩემი სულიერი მდგომარეობა! ლამისაა შევიშალო.

რა მოგწერო? აქამდე არ მინახიხარ და არც ის ვიცი, წერილის მოწერის უფლება მაქვს თუ არა. ბოროტმა ბედისწერამ ყველაფერი ამირ-დამირია. ვფიქრობდი, რომ რაღაც უბედურება მოხდა, რომ შენ ჩემზე გაბრაზებული ხარ. ახლა ბევრს არ დავწერ. მინდა ბარათი დროზე გამოვაგზავნო, რათა დიდხანს არ ელოდო. ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ!

რამდენ ხანს გაჩერდება თქვენი ოჯახი არცახონში??

ფიქრით განუწყვეტლივ შენთან ვიქნები, ზღვის პირას, ტყეშიც და ყოველი ტალღა, შენს ფეხებს რომ მოეახლება, გაჟღენთილი იქნება გახსენებით, მადლიერებითა და სიყვარულით.

ო, კეთილო სულო ჩემო.

ჩემთან სხვა ახალი არაფერია. უამრავი სამუშაო დამიგროვდა. იძულებული ვარ ზაკოპანეში გატარებული დღეების სანაცვლოდ ვიმუშაო. ზაფხულში რას გავაკეთებ, ჯერ არ ვიცი. შეიძლება ვარშავასთან ახლოს მდებარე რომელიმე სოფელში წავიდე. სექტემბერში კი აუცილებლად მინდა ზაკოპანეში ვიყო, თუ შენც იქ იქნები.

საით მიემგზავრება თქვენი ოჯახი არცახონიდან? როდის?

ვამთავრებ ბარათს. ხვალ უფრო ვრცლად მოგწერ. ახლა კი გიკოცნი ნაზ თითებს.

ერთხელ კიდევ გწირავ მადლობას და ორიოდ სიტყვას გევედრები. როგორ გრძნობ თავს? როგორ არის თქვენი ქმარი?

ველი შენს წერილს.

შენი ერთგული — ვლ.

P. S. გთხოვ წერილი ასე გამომიგზავნო: „მოკითხვამდე“ და მიაწერო გვარი, სახელის გარეშე. ასე უმჯობესია, წერილი უფრო ჩქარა მოვა, ვიდრე მისი „ტიგოდნიკში“ გამოგზავნისას. თუ მოგისწროთ ჩემმა ტელეგრამამ კრაკოვში?

6. ვარშავა 23 05 1907 წ.

კვლავ ჩემი ბრალია, პასუხს რომ დიდხანს ელოდი. არცახონიდან წერილის მიღებისთანავე დავწერე იგი, მაგრამ გამოგზავნა შევაყოვნე. არ შემეძლო შენთვის გული მეტკინა ბარათის მკაცრი კილოთი, ხოლო სხვაგვარად ვერ დავწერე. გამოუგზავნელი წერილები მრავლად დამიგროვდა. ოდესმე გიჩვენებ მათ, თუ მოისურვებ. გთხოვ არ დამცინო ჩემი მოუქნელობისთვის. ბოლო წერილზე მთელი გულით გწირავ მადლობას. ყოველი სიტყვა კოცნით დავნამე, ასე მეგონა, თითებს გიკოცნიდი. ეს წერილი ხომ არა მხოლოდ უბრალო, კეთილი, მეგობრული სიტყვებია, არამედ ჩემი ზიარებაც.

შენს კეთილ გულს შეუძლია გაიღოს იგი მოწყურებულისთვის. ღმერთმანი, დიდად მადლიერი ვარ.

წერილიდან შევიტყვე, რომ არცახონში თავს კარგად გრძნობთ. დიახ, ასეა, მარტოობა ხშირად ძალას გვმატებს, მაგრამ იმავდროულად დავიწყების უებარი საშუალებაც არის.

ახლა ის ამბავი მაწუხებს, აღელვებულ ზღვაზე ნავით გასეირნებისას ხიფათი რამ არ შეგემთხვეს. ზღვას კარგად ვიცნობ[8] და ვიცი, რომ, მართალია, ფათერაკი ყველგანაა ჩასაფრებული, მაგრამ ზღვაზე იგი განსაკუთრებით საშიშია. წარმოგიდგენ თუ არა ნავში, შიშისაგან ვკანკალებ.

შენ გვერდით ყოფნა მაინც შემეძლოს...

მრავალი რამის დაწერა არ ძალმიძს, რის გამო ჩემი წერილები ძველ, მიგდებულ ფორტეპიანოს ემსგავსებიან, რომელსაც მრავალი კლავიში აკლია, მრავალიც მოშლილია და სათანადო ბგერებს ვერ გამოსცემს. ხომ ასეა?...

მიუხედავად ამისა, უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რომ ნება დამრთე, წერილი მომეწერა. მინდოდა ცოტა რამ ჩემს შესახებაც მეცნობებინა, მაგრამ ვფიქრობ მოსაბეზრებელი იქნება, რადგან თავაუღებლად მუშაობისა და ყოველდღიური საქმიანობის გარდა ჩემს ცხოვრებაში არაფერი დარჩენილა...

არაადამიანურმა, ვამპირის მსგავსმა მკვლელმა სევდამ[9] და მასთან ერთად ვარშავამაც ხომ ბოლო მომიღო. ზაკოპანეში წასვლის იმედითღა ვცოცხლობ. სექტემბრის ბოლოს ჩამოვალ და ნოემბრის ბოლომდე ვაპირებ დარჩენას, ანუ მანამდე, ვიდრე ინდოეთისკენ გავწევდე. ივლისის დასაწყისში სოფელში მივდივარ.

აი, ჩემი გადაწყვეტილებები, გეგმები და პროექტები. წყვდიადია ირგვლივ, საიდანაც ერთადერთი გამოსავალია სექტემბერში ზაკოპანეში გამგზავრება. მაგრამ გავძლებ კი მანამდის, თუ შენს თუნდ ორიოდ სიტყვას მაინც არ მივიღებ?

ძალიან, ძალიან გთხოვ მაცნობო, როდის დასტოვებთ არცახონს და როდის იქნებით ზაკოპანეში.

თუ თანახმა იქნებით, ასე მომწერე: „პორონინი, მოკითხვამდე", თუნდ თვეში ერთხელ, კარგი? მრავალი მიზეზის გამო ზაკოპანეში წერილის გამოგზავნა შეუძლებელია, ისევე როგორც ხრამცოვკაზე[10].

თხოვნაზე უარს არ მეტყოდი, რომ გრძნობდე, რად მიღირს ეს ჩვენი მიმოწერა. ეჭვიანი არა ვარ, მაგრამ იმის გაფიქრება, რომ პ...ს[11] შეუძლია დაგათვალიერებინოს პარიზი და ისარგებლოს შენთან ხლებით, გულს მიკლავს. ყველას შეუძლია შენს გვერდით ყოფნა, ყველას, ჩემს გარდა. ესაა ჩემი ბედი, სასოწარკვეთილი ვიტანჯებოდე გისოსებიან საკანში, ისე, რომ იმედის ნატამალიც კი არ გამაჩნდეს. მაპატიე, ბღავილი ჩემდა უნებურად აღმომხდა. დავმშვიდდი. მწარეა სევდა ყოველგვარი იმედის გარეშე. დარწმუნებული ვარ კვლავაც შევძლებდი მთელი სამყაროს ასახვას ჩემს შემოქმედებაში, ოღონდ რაიმე მიზანი გამაჩნდეს და მასთან ერთად — ვიცოდე ვისთვის.

ნუთუ ჩემს ამგვარ ყოფასაც სიცოცხლე ჰქვია? სევდის, უბედურების მძიმე ჯაჭვი მიმათრევს.

იმ იმედითღა ვცოცხლობ, რომ მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

მსურს მხიარული ვიყო, მაისის მზითა და გაზაფხულით გამთბარი წერილები ვწერო, მაგრამ არ ძალმიძს.

ალბათ შევიცვლები, სხვაგვარი გავხდები, თუკი შენ მოისურვებ. ჩემო გულითადო მეგობარო, შემიბრალე.

კმარა, მეტს აღარ მოგწერ, რადგან რამდენადაც ნაღვლიანია სული, იმდენად მოწყალების მომლოდინეა იგი, შეიძლება ითქვას, თავის მომაბეზრებელიც. მხოლოდ ისღა დამრჩა ნუგეშად, რომ სექტემბერი სიმშვიდესა და სიხარულს მომგვრის.

მსურდა, რომ კარგად გაგეცანი, ისეთი გენახე, როგორიც სინამდვილეში ვარ.

ნება მიბოძე ზოგიერთი უმნიშვნელო ამბავიც მოგითხრო.

პანი რუდნიცკა ელენესთან ერთად ვარშავაში ვნახე. შემთხვევით შევხვდი. სტუმრობას შემპირდნენ, მაგრამ არ მოსულან, და მგონი

გაემგზავრნენ კიდეც. არადა როგორ მსურდა მათთვის შენ შესახებ მეკითხა რაიმე. კვლავ ბოროტმა ბედისწერამ წარმტაცა მოლოდინის სიხარული.

მოდი და ნუ ირწმუნებ, რომ არსებობს რაღაც ზეგარდმო ძალა, რომელიც შენგან მაშორებს.

წერას ვამთავრებ. არ მსურს შენი მოთმინება ამოვწურო. მხურვალედ გიკოცნი ძვირფას, მეგობრულ ხელებს და კიდევ ერთხელ თავმდაბლად შეგახსენებ ორიოდ სიტყვის მოწერას.

ვლ.

P. S. ვიდრე ა-დან გამოემგზავრებოდე,გვთხოვ კიდევ ერთხელ შეიარო ფოსტაში, იქნებ ჩემი წერილი იყოს. სახლში დაბრუნებისას გთხოვ გაისეირნო პორონინომდე და იქაც მიაკითხო ჩემს წერილს — კარგი?

7. ვარშავა 30 05 1907

მხოლოდ ორიოდ სიტყვას გწერ. ვარაუდებმა მომატყუეს. პანები ორჯერ იყვნენ ჩემთან. პანი რუდნიცკა კრაკოვში მხოლოდ დღეს შესძლებს გამგზავრებას, ხოლო ორიოდე დღის შემდეგ კი პანი ელენე ზაკოპანეში გაემგზავრება. ისინი დამნაშავენი არიან შენს წინაშე — შენი დავალება ახსენეს... ოღონდ არ შეუსრულებიათ იგი. ასე რომ, შესაძლებლობის შემთხვევაში შემიძლია შეგახსენო და დანაპირები მოგთხოვო... შეგახსენებ კიდეც... შეგახსენებ... თუმცა სხვათაშორის გაგიხსენებივარ, მაგრამ მაინც დიდი მადლობელი ვარ. შენს შესახებ ძალიან, ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ... რამაც ისე გამახალისა, იმდენი ძალა და ენერგია შემმატა, რომ სულ შეცვალა ჩემი ზაფხულის გეგმები.

20 ივნისის შემდეგ ორი კვირით კოსოვოში წავალ, ლვოვს იქით და დაბრუნებისთანავე ზაკოპანეს ვესტუმრები, ე. ი. ივლისის ბოლოს. ღმერთო ჩემო, როგორ მიხარია... კვლავ გნახავ, ვისაუბრებთ და დავაპურებ მოშიებულ თვალებს...

დავცქერი შენს ფოტოს და ეს სახე ისეთი გამოუცნობი მეჩვენება, რომ საშინელი გრძნობა მიპყრობს, თითქოს მეშინია კიდეც. თავად არ ვიცი, რატომ და რის მიმართ.

მაგრამ ჩვენი მეგობრობის მჯერა და ეს ძალას მმატებს. მწამს ამ დიდებული გრძნობის და სრულიად ვარ მასზე მინდობილი.

არა მგონია, თითქოს ადამიანს, ცოცხალსა და მგრძნობიარეს, გან-

მარტოებით ცხოვრება შეეძლოს. ასეთი რამ ჩამოყალიბებულ, გამოუსწორებელ ეგოისტებს, ანდა ცხოვრების ფსკერზე გართხმულ ხალხს თუ შეუძლია მხოლოდ. ყოველ სულიერს სჭირდება ღრმა და მტკიცე კავშირი მისსავე მონათესავე, ერთგულსა და თავდადებულ არსებასთან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ეზიარო ჭეშმარიტ ცხოვრებას. და მე ამაზე გამუდმებით ვოცნებობ...

მაგრამ არსებობს კი იგი?

დაე, შენმა გულმა გასცეს ამ კითხვას პასუხი.

შენიშნე ალბათ, რომ არ ვიცი წერილების წერა.

შმაგი სურვილი მკლავს რაღაც გითხრა, მაგრამ ვერ მომიხერხებია.

ვერასოდეს ვერ შევძელი ჩემს არსებაში ჩადებული გრძნობის ნათლად გამოხატვა. ეს ვერც წიგნებში მოვახერხე.

დაცინვისა მეშინოდა.

ადამიანების გონებაშეზღუდულობის მეშინოდა.

არადა ძლიერ ვგრძნობ ამ შინაგანი აღსარების მოთხოვნილებას, რის საშუალებასაც შენ მაძლევ. ამას მხოლოდ შენთან ვახერხებ, ისიც ხანდახან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ. ხშირად ხდება, რომ შენი კეთილშობილებით აღსავსეს თავის შეკავება არ ძალმიძს. ხშირად მეჩვენება, რომ შენთან, ისევე როგორც სულის სააღმსარებლოში, მუხლი უნდა მოვიდრიკო და გული გადაგიხსნა. და შენც მომისმენ მთელი არსებითა და თანაგრძნობით.

წერას ვამთავრებ და ბოდიშს გიხდი, რომ ორიოდ სიტყვას ვაპირებდი და...

გთხოვ პორონინოს ფოსტაში კვლავ შეიარო... კარგი?

გიკოცნი ხელებს, გიკოცნი აღფრთოვანებით, მადლიერებით და...

შენთვის თავდადებული — ვლ.

P. S. ნუთუ ჩვენი ფოტოსურათი გსურს?

8. მილოსლავი 1 08 1907 ⁄.

არ ვიცი, მოაღწევს თუ არა ეს წერილი შენამდე, მაგრამ მაინც გიგზავნი. ისეთი შმაგი წყურვილი მკლავს წერილის მოწერის, რომ მჯერა, ჩემი ჟინი გაიძულებს პორონინოს ფოსტაში შეიარო. თუ უკვე შესძელი ჩემი დავიწყება?

ჩამოვალ სექტემბერში. ამაზე ვოცნებობ და თან მეშინია, ჩემდამი გულგრილი არ გნახო. იქნებ აღარც გახსოვარ? მაინც ჩამოვალ. მსურს თვალი გავუსწორო ბედს. რაც არ უნდა მოხდეს, ამაზე უბედურს ხომ არ გამხდის, ვიდრე ვარ. ნუთუ აღარ შემიძლია გიგულო ჩემს მეგობრად? გაგიჟება შეიძლება.

არაფერი იცოდე, ცხოვრობდე ილუზიებით, უიმედოდ, გამუდმებული მოლოდინით და გულით ატარებდე გაუნელებელ სევდას, სდუმდე, რადგან არ გქონდეს ყვირილის უფლებაც კი. ეს მე ვცხოვრობ ამგვარად და ალბათ დიდხანს გასტანს ასე.

ამგვარ ტანჯვას არ შეიძლება ღვთის კურთხევა არ მოჰყვეს, რადგან თუ ასე გაგრძელდა, იქნებ თავიც მოვიკლა. გთხოვ ნუ გაგაკვირვებს ჩემი სიტყვები. თავს ისე ვგრძნობ, რომ მსწრაფლ დასასრულზე, თავდავიწყების გზებზე ვოცნებობ...

კმარა ამაზე საუბარი.

როგორა ხარ. რას აკეთებ ახლა? აი ყოველივე ის, რაც განსაკუთრებით მაინტერესებს, რაზედაც გამუდმებით ვფიქრობ.

განგებამ ჩვენი ბედი ერთმანეთს დაუკავშირა. იძულებული ვარ შენი ცხოვრების ორბიტას მივყვე, როგორც ჩამქრალი ვარსკვლავები დასრიალებენ მოკაშკაშე მზის გარშემო. თუმცა შენ ეს უკვე იცი.

ახალი ამბავი თითქმის არაფერია. ახლა ნაცნობებთან ვარ ლიტვაში. მცირე ხნით წიგნებზე სამუშაოდ და უფრო კი სევდის გასაქარვებლად ჩამოვედი. მაგრამ რას იზამ, როცა კაცს არ შეგიძლია მისი ჩაკვლა და მუდამ თან გსდევს.

მალე დაებრუნდები, რადგან აგვისტოს ბოლოს ვარშავაში უნდა ვიყო. მიხარია, რომ სექტემბერში გიხილავ. მეყოფა კი შენი ნახვის გამბედაობა?

უკვე მეათასედ და კვლავ ახლებურად წარმოვიდგენ ჩვენს შეხვედრას. ნეტა როგორი იქნება სინამდვილეში? თავს ვალდებულად ვთვლი შევასრულო შენი თხოვნა, რასაც უკანასკნელ წერილში მატყობინებდი[12].

მიყვარხარ! მიყვარხარ ძლიერ, მთელი ჩემი არსებით, სულითა და ოცნებით, მიყვარხარ და იმედით ვცოცხლობ. მიყვარხარ და გიწვდი ხელებს, რათა თუნდაც ოცნებაში ჩავიხუტო შენი ლამაზი სახე. გიკრავ მკერდში, გიკოცნი ტკბილ ტუჩებსა და არ ვნაღვლობ, თუ იქიდან შხამსა და სიკვდილს შევიწოვ.

გთხოვ მაპატიო ეს სიტყვები.

აღარასოდეს მოგწერ ასე.

ვიცი, არა მაქვს ამის უფლება, ვიცი, მაგრამ...

რომ შემიყვარებდე... და რატომ არ შეიძლება ეს, რატომ?

ძალიან გთხოვ მომწერე ორიოდ სიტყვა.

გევედრები.

ღმერთო, რა ცუდადა ვარ, რა ცუდად.

მარად შენი ერთგული — ვლადეკი.

9. ვარშავა 15. 11 1907 წ.

დაე, ეს სიტყვები მადლიერებისა და სიყვარულის იყოს. მსურს ყოველ ასოს, ყოველ სიტყვას იმდენი ძალმოსილება ჰქონდეს, რომ ამით ჩემი სიყვარულისა და ნაღვლიანი არსებობის ამბავი შეიტყო. წერილი გავაგზავნე პორონინოში, მოკითხვამდე. ასე გავიგე შენი უკანასკნელი სურვილი. ალბათ არ ვცდები. შენი ის ერთადერთი წერილი, რომელიც ზაკოპანედან ჩემი წამოსვლის შემდეგ დაწერე, მივიღე ფოსტაში. იგი გულითადი ლოცვანი, სიმხნევის ამოუწურავი წყარო და ერთადერთი საშველია ჩემთვის ამ სევდით სავსე წუთისოფელში.

გიკვირს, რატომაა შენი წერილი ჩემთვის ასეთი განსაკუთრებული? განა ყველა წერილი უდიდესი სიხარული არ არის?

არა და არა. მხოლოდ შენს წერილებსა აქვთ ჩემს შემართებაზე უდიდესი გავლენის მოხდენის ძალა. ჩემი სული მათ ელის და მათზე ოცნებობს. ყველა წერილი უკან დაგიბრუნე[13]. თუმცა მეძნელებოდა მათთან განშორება, მაგრამ შენი სულის სიმშვიდე ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია და ამიტომ მოვიქეცი ასე. შენს ნახვას მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შევძლებ[14].

ღმერთო, რამდენი რამ მაქვს სათქმელი! ისე ბევრი, რომ ვშიშობ ვერ შევძლებ იმის მეასედის თქმასაც, რაც სულს სწადია და რაც მხოლოდ შენთან შეიძლება.

გაორებული ცხოვრებითა ვცხოვრობ. ჩემი ცხოვრების ნახევარი, სხვათათვის მალული სიყვარულით, გამუდმებული ექსტაზითა და ოცნებებით აღსავსე, შენ გეკუთვნის. მისი ექოს განდობა მხოლოდ შენთვის შემიძლია.

შენ საშუალება უნდა მომცე აღსარებისთვის, დამითმო მცირეოდენი დრო, რათა ბოლოს და ბოლოს შევძლო სული და გული გადაგიხსნა. ჩვენ ხომ ერთმანეთს ისე არ ვიცნობთ, როგორც ჯერ არს. ძალიან კი მსურს ეს. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შემოგწირავდი სულს, ოღონდაც მაინტერესებს, როგორ მოეპყრობი მას. აი, ესაა ტრაგიკული ცნობისმოყვარეობა ადამიანისა, რომელიც მღელვარე ზღვამ ადგილს მოსწყვიტა და ვერ გაუგია, საით მიაქანებს. იქნებ ბედნიერებაცაა იქ, მაგრამ შესაძლოა სასოწარკვეთაც იყოს. რაა იქ? შენ, წმინდანო, იქნებ იცი? მითხარი, უმორჩილესად გევედრი. მზადა ვარ შენი ნათქვამის დასაჯერებლად, მზადა ვარ უმალვე დავეცე იქ, სადაც შენი სიყვარული მომცელავს...

შენი სასწაულებრივი წერილიდან ისეთი სამოთხისებური და უწმინდესი შეპირება ამოვიკითხე, რომ ჩემს სულში ბედნიერებად ამღერდა. მაშინ რომ იქ ყოფილიყავი! იქ რომ ყოფილიყავი!

ჩემს ბაგეს, ჩემს მკლავებს და მთელს ჩემს არსებას შენი არსება სწყურია! სევდის დაუოკებელი ყვირილი ვარ და არ არსებობს ისეთი დღე, ისეთი საათი, მოწყურებული ხელები რომ არ გამოგიწოდო.

მშვენიერო ქანდაკებავ! წმინდანი სიყვარულს ვერ კლავს! მეტეორიტო!

შენსკენ მოჰქრიან ბრწყინვით დაბრმავებული ჩემი თვალები, აღტაცებით მოისწრაფიან ჩემი გული და ფიქრები. არასოდეს ქალისათვის ასე არ მიმიწერია, რადგან არც ერთი მათგანი არ ყოფილა ჩემთვის ასე საბედისწეროდ აუცილებელი, როგორც შენ! არასოდეს! და თუ ჩემი აღსარება ტკივილს გაყენებს, დაწვი იგი. იმედი მაქვს უკვალოდ არ გაქრებიან ჩემი სიტყვები და ღრმად ამოიკვეთებიან შენს მეხსიერებაში. ღირსნიც არიან იქ დარჩენისა, სამუდამოდ, რადგან რჩეულთა ხვედრია ასე ძალუმად, ასე საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვით, ასე უანგაროდ სიყვარული, როგორც მე მიყვარხარ. დარწმუნებული ვარ ამაში. იქნება სასაცილოცაა ეს, მაგრამ მსურს დაგარწმუნო, რომ ეს სიმართლეა.

ბუნდოვნად ვწერ, რადგან მეტისმეტად მონდობილი ვარ შენზე. ისინი, ვისაც თავი ქცევის ნორმების თანახმად უჭირავთ, ასე არ იქცე-

ვიან. უფრთხიან ათასგავრ შესაძლო გართულებებს. მე კი გაშმაგებისაგან რაიმესათვის ანგარიშის გაწევაც არ ძალმიძს. ან კი რაში მჭირდება ეს? მიყვარხარ და არ მანაღვლებს, თუ ამის გამო რაიმე საზღაურის გაწევა მომიწევს. თუნდაც სიცოცხლის დათმობა დამჭირდეს ამისათვის, რადგან ჩემი სიცოცხლე იმდენადაა ღირებული, რამდენადაც შენს სიყვარულზე იმედი შემიძლია ვიქონიო. მე არ ვიცი, რატომა ხარ ასე გაღიზიანებული. ვგრძნობ, რომ ებრძვი საკუთარ თავს, ვგრძნობ ჩემს მიმართ თანაგრძნობასაც, ხანდახან უფრო მეტსაც, მაგრამ ... მაგრამ შენ ჩემთვის გულის განდობა არა გსურს.

ვხედავ, რა სასტიკად ექცევი საკუთარ თავს, თავად სწყვეტ საკუთარი სულის კვირტებს, ვიდრე ისინი გაიშლებოდნენ. ნუთუ ეს ბედნიერებას, თუნდაც კმაყოფილებას განიჭებს? ეჭვი მეპარება. ადამიანის ყველაზე დიდი მოვალეობაა ყური უგდოს საკუთარ გულის ცემას. არ ჩაჰკლას გრძნობები, რადგან ეს მოგვიანებით მარტოობის სიცარიელითა და სევდიანი კაეშნით იძიებს შურს. სხვა მოვალეობანი კომპრომისულ ხასიათს ატარებენ და უმეტესად ჩვენზე და ჩვენს მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული. საჭირო არაა „ბრძნული გავხადოთ ცხოვრება“, როგორც გლეხები ამბობენ.

მეტისმეტად გავაგრძელე და ვშიშობ, თავი არ მოგაბეზრო. იშვიათადა მაქვს ასეთი შესაძლებლობა და მეც ვსარგებლობ. იცი, ზაკოპანედან საშინელი განწყობილებით გამოვემგზავრე. ყველა ჩვენი საერთო ნაცნობი სადგურზე დამხვდა. ყველა, ვინც შეიძლებოდა არ ყოფილიყო, შენ კი არ ყოფილხარ.

ცოტა დამაკლდა, გაშმაგებისაგან კინაღამ არ ვიყვირე. რატომ? რატომ? იქნება ცოტა დაუდევრად დავტოვე დამშვიდობების სიტყვა შენთვის გადმოსაცემად, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო. მსურდა გცოდნოდა, რომ ჩემი ფიქრის საგანი, როგორც ყველგან და ყოველთვის — შენ იყავი.

ჩემო სასწაულებრივო, ცივო ქანდაკებავ! ხედავ, რა ცეცხლი ააბრიალე ჩემს არსებაში! ლამისაა დავიწვა!

ვფიქრობ, თუ შენს ხელში აყვანასა და მკერდში ჩაკვრას შევძლებდი, იქნებ კოცნით გამეთბო შენი მარმარილოსებრი გულგრილობა. გთხოვ კვლავაც მაპატიო. ბოდიში! ბოდიში!

წერას ვამთავრებ. ვანდა, ძვირფასო! ერთადერთო! უსაყვარლესო! მომწერე ორიოდე სიტყვა, გევედრები! ფოსტით გამომიგზავნე, უკვე რამდენიმე დღეა იქ დავიარები და ფოსტის თანამშრომლები ალბათ უკვე სცნობენ ჩემს მოღრუბლულ სახეს და მღელვარე ხმას.

კრაკოვში ვიქნები 22 დეკემბერს[15]. იქნებ რაიმე საქმის მომიზეზებით შესძლო იმ დროისათვის იქ ჩამოსვლა? ეს უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ბედნიერება. ნუთუ ეს ასე ძნელია? ზაკოპანეში წავიდოდი ვიგილიის[16] დღეს ან ერთი დღით ადრე.

რომ შესძლებდე ჩამოსვლას! მთელი სულით გეუდრები და ვლოცულობ ამისათვის.

მე ხომ იმით ვსულდგმულობ, რომ თუნდაც მცირე ხნით გნახო ხოლმე.

საკმარისია, ხომ მართალია? რამდენი რამ კი მქონდა სათქმელი. მიყვარხარ და გელი, მიყვარხარ და ვნაღვლობ, მიყვარხარ და ვოცნებობ!

გკოცნი მთელი არსებით, ტკივილამდის, გონების დაკარგვამდის, სიკვდილამდის! მარად შენი ერთგული — ვლად.

10 (ვარშავა) 18 12 1907

ორიოდე ფრთაშესხმული სიტყვა. მსურს ისრებივით გამოქროლდნენ, დაეცნენ შენს ფერხთით და მთელი ჩემი ნაღველის შესახებ მოგითხრონ.

დღეს მივიღე შენი წერილი, ხელში მიჭირავს იგი ამწუთას და ვ.ისრუტავ შენი თმისა და ბაგის სურნელს, ვგრძნობ შენი სხეულით მონიჭებულ ზეადამიანურ სიამოვნებას, ასე რომ მაღელვებს.

ნუთუ შენგან არავითარ გულწრფელ სიტყვას აღარ მოვისმენ? ხშირად დავდივარ ფოსტაში, მაგრამ ამაოდ.

ხვალაც წავალ, კვლავაც ბევრჯერ წავალ, ოღონდ შემიბრალე და მოიწერე. როდის შევძლებ შენს ნახვას?

გთხოვ მომცე შენი პეტერბურგის მისამართი[17]. როდის მიემგზავრებით იქ და რა ხნით? დეკემბრის ბოლოს შეიძლება კრაკოვში ვიყო. ისე შევიპარები ქალაქში, რომ შენს გარდა ვერავინ დამინახოს.

ვფიქრობდი, სასაფლაოზე გნახავდი[18]. იმედი მქონდა, რომ მოხვიდოდი. რა საშინელი იყო იმედის გაცრუება, ვერ გნახე. გარდა ამისა, პანებთან საუბარიც ვერ შევძელი. მეტისმეტად შემზღუდეს, უკან დამყვებოდნენ და ჩემზე ეჭვიანობდნენ. ისე ცუდად არიან აღზრდილები, რომ თავის შეკავებაც არ შეუძლიათ. პანი „რ“, ჩემთვის ხასიათი რომ წაეხდინა, ახსენა შენი ვიღაცით დაინტერესება. თუმცა ძალზე დიპლომატიურად მოახერხა ეს. თითქოს ზურგში დანა ჩამცესო. ყველაფერი

შესაძლებელია. გთხოვ კარგად გაიცნო შენი მეგობრები. მე ორივეს მიმართ ანტიპატიას განვიცდი. ამის მიზეზს ოდესმე გეტყვი. ახლა კი, გმადლობ ბოლო წერილისათვის. უდიდესი სიხარული განმაცდევინე, რადგან ძალიან ცუდად ვარ, არსებითად მხოლოდ იმედებითა და შენი წერილის მოლოდინში ვცხოვრობ. ერთი თვის უკან წერილი გამოგიგზავნე პორონინოში „მოკითხვამდე", ინიციალებით: „ვ. ტ." მიიღე?

გთხოვ პეტერბურგში წერილების გამოგზავნის ნება დამრთო.

ხომ შესაძლებელია?

ვჩქარობ, რათა ეს უსტარი მალე გამოვაგზავნო.

გთხოვ მომწერო ორიოდ სიტყვა. ლამისაა დარდმა მომხრას.

ნახვამდის, სევდამოწოლილი, სიყვარულით, ოცნებითა და იმედით სავსე გიკოცნი ხელებს.

შენი ვლ.

11. (ვარშავა) 24. 12. 1907

გუშინ მივიღე შენი წერილი. სულითა და გულით გმადლობ განცდილი ბედნიერებისათვის. ერთი სიტყვაც არ დარჩენილა შეყვარებულის მხურვალე და მადლიანი კოცნით რომ არ დამეფარა. მე ხომ სასოწარკვეთით ვფიქრობდი, რომ აღარ გახსოვდი. სულმოუთქმელად გელოდი კრაკოვში და მანამდეც, როდესაც პირადად შეკხვედი პან ანდრეის[20]. შენ რომ ვერ მოგკარი თვალი, თითქოს ცა დამემხო თავზე. ვიფიქრე, რომ განზრახ არ ჩამოხვედი.

ღმერთო, რა ძლიერ განვიცადე ეს ამბავი!

ახლავე აგიხსნი ყველაფერს: შენი ბოლო, ძალიან ლაკონიური წერილი ფოსტაში დამხვდა ნოემბრის თვეში. შემდეგ ყოველ კვირას დავდიოდი იქ, მაგრამ არაფერი, სრულიად არაფერი...

გთხოვ წარმოიდგინო ჩემი მდგომარეობა.

მოგწერე პორონინოში, პასუხს მთელი კვირა ველოდე, მაგრამ ამაოდ. კვლავ მოგწერე და ველოდები...

შეგიძლია ვინმე გაგზავნო და პორონინოს ფოსტიდან აიღონ „ვ. ტ." ინიციალებიანი წერილი, რომლის წაკითხვისასაც მიხვდები, დაგივიწყე თუ არა. იგრძნობ, ანგელოზო, რომ ბარათის ყოველი სიტყვა სევდიანია, ვედრებაა და ეჭვის შეტანა იმაში, რომ დაგივიწყე, გულგრილი გავხდი, ანდა სხვა ამგვარი — შეუძლებელია! მე ხომ შენ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია! საშინელი გაუგებრობაა. ბედისწერა ასდევნებია ჩემს არსებას, ბოროტი და ვერაგი ბედისწერა. ასე იყო

აპრილში და ასე მოხდა ახლაც, კრაკოვში. მერწმუნე ისეთი გულწრფელობით გეუბნები ამას, როგორც მომაკვდავი. დაკრძალვაზე მხოლოდ იმიტომ გავემგზავრე, რომ დარწმუნებული ვიყავი — ჩამოხვიდოდი! მინდოდა მენიშნებინა, რომ მოვემგზავრებოდი, მაგრამ შემეშინდა, შენი ახლობლების ყურადღება არ მიმეპყრო. აი, ჩემი ღრმა და გულწრფელი აღსარება.

ღამით ჩავედი და შენს ძებნაში ყველა სასტუმრო შევძარი. არ იყავი! ვიფიქრე, რომ წაიკითხავდი „კურიერ ვარშავსკის" ცნობას დაკრძალვის პროცესიაზე ჩემი გამგზავრების შესახებ[21]. აი, რისი იმედი მქონდა, ამ ამბავს დავაფუძვნე მთელი ჩემი ბედნიერების სასახლე. პანები ჩამოვიდნენ, შენ კი არ იყავი. გიკითხე და ისე ბუნდოვნად მიპასუხეს, რომ ყველაფრის გაფიქრება შეიძლებოდა. მაგრამ რას ნიშნავს ჩემი ტანჯვა, თუ შენ ჩემზე განაწყენებული ხარ. პატიებას არა გთხოვ. ოცნებაში შენს ფერხთით ვემხობი და გიკოცნი თითებს, კაბის კალთას, გვედრი შებრალებას, გიხსნი გულს, რათა იგრძნო ჩემი მხურვალე სევდა. იქნებ მაპატიო და არ დამივიწყო.

ო, მეგობარო, ტკბილო სულო ჩემი სულისავ, ჩემო ოცნებავ და იმედო ჩემო — ხომ მაპატიებ? დაე ჩემმა მწარე სვებედმა და სალმობამ შეგაძლებინოს ეს სიბრალული!

ვწერ გულწრფელად, შენსავით ხშირად როდი ვხმარობ ძახილის ნიშნებს, რადგან ასე წერა ჩემთვის ლაგამის ამოდებასა ნიშნავს. ასე რომ, გთხოვ პირდაპირი, გულითადი ლაპარაკის ნება მომცე.

ასევე გთხოვ მომიტევო ეს წერილი. ასე ამჟღავნებენ გულის უსაიდუმლოეს ფეთქვას. ასე იწერება ჩემი დღიური და შენდამი მიძღვნილი წერილები.

განგებ გწერ, რომ ძველ წიგნს[22] გიგზავნი-შეთქი, რათა შენი ყურადღება მიმექცია და უკუმეგდო ეჭვები, რაც ჩემს წერილს შეიძლება გამოეწვია. ხაზგასმული სიტყვები შემთხვევითი არაა, ბევრიც არაა, მაგრამ სულ ვშიშობ, საფრთხეში არ ჩაგაგდო. ჩემი დანაშაული ისაა, რომ ვცდილობ უსიამოვნებას აგაცილო, რადგან მე რომ ვიტანჯები, თავი რომ დამიდია, არ მინდა შენც იგივე დაგემართოს.

ამ წერილს გწერ იმ იმედით, რომ ჩემი სიტყვები ბოლოს და ბოლოს შენამდე მოაღწევენ, რისთვისაც მთელი გულით გლოცავ. წერილს ალბათ სპექტაკლზე მუშაობისას მიიღებ[23], მაგრამ გამოძებნი დროს, წაიკითხავ და მიხვდები, რა გრძნობითაა იგი დაწერილი... თუმცა ეს მხოლოდ ნაპერწკალია იმ ხანძრისა, მე რომ მომდებია, მხოლოდ

წვეთია ჩემში არსებული ოკეანისა, მაგრამ შეუშვი ეს ნაპერწკალი გულში და ნახავ რა კოცონი აბრიალდება.

ოხ, ქანდაკებავ, ცივო და საშინელო! ნუთუ ვერასოდეს შევძლებ ყველაფერი მოგითხრო, რაც ჩემში ბობოქრობს? ქაღალდზე ყოველივე ამის გადმოცემა შეუძლებელია. მხოლოდ მხურვალე ჩურჩულით, სიყვარულით სავსე მზერით ან ვნებიანი ხვევნით შემიძლია გადმოგცე, რისგანაც გონების დაკარგვა შეიძლება. აი, ყველაფერი, რაზედაც სიმარტოვეში ვოცნებობ. ჩემი მარად მოგიზგიზე ოცნება ხარ. სიზმარი ხარ უამრავი სასწაულით, ხიბლით, ჯადოთი და ბედნიერების დაპირებებით აღსავსე. ან მოგიმწყვდევ მხურვალე მკლავებში, რათა მთელი არსებით გიგრძნო და შემდეგ თუნდ უფსკრულშიც გადავჩეხილვარ, ან არა და სასოწარკვეთილება მომიღებს ბოლოს! მე არ ვიცი, რა ბედი მელის, მაგრამ ვიცი, რომ იგი შენს ხელთაა.

გევედრები, რაც შეიძლება ვრცლად მომწერე.

კიდევ რამდენიმე სიტყვა.

როდის მიემგზავრები? ძალიან გთხოვ, ვარშავაში შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა. გამგზავრებამდე ორიოდე დღით ადრე მომწერე, როდის და რომელ სასტუმროში გაჩერდები. შემომწირე წამები, ვერც ვერავინ გაიგებს ამას და უკეთესიც არის მრავალი თვალსაზრისით. 27 დეკემბრიდან, ანუ უახლოესი შაბათიდან ყოველდღე ვივლი ფოსტაში, დაველოდები შენს წერილს. ბედს ვევედრები ამაში შეწევნას, ისევე როგორც შენ, პირობის ორიოდ სიტყვაც იკმარებს. შესვენების მიზნით ხომ მაინც შეჩერდები ვარშავაში.

ჩემი სიყვარული უბრალოა, — იქნებ თავაშვებული, მაგრამ ძლიერი. გული სევდით აღმვსებია. ისე ძლიერია ნატვრა შენი ნახვისა, რომ უნდა შემიბრალო. ერთსა გთხოვ კიდევ — შენს პეტერბურგულ მისამართსა და წერილის მოწერის ნებართვას.

მეტი აღარ შემიძლია, კალამი ხელიდან მივარდება. საშინლად ვნერვიულობ.

მინდა გახსოვდეს, რომ მიყვარხარ. მიყვარხარ გონების დაკარგვამდე, სიგიჟემდე.

ნაჩხაპნისათვის ბოდიშს გიხდი. ისეთ ხასიათზე ვარ, უკეთ წერა ვერ შევძელი.

გელი, ჩემო მეგობარო! ჩემო ბეატრიჩე, ჩემი ცხოვრების კეთილო გენიავ!

გიკოცნი ხელებს, გიკოცნი თითებს და ოცნებაში ისე მძლავრად

გიკრავ მკერდში, რომ დაიმსხვრევა ყინული და ყელზე შემომეჭდობა შენი სანეტარო მკლავები.

გელოდები.
შენი ერთგული ვლ.

P.S. გთხოვ მაპატიო წერილის კილოც, ზოგიერთი გამოთქმაც და სხვა მრავალი რამ. შენი წერილის მიღებით ისეთი სიხარული განვიცადე, კინაღამ გონება დავკარგე. იგი ნამდვილი ზიარებაა ჩემი დარდით დამძიმებული სულისათვის.

დღეს დილით გამოვაგზავნე ოფიციალური წერილი და ბილეთის საფასური.

გიკოცნი, გიკოცნი ხელებს!

ერთგული — ვლ.

12. (მილოსლავი) 3. 12. 1907

არ ვიცი, რით დავიწყო, რა ვთქვა და როგორ განვსაჯო. თან დამაქვს შენი შაბათის წერილი და ყოველდღე ვკითხულობ. ვკითხულობ განუწყვეტლივ და გული მაინც ვერ ვიჯერე. წერილმა ამავე დროს რაღაც საოცარი, მტკივნეული სევდაც გამოიწვია ჩემში, რომლის გაქრობაც აქამდე ვერა და ვერ შევძელი.

ყველაფერს თანმიმდევრობით აგიხსნი, რათა წონასწორობა არ დაკარგო და შენც კვლავ არ აგაფორიაქო.

ამგვარად, რაც შეეხება ჩემი ნაწერის კილოს, ასე რომ გაღიზიანებს: ეს ლიტერატურული კი არა, ადამიანური კილოა. იმ პიროვნებებს ვეკუთვნი, რომლებიც რაიმეს თუ გრძნობენ, განიცდიან ღრმად, თუ უყვართ, უყვართ მთელი სიშმაგით და ეძლევიან რა სიყვარულსა თუ იმედს, მთელ სიცოცხლეს სწირავენ მას. აი, ჩემი ადამიანურობის ღრმა შინაარსი. ხან ცივი ვარ და ყინულოვანი, ხან მხურვალე, როგორც ეთერში მოსრიალე ბოლიდი. რა ვქნა, როცა თავის შეკავება არ შემიძლია. რამდენჯერ ვცადე, შემეცვალა ხასიათი, მაგრამ ამაოდ. ჩემი ცხარე გულწრფელობა, ექსტაზური სიყვარული და მგრძნობიარობა ხშირად ჩემს წინააღმდეგ გამოდიან და ჭრილობებს მაყენებენ. მხოლოდ შენ გამომიტყდები იმაში, ჩემო გულითადო მეგობარო. დაე იყოს პირველი ქვა ჩვენი მეგობრობის საძირკველში, პირველი აღსარე-

ბა ურთიერთის ღრმა შეცნობის გზაზე. იმ გულწრფელობას, რომელიც ვიგილიისას გამოგზავნილი წერილიდან გამოსჭვივის, მხოლოდ უსაზღვრო გულითადობით შემიძლია ვუპასუხო. წერილი უკან დამიბრუნე, რადგან ასე გსურდა. მაგრამ კიდევ ერთხელ გარწმუნებ, რომ შენს წერილებს უაღრესად საიდუმლოდ ვინახავ და ძალიან გთხოვ, დამიბრუნო. ჩემთვის ის წერილი არა მხოლოდ მნიშვნელოვანი გამოხატულებაა სულისა, არამედ ძვირფასი რელიკვიაცაა. იმ წყნარი, მორცხვი აღიარებიდან ჩემს თვალში კიდევ უფრო ამაღლდი, კიდევ უფრო ადამიანური და ახლობელი გახდი. ცოდვებსა და შეცდომებში ჭოჭმანსა და საკუთარ თავთან ბრძოლაში მეღავნდება სული უფრო ნათლად, ვიდრე მკვდარ და უსულო უმანკოებაში.

იმას, ვინც ცდუნებას არ შეუპყრია, ადვილად შეუძლია არ შესცოდოს. ღირსება უმოქმედობა კი არა, ბრძოლაა. მხოლოდ ბრძოლასა და საკუთარი მე-ს ძიებაში იბადება სული და იქცევა უკვდავად.

ჭეშმარიტი სიყვარული, ხოლო სხვაგვარი არც არსებობს, ადამიანის ცოდვა არ არის — იგი აუცილებლობაა. არ ვიცი, რისთვის-ღა უნდა იცოცხლოს ადამიანმა, თუ არავინ ეყვარება. მაშინ ხომ ცხოვრება სისულელე და უაზრო ფარსი იქნებოდა. აფორიზმებივით ჩამოვაყალიბე ჩემი მოსაზრებები, რადგან ამ მომენტში ძლიერ აღგზნებული ვარ. მეჩვენება, თითქოს ხანდახან შენ სადღაც აქ, ჩემს გვერდითა ხარ და გესაუბრები, თითქოს ხანდახან გხედავ კიდეც, ვხედავ შენს ყურადღებიან, საოცარ თვალებს, მომხიბლავ ღიმილს, ვგრძნობ შენს სიახლოვეს და ამიტომ ვდუმვარ, მხოლოდ გიცქერ და ვიცი, რომ მისმენ, გესმის ჩემი და თანამიგრძნობ.

დღეს ვერ მოვახერხებ შენს მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას. გადავდოთ შემდეგისათვის. ახლა კი გეტყვი, თუ როგორ მოვეპყრობოდი შენს გულს, თუკი მომანდობდი: ყოყმანის გარეშე, მთელი პასუხისმგებლობით, გარს შემოვევლებოდი ისეთი სიყვარულით, სიხარულითა და ბედნიერებით, როგორც არასოდეს არ განგიცდია მთელი სიცოცხლის მანძილზე. შემწევს საამისო ძალა, იქნებ მეტისმეტად მღელვარეც და ვნატრობ მისგან განტვირთვას. ეს ძალა ორივეს გვეყოფოდა. ხოლო ჩვეულებრივ ცხოვრებას კი ისე მოვაწყობდით, რომ არაფერს შეეწუხებინე. გვერდით მეყოლებოდი და ისე ფხიზლად ვუდარაჯებდი შენს სიცოცხლეს, რომ ბოროტ სიტყვას მასთან ვერ მოეღწია. ვფიქრობ, რომ ბედნიერი ცხოვრება გვექნებოდა, მღელვარე და სიყვარულით აღსავსე. ჭეშმარიტ ბედნიერებად იქცევა იგი და არა

იმედისა და რწმენის გაცრუებად, რადაც ადამიანებმა ქორწინება აქციეს. ორ ადამიანს, ჭეშმარიტ შეყვარებულებსაც კი არ ძალუძთ ერთად ცხოვრება, თუ ოჯახურ გალიაში იქნებიან იძულებით გამოკეტილები. ისინი, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ყოველდღიური სისულელეებით დაღრღნიან. ორ სულს მხოლოდ მზისაკენ ლაღად ქროლისას შეუძლიათ ერთად ყოფნა. ძირს დაეშვან, როცა მოისურვებენ და კამარა შეკრან ცაში, თუ სურვილი ექნებათ. მოისიყვარულონ ერთმანეთი, როცა ამის წადილი ექნებათ. დიახ, ცხოვრობენ ერთად, მაგრამ თითოეულს ფრენის საკუთარი მიმართულების არჩევა შეუძლია, ცხოვრობენ ერთმანეთისათვის — უყვართ ერთმანეთი. აი, საიდუმლო, რადგან ხელოვნება ის კი არაა, შენ უყვარდე, არამედ გიყვარდეს შენც, გიყვარდეს არა შენი თავი სხვაში, არამედ გიყვარდეს იგი, მისთვის, უანგაროდ და მიუხედავად ყველაფრისა.

წერას ვამთავრებ. ალბათ, თავი მოგაბეზრე, ბოდიშს გიხდი.

როგორ ჩატარდა სპექტაკლი? ყველაფერი მომწერე, რადგან რასაც აკეთებ, მეც მეხება. ყოველდღე, როგორც ლოცვას, ისე გიხსენებ შენ და განუწყვეტლივ შენზე ვფიქრობ.

როდის მიემგზავრები ზაკოპანედან?

მე 12, 13 და 14 იანვარს ვარშავაში არ ვიქნები, გროდნოში უნდა გავემგზავრო ორჟეშკოვასთან[24], მაგრამ მხოლოდ სამი დღით. სადმე გადავიკარგებოდი, რომ შემეძლოს, რადგან ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. გულწრფელად გეტყვი: მხოლოდ შენი ბარათების წყალობით და შენი ნახვის იმედით ვცოცხლობ.

გაზაფხულს მზისკენ გავეშურები[25].

ორიოდე დღის შემდეგ კვლავ მოგწერ, ხოლო ახლა მივდივარ ფოსტაში, სადაც შესაძლოა შენი წერილი მელოდება.

გიკოცნი ძვირფას, მეგობრულ ხელებს, მუხლს ვიყრი შენს ფერხთით და გთხოვ ხსოვნასა და თანაგრძნობას.

ერთგული — ვლ.

13. ბროდნო 13 I (1908)

ძლივს არ შევძელი, რაც აქა ვარ, თავისუფლად შენთან ლაპარაკი[26]. შენი წერილი ორი დღის წინ მივიღე, მაგრამ დღემდე პასუხის გაცემა ვერ მოვახერხე. დრო, ბუნებრივია, მქონდა, მაგრამ იმ შინაგანი სიმშვიდის წუთების პოვნა ვერ შევძელი, რაც პასუხისათვის იყო აუცილებელი. ძლიერ ნერვიული, უიმედო და სევდიანი გავხდი და ასეთ მდგომარეობაში არც ძალა შემწევს და არც ნებისყოფა, რომ თუნდ მცირე ბარათი მოგწერო. შენმა წერილმა გამომაცოცხლა, უფრო მეტიც. ისე გამოაშუქა, როგორც მზემ ღრუბლიან ამინდში და სული ღრმა მადლიერებით აღმივსო. არ გეტყვი, თუ რას გისურვებ საახალწლოდ, რადგან ისედაც კარგად იცი, გრძნობ და გჯერა, რომ ეს მხოლოდ ოცნებაა ჩემი, როგორც ოცნება მხოლოდ საუკუნოდ ერთგულ გულს შეუძლია. ხომ არ გაშინებს ეს წელი? მესმის შენი, მაგრამ იქნებ ღმერთმა არ ინებოს ბოროტი წინათგრძნობების აღსრულება[27]. წინათგრძნობა უნდა შეიარაღდეს მოსალოდნელი ტკივილების წინააღმდეგ და დამცველ ფარად მოგვევლინოს გართულებებისას. გთხოვ დაიხსომო, რომ თუმცა ჩემს შენდამი სიყვარულს არ ძალუძს აგაცილოს განგების ისრები, მაგრამ შენი მწუხარებისას ერთგული და მტკიცე დასაყრდენი ნამდვილად იქნება. სიყვარული ყველაფერზე ძლიერია, რადგან მისი დაუძლეველი არაფერია[28]. მდუმარებით გიხდი მადლობას. სწორედ გამოიცანი: ახლა დავსცქერ შენს სურათს, რომელიც ყველგან თან დამაქვს.

წერილს ვარშავაში დავამთავრებ — დღესვე, რამდენიმე საათის შემდეგ. მომწყვიტეს მისგან და იძულებული ვარ საიუბილეო სამზადისში მივიღო მონაწილეობა. შემდეგ რკინიგზა, ცარიელი სახლი[29]... ასე, რომ თითქოს კვლავ შენს წინაშე ვარ, — ვარსკვლავებზე ვოცნებობ, მაგრამ იძულებული ვარ თუნდაც მათი ჩაქრობა ბედნიერებად მივიჩნიო. შენს ნაცვლად შენი სურათი მაქვს; შენთან საუბრის ნაცვლად — საკუთარ თავს ველაპარაკები. არ ვსაყვედურობ, რადგან მეშინია, ესეც არ ამიკრძალო. მაშ არ მოგწონს ჩემი მშვიდი კილო? გაუცხოვდი ჩემს მიმართ, ხომ? მაგრამ გთხოვ წარმოიდგინო, რა ტანჯვის ფასად ვახერხებ ამ ნიღბის აფარებას: ვჩურჩულებ მაშინ, როცა მთელი არსებით ყვირილი მსურს, გიკოცნი ხელებს, როცა მშიერსა და გატანჯულ ჩემს ტუჩებსა და მკლავებს გველებივით სურთ შენი შთანთქმა. მაგრამ რადგან ეს შეუძლებელია, ვარ ასე, ბორკილდადებული. მსურს, და ვოცნებობ, რომ ოდესმე ჩემს სულში ჩახედვა შეძლო, ღრმად ჩახედვა,

— მაშინ დარწმუნდებოდი, ვინა ვარ და რას წარმოადგენ ჩემთვის. არის ამის შესაძლებლობაც. რამდენიმე წელია ვწერ დღიურს, თავისებურ ანგარიშსს სინდისის წინაშე. აქ არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ გრძნობებსაც აღვწერ. აღვწერ ოცნებებსა და იმედებს. ესაა ერთგვარი აღსარება საკუთარი თავთან. დღიურს ჯერ არავის თვალი არ მიჰკარებია. განდობ მის იმ ნაწილს, რომელიც 1907 წლითაა დათარიღებული. მისი წაკითხვის შემდეგ დარწმუნდები, რომ არ არსებობს განსხვავება იმას შორის, რასაც ვწერ და რასაც ჭეშმარიტად ვგრძნობ. თუ არის, მაშინ იმის მაუწყებელი, რომ სინამდვილეში იმაზე უფრო ძლიერ მიყვარხარ და ვოცნებობ შენზე, ვიდრე წერილებით შევძელი ამის გადმოცემა[30].

შენი წერილის ერთმა სიტყვამ ლამის შემშალა: მოეწყო განა ის ექსკურსია „ზღვის თვალის" ტბამდის[31]? იყავით წყვილად და თავისუფლად? და ამას წერილში მწერ? რა საშინლად ვეჭვობ მასზე, ვისაც შენთან მგზავრობა ხვდა წილად.

ნაღველი მოსვენებას არ მაძლევს. ვინ იყო შენი კავალერი? თუმცა უმჯობესია ამაზე აღარ ვიფიქრო. რას აკეთებ მთელი დღე? რითი შეივსე შენი მშვენიერი ტუალეტი? მსიამოვნებს, რომ შესძელი კარგად გაგეცნო შენი მეგობრები. მეც გავიცანი ისინი. არც წინათ ვცემდი მათ დიდ პატივს, მაგრამ ახლა უკვე ვეღარ ვიტან. შეუძლებელია საერთო გქონდეს მათთან. კრაკოვში მივხვდი, რომ მათ არ უყვარხარ, შურთ შენი. მძულს შური, ეს ვერაგი ჟანგი, რომელიც ძლიერ, ღირსეულ სულს ვერ ეკიდება, მაგრამ ღრღნის უბრალო, მდაბალ სულს. ბევრი რამ მაქვს მათ შესახებ სათქმელი, მაგრამ შემდეგისათვის გადავდოთ. მე სიყვარულის სამკუთხედი არა მქონია მხედველობაში, შენ რომ ახსენებ. ამგვარი რამ ისევე საზიზღარია ჩემთვის, როგორც ყოველგვარი მდაბალი საგანი. შემდგომ წერილში ვრცლად მოგწერ ამის შესახებ. ახლა კი, საღამოს ათ საათზე თათბირზე უნდა წავიდე. მელოდებიან.

ასე, რომ გემშვიდობები, ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის!

თუ ახლა შენ მარტო ხარ, მაშინ ჩემი ასტრალური სული[32] მოვა და შენს ირგვლივ იტრიალებს. ალბათ იგრძნობ ამას.

ამრიგად, ჩემი ოცნება მოფრინავს შენსკენ და გიკოცნის ბედნიერების მომნიჭებელ ტუჩებს; გიკოცნის და ჩურჩულებს: ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის, საოცარო!

შენი ერთგული ვლ.

როდის მიემგზავრებით? ვარშავაზე გამოიცლით უკან დაბრუნებისას[33]?

14. (ვარშავა) 24 1 1908

გუშინ ძლივს მივიღე შენი წერილი. ალბათ გაიბნა ფოსტაში, რადგან ძლიერ დაგვიანებით მომცეს. ბევრი ვეჩხუბე ფოსტის მუშაკებს. საოცარი რამ მოხდა. ახალი წლის ღამის შემდეგ გამუდმებით მოუსვენარი ფიქრი მაწუხებს. ბევრჯერ დამესიზმრე, თანაც ისე, რომ დარწმუნებული ვიყავი, რაღაც ავის მაუწყებელ ცნობას მივიღებდი შენგან. არაფერი ვიცოდი, მაგრამ გული ცუდს მიგრძნობდა. ძალიან განვიცადე. რომ იცოდე, რაა სიშშვიდის დარღვევა ძვირფასი ადამიანის გამო და მით უფრო, თუ არ შეგიძლია სიმართლე გაიგო. ათასი სიკვდილი გადავიტანე, ათასი გველი მიჭამდა გულს. ძლიერ გავწამდი, ვიდრემდის შენგან წერილი მოვიდოდა. ვემხობი შენს ფეხებთან ჩემი ცნობისათვის და ერთგული სულით მადლობას გწირავ. გულის დაავადება რა შუაშია? ძლიერ მაწუხებს ეს ამბავი. გრიპის შემდეგ კვალი კი რჩება, მაგრამ გულის დაავადება? რითია იგი გამოწვეული?

კეთილი, საყვარელი, უბრალო და მეგობრული წერილი და ტკბობის ამდენი მხიარული წუთები კი მაჩუქა. მაშ ავადმყოფობისას ჩემზე ფიქრობდი? მარტოობის მრავალი საათის მანძილზე შენი ფიქრის საგანი როგორ ვიყავი — როგორც აჩრდილი თუ როგორც მოგონება? რატომ და როგორ? მე არ დამიშლია შენთვის „ზღვის თვალისაკენ" გასეირნება. შემეძლო კი ეს ჩამედინა, თუ მოვისურვებდი. მაგრამ ამ შემთხვევაში არ მისურვებია შენი ავად გახდომა. თუ ამაზე იქნებოდა ჩემი ბედნიერება დამოკიდებული, მაშინ ვინ იცის, რას მოვიმოქმედებდი. მაგრამ მე იქ არ ვიყავი და შენი დარჩენა ჩემს გამო არ მომხდარა. შენის აზრით, შეიძლება მხოლოდ პლატონური სიყვარულით დაკმაყოფილება მრავალ პიროვნებასთან ურთიერთობაში. იქნებ შეიძლება, მაგრამ მე მაინცა და მაინც არ მესმის ამგვარი სიმპატიები. ვიცი მხოლოდ: სიყვარული, მეგობრობა ან უბრალოდ — ნაცნობობა! ყველა სხვა დანარჩენი მხოლოდ მეტნაკლებად შენიღბული ფლირტია, რაც მე ძლიერ არ მომწონს. შენ წერ: „ჩვენ ორივეს მკვეთრად განსაზღვრული გზა გვაქვს, საიდანაც გადახვევა არ შეიძლება". ამაზე ასე გიპასუხებ: „ჯერ კიდევ არა გვაქვს კარგად განსაზღვრული გზები". მეჩვენება, რომ ჯერაც ამ გზებს ვეძებთ. ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს ხვალინდელი დღე? მე, კიდევ ჰო, ვიცი, რა მელის ერთი, ორი და ა. შ. წლის შემდეგ. ვიცი,ისევე დავრჩები შენს ყმად, როგორც დღეს ვარ. მაგრამ შენ საიდან იცი შენი ხვალინდელი დღე, შენი მომავალი,

იმგვარად, როგორც ამას უკანასკნელ ბარათში მწერ! გაუფრთხილებელი შემთხვევები ზოგჯერ ისეთი მიმართულებით გადაგვახვევინებს გზიდან, რომელთაც ყველაზე ნაკლებად მოველით. მხოლოდ მტკიცე, ულმობელი ნების ადამიანებს ძალუძთ იარონ ცხოვრების წინასწარ განსაზღვრული გზით, მაგრამ მათაც მხოლოდ მოძრაობის მიმართულება იციან, შიშველი მიმართულება და მეტი არაფერი. განსაკუთრებით გულთბილი, სასწაულებრივი და პირველად მართლაც რომ მეგობრული წერილის დასაწყისისათვის მსურს მადლობა გადაგიხადო. ვგრძნობ, რომ ცუდად ვლაპარაკობ, გონებაში ფიქრები მერევიან. ტუალეტის შესახებ იმიტომ შეგეკითხე, რომ შენს შესახებ ყველაფერი მაინტერესებს, რადგან შენს მშვენიერებას ვეთაყვანები და არ შემიძლია გულგრილი ვიყო შენი სამოსის მიმართ. სწორედ ამიტომ მიყვარს შენში ყველაფერი და ცოტა არ იყოს, მაღელვებს, რომ ამ ბოლო დროს ასე გახდი. ძლიერ მეშინია, რაიმე გართულება არ წარმოიშვას. ძალიან გთხოვ, უფრო მეტად მიაქციო თავს ყურადღება. ამას გეუბნება მეგობარი, რომელსაც შენი ბედი აწუხებს. კარგი?

რაც შეეხება ქალბატონებს რ. და ჩ.[34] მათ შესახებ მართალი ხარ. ასე გწერდი შთაბეჭდილებების გამო და ალბათ ცოტა გადავაჭარბე. თუმცა არ გირჩევ მათ შესახებ შეხედულებები დაიბრუნო.

პირველი აპრილიდან ნამდვილად და საბოლოოდ გადავსახლდები კრაკოვში[35].

უკვე აღარ შემიძლია შენგან ასე შორს ყოფნა. ასე დიდხანს ვერ გავძლებ. იქ იმის შესაძლებლობა მაინც მექნება, ვიოცნებო, ბაღში ხეტიალისას გადავაწყდები მეთქი პანის, აქ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება[36]...

ვარშავიდან გადასახლების განზრახვა დიდი ხანია მაქვს და ალბათ განზრახვადვე დარჩებოდა, შემოდგომას რომ არ შეგხვედროდი. სწორედ მაშინ დავრწმუნდი საბოლოოდ, რომ აუცილებელია ჩემთვის შენს გვერდით ვცხოვრობდე და ხშირად გნახულობდე. შენ როგორ უყურებ ამ ამბავს? იგი ხომ ფაქტია, რადგან ჩემი ბინა უკვე ჩაბარებულია და ავეჯსაც მალე გავაგზავნი. გაზაფხულს კრაკოვში გავატარებ, ხოლო ზაფხულს ალბათ ზაკოპანესა და პორონინოში. აი, ჩემი უახლოესი გეგმები.

შემდგომ წერილში მოგწერ, თუ რა შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე შენმა აღსარებამ, ორ ფურცელზე რომ იყო გამოთქმული. ახლა კი გთხოვ ფართოდ მომწერო, თავს როგორა გრძნობ? ბიჭები როგორ

არიან? კიდევ დიდხანს იქნება ბატონი ანდრეი სანატორიუმში? მომწერე შენი ყოველდღიური ცხოვრების სხვა წვრილმანებიც.

თუ ამჩნევ, როგორ უკეთ ვწერ ახლა წერილებს? ჩანს შენს დარიგებას ფუჭად არ ჩაუვლია, მაგრამ მწამს, რომ თავად მომხსნი ოდესმე ბორკილებს და მეტყვი: ვლადეკ, იყავ ჩემთან გულწრფელი.

წერას ვამთავრებ; გიკოცნი მეგობრულ ხელებს, თვალებზე ვიფარებ მათ და ვამბობ: ვცოცხლობ იმედით.

ვლ.

P. S. მოსაწყენი და ცივია ეს წერილი, თანაც საკმაოდ უცხო, ხომ მართალია? ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, ვარ ავად, მოქანცული და ამიტომ ძლიერ გაუბედავი.

თუ არჩევს პანი ჩემს ბატიფეხურს?

ბოდიში, თუმცა, თუმცა...

შხამივით მტანჯავს სიყვარული, ო, ჩემო ტკბილო, წმინდა მეგობარო.

15. (ვარშავა) 25 1 1908 შაბათი

იქნებ ორიოდე სიტყვა, იქნებ ათასიც, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ უნდა მოგწერო. მოგწერე გუშინაც. წერილს ალბათ მიიღებდი. მაგრამ გუშინ მოქანცული და ნაღვლიანი ვიყავი, რამაც, ცხადია, ბარათშიც იჩინა თავი, ამიტომ იქ ბევრი რამ მეტისმეტად ცუდად გამოვიდა. დღევანდელიც მაპატიე. სიშმაგეს შევუპყრივარ, სისხლი მაწვება საფეთქლებში და სევდა ისე მჭამს, როგორც მშიერი და სისხლმოწყურებული მხეცი.

დიახ, ჩემი ღირსება მიწაზე ძონძივით დაეცა; ძლივს მოპოვებული სიმშვიდეც გაქრა და დადგა დრო, როცა კვლავ ვყვირი: მიყვარხარ, ვოცნებობ შენზე, ვნაღვლიანობ! თაყვანს გცემ! ღამით ჩემს მარტოობაში მუხლებზე გეკონები და სიყვარულის სისხლიან, მავედრებელ ლოცვას განდობ! ოჰ, რომ შემიყვარებდე! აგიყვანდი მაშინ სევდისაგან მოთენთილი მკლავებით და შენი სხეულიდან მოწყურებული ტუჩებით შევსვამდი ყოველგვარი ბოროტების წყაროს. სამაგიეროდ მოგცემდი სიხარულსა და ბედნიერებას. მოგცემდი ძალას, ჩემში რომ ვგრძნობ, გაზიარებდი გრძნობათა და ოცნებათა მთელ ოკეანეს. გამოცოცხლდი, ქანდაკებავ. გარდაიქმენ სინათლედ და სიყვარულად. გარდაიქეც ნები-

სყოფად, რომელიც თავადაა გამარჯვება და ჯილდო ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის.

ყბედობას მოვუნდი და ამიტომ კვლავ ვერ ვახერხებ იმის თქმას, რასაც შევუპყრივარ მთელი არსებით და რაც მტანჯავს.

სასწაულებრივად წარმომიდგენია ეს სამყარო: აღსავსე ულამაზესი ცისარტყელით, მომხიბლავი ილუზიებითა და ჯადოსნური ოცნებებით.

ო, ჩემო ბეატრიჩე, ჩემო მეგობარო, დამადე ხელი თვალებზე, გადაივწყე შენთვის არასასურველი ამბები და ბადაგივით ტკბილი სიტყვებით სიყვარულზე მელაპარაკე. მომასმენინე ამგვარი მუსაიფი და შემდეგ, თუნდაც სიყვარულის სასიკვდილო ნექტარს შევსვამ.

მკლავებს სიცარიელეში ვიწვდი და ვყვირი „ზღვის უკაცრიელ ნაპირებზე[37]“.

მიყვარს ცივი გრანიტის ქანდაკება.

აი, ჩემი მძიმე ბედისწერა.

ისეთ მღელვარებასა და სიშმაგეს შევუპყრივარ, რომ მსურს ცას დავემუქრო და შევყვირო: რატომ?

ტანჯვის ამ მძიმე წუთებში, როდესაც ბედმა ასე აურ-დაურია მთელი ჩემი ცხოვრება, ვგრძნობ, ვოცნებობ, მსურს, — გიყვარდე! მით უმეტეს, ვიცი, რომ თუკი ნებისყოფას დაძაბავ და მთელ ძალას მოიკრებ ჩემი თხოვნის შესასრულებლად, შეძლებ კიდეც. უნდა შეძლო ეს, უნდა.

ფიქრმაც შეიძლება გაგცეს. ისე კეთილსინდისიერად ვიწამლები ოცნებებით, რომ ხან სამყაროსაც და ჩემ თავსაც ვივიწყებ.

გთხოვ მაპატიო ეს წერილი, ჩემო მშვენიერო სულო; დამრთე ნება შენს წინაშე გამოვიტირო ჩემი ტკივილები და ოცნებები. სად წავიდე! ვის ვენდო, ვინ მომისმენს? მხოლოდ შენ.

საკმარისია. ბოდიში. შემდგომში კვლავ ჩვეულებრივ მოგწერ, მაგრამ დღეს ეს ვერ შევძელი.

ღამით, რამდენიმე საათის განმავლობაში, განუწყვეტლივ შენს სურათს დავცქეროდი.

მიყვარხარ. ნაღვლიანი ველი ორიოდ სიტყვას.

მუდამ შენი ერთგული ვლ.

16. პარიზი 12 II 1908

პასუხს სწრაფად ვწერ, სადღაც კაფეში, რადგან სახლში ნივთების ჩალაგებისა და მოგზაურობისათვის მზადების ქაოსია. მივემგზავრები შაბათს, 15-ში. მივემგზავრები პალერმოში, სიცილიას. მსურს ბოლოს და ბოლოს მოვშორდე აქაურობას, გავექცე ჩემს ხსენებას უკაცურსა და მძიმე დავიწყებაში. წერილებისათვის დიდი მადლობა. ძლიერ ვეღლოდი, მაგრამ გული მატკინა. მეხივით დამეცა თავზე, თუმცა მაინც მადლობელი ვარ.

შენ მართალი ხარ. ჩვენს ურთიერთობას აზრი არა აქვს. რასაც ამის შესახებ ვფიქრობ ვიცი, რომ არ გეტყვი, იქნებ ოდესმე თავად მიხვდე. ამჟამად არ გადაგიხსნი გულს. შენ ხომ არ გიყვარვარ და ჩემს მიმართ გულგრილი ხარ.

ახლაღა ვხვდები, როგორ მოგაბეზრე თავი ჩემი აღსარებით. მაპატიე და გპირდები, რომ მომავალში ეს აღარ განმეორდება. გეფიცები, აღარ დავარღვევ შენს სიმშვიდეს.

თუ ფიქრობ, რომ ცხოვრების უარყოფა, საკუთარი გრძნობების დათრგუნვა, ბედნიერების მოგიტანს, ძალიან ცდები. ადამიანი, ხშირად, საკუთარი თავის მკვლელიც არის და ბედნიერებას მჭედელიც. ცხოვრების სწორი გზა რომ ავირჩიოთ, ნამდვილი და ერთადერთი, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საკუთარ თავს ვიცნობდეთ და ჩვენს სულს კარგად ვფლობდეთ. არ შეიძლება ცხოვრების სასწორზე დადება, თორემ იმან, რაც დღეს ამაღლებულად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება იმედი გაგვიცრუოს. შენ უკვე აირჩიე ცხოვრების გზა. აღფრთოვანებული ვარ შენით და დიდ პატივს გცემ. მაგრამ მგონია, რომ იგი მძიმე და ეკლიანია და არც ვიცი, რამდენად ამაღლებული. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, მოვალეობა კი მონად ხდის, მაშასადამე ამცირებს და უსულო მანქანად აქცევს. მოვალეობა უარყოფის ყველაზე მორჩილი ფორმაა, ეს მონობაა ყოველგვარი ერთგულებისადმი.

მე ასე ვფიქრობ. ისიც მგონია, რომ ინდივიდუალური ცხოვრება იქნებ შეეგუოს კიდევაც მოვალეობებს, მაგრამ სრული უფსკრული მათ შორის, ცოტა არ იყოს მძიმე ასატანია. მხოლოდ სუსტი ადამიანები უხრიან ქედს მოვალეობებს, ისინი, ვისაც არ ძალუძთ დამოუკიდებლად ცხოვრება, გამუდმებით რაღაცას ებღაუჭებიან, რათა შეძლონ თავიანთი საცოდავი არსებობის შენარჩუნება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, შენ შეგწევს დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი და საკუთარი ნებით კი ჰყოფ თავს ყულფში.

ღრმად შემძრა თქვენი ოჯახის წევრების ავადმყოფობამ. თანავუგრძნობ მათ მთელი გულით და მერწმუნე, რომ შემეძლოს, დახმარების მთელ სიმძიმეს ჩემს თავზე ავიღებდი. არა, დარწმუნებული ვარ გამოცდას შენ ვერ გაუძლებ, თანაც ასეთი მამაკაცური სიდინჯით. ბოლოს და ბოლოს, დამარცხდები. ვფიქრობ, შენ ბერძნული სული უფრო გაქვს, ვიდრე ჩრდილოელი ქალბატონისა. შენ გჭირდება მზე, განწყობილება, დიდი ჩანაფიქრების განხორციელების შესაძლებლობა და არა მჭვრეტელობა და მოწყალების დის როლი. თუმცა კარგად არ გიცნობ, მაგრამ ასე მგონია, რომ ბანკეტის შემდეგ მოსაწყენი სინამდვილიდან განმარტოებას ცდილობდი. მართალია არსებობს ადამიანებში ყალბი წარმოდგენა, თითქოს შეიძლებოდეს გარეგანი საგნებით მშფოთვარე სულის დაწყნარება, მაგრამ არა და არა! ტანჯვის ჩაქრობა მხოლოდ ფიქრითა და მარტოობით შეიძლება. სიმშვიდე და მჭვრეტელობა — აი, ერთადერთი, ჭეშმარიტი გზა, რომელიც მოგვაპოვებინებს საკუთარ თავზე გამარჯვებას, იგი ყველაზე ნაცადი და უებარი საშუალებაა! არა გაქცევა ბოროტებისაგან, არამედ ქედუხრელობა და შებრძოლება, შებრძოლება შინაგანი შიშის გარეშე. თუკი საკუთარ თავში ცხოვრებისათვის საჭირო ნებისყოფას ვიგრძნობთ, მაშინ მეტი რაღაა საჭირო. გამარჯვების რწმენა მძიმე ბრძოლების ჟამსაც არ მიგვატოვებს.

არ ვიცი, რატომ ვწერ ამას. განა შეიძლება ვინმეს ცხოვრება ასწავლო? ყველა თავადაა მოსწავლეცა და მასწავლებელიც. ამასთან, არ ვიცი, რომელი ხარ მათ შორის?

საკმაოდ ხშირად გადამიხსნია სული. მეც ჩამიხედია მასში, რათა ჩამეკლა და დამეკარგა ყველა სახის შეგრძნება, რომ შემძლებოდა ფსიქოლოგ-ექსპერიმენტატორივით მშვიდად მეცქირა შენთვის, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისათვის, იქნებ ცოტა უკეთ შემეცანი, მაგრამ სევდა ჩამბუდებია გულში, საკმაო სინანული და მეტისმეტად მოზღვავებული გრძნობაც, ამიტომ სინამდვილის დანახვა მიჭირს.

შენ უკანასკნელ წერილში ჩვენი ურთიერთობის ბედი ძლიერ მკაცრად გადაწყვიტე. ყველაფერს შევასრულებ, რასაც მოითხოვ. ყველა იმ მძიმე ნაღველსა და ზრუნვას, შენ რომ გაწევს, არ მსურს ჩემიც დავუმატო. ვრჩები ჩემთვის.

რად მიღირს ეს მდგომარეობა და როგორ მთრგუნავს, ამაზე არაფერს ვამბობ. არ გამიმართლა, შენ ამაში არავითარი ბრალი არ მიგიძღვის. ჩემი ცხოვრების უდიდესი მონაკვეთი მარცხით დამთავრდა. საკმარისი სასჯელია ოცნებისათვის. ვგრძნობ, რა სასაცილო ვიყავი შენს თვალ-

ში ჩემი სენტიმენტალობითა და მოვლენების გაიდეალებით. შენ კი არა, საკუთარ თავს ვემდური ამ მარცხისათვის. შენს სამყაროში ყველაფერი სხვაგვარად იგრძნობა, იწონება... აი, ეს არის, რაც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს. მძაგს უგულო სიყვარული, წამიერი ცხოვრება, არ შემიძლია სიყალბე. არ შემიძლია სიყალბე გრძნობის გამხელისას, არც სხვაგვარად ცხოვრება ძალმიძს.

ამიტომაა, რომ ვიღუპები, მაგრამ კიდევ გიმეორებ გულწრფელად, არ გემდური, ცალკე ვაწყობ ფურცლებს, რომლებზედაც ერთადერთი სიტყვაა დაწერილი: სიყვარული! ვაწყობ, რადგან შეშინდი მათი წაკითხვისას. გედისათვის არაა ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი, შეუპოვარი ქროლა ლურჯი ცის ქვეშ. მან სინამდვილის მშვენიერ, წყნარ, მდორე წყლის პირას უნდა იცხოვროს. სხვაგვარად მას არ ძალუძს. მშვენიერნი არიან, ამიტომ ფრენა მხოლოდ იქ შეუძლიათ, სადაც მათი სპეტაკი, თოვლივით ქათქათა ბუმბული არ დაისვრება. მაგრამ კმარა. შენ მიტოვებ ამ ძვირფას წიგნს: მეგობრობისას. ხომ მართალია? და იმის იმედს, რომ ოდესმე მას ერთად წავიკითხავთ. მაშინ უკვე აღარასოდეს გავიხსენებთ იმ უწინდელ, საშინელ სტრიქონებს, კარგი? მეგობრად ვრჩებით. მე არა თუ ვუარყოფ შენს მეგობრობას, მთელი გულით გვედრი.

იმ დღეს, როდესაც ამ წერილს მიიღებ, უკვე შორს ვიქნები. ნება დამრთე, ჯერ გზიდან, ხოლო შემდეგ ქალაქიდან, ორიოდ სიტყვა მოგწერო. უბრალო, მეგობრული. კარგი?

ამით უნდა დავკმაყოფილდე, თორემ ამ წუთს ჩემს სულში ისეთი საშინელი ქარიშხალი იბუდებს, რომ წერილს წყევლა-კრულვა მოჰყვება. ასე რომ, ვამთავრებ. ძლიერ გთხოვ, მომწერო. მთელი სულით გეედრები, მიპასუხო ამ წერილზე.

აპრილის შუა რიცხვებამდე ჩემი მისამართია: სიცილია, პალერმო, მოკითხვამდე: „ვანდა“.

ო, რა ცხარე ცრემლები მდის ბევრი, ბევრი რამის გამო.

გიკოცნი ხელებს, გიკოცნი მომავალ შეხვედრამდის.

ერთგული — ვლ.

17. (ამალფი) 9 III 1908

გაზაფხული ჩამისახლდა სულში და მადლიერების გრძნობამ ამამღერა. ამ მხსნელი წერილისათვის არა მხოლოდ მადლობას გწირავ, არამედ გლოცავ და გადიდებ. მზესავით მომჭრა თვალი მისმა ბრწყინვალებამ, იგი მზეა ჩემთვის. მისი კითხვისას გულში გამარჯვების ჰიმნი მაღლდება.

პალერმოში გამოგზავნილი წერილი მოიძებნა[38]. მივწერე, გამომიგზავნონ. წინასწარ ვსიამოვნებ წერილით და საოცრად მაინტერესებს.

რა შეიცვალა შენში? თუმცა ამის პასუხი წერილში იქნება. ხომ ასეა? „შენობით" მომმართავ, თითქოსდა შენდა უნებლიედ, სხვა დანარჩენი კი სასტიკია, ცივი და უცხო, თითქმის მტრულიც.

დიახ, კარგად მესმის შენი ცხოვრების ტრაგედია[39], მესმის; რომ შემეძლოს სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, ოღონდ შენთვის ბედნიერება მომენიჭებინა. ვაგლახ, რომ ვერაფრით ვერ განუგეშებ ამ სიშორიდან. გთხოვ, შენი ვნების ძნელ წუთებში გაიხსენო, რომ ქვეყნად არის ადამიანი, შენი უაღრესად ერთგული და მუდამ მზადმყოფი, სიხარულით გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი, ოღონდ შენ მდგომარეობა შეგიმსუბუქოს. უშნოდ ჟღერს ეს სიტყვები, რადგან ძალიან ვარ აღელვებული. დიდი მადლობა ხშირად მოწერის ნებართვისათვის. ვისარგებლებ. შენც ხშირად მომწერე, გამოეშურე ხოლმე ჩემსკენ ნებისმიერი ტკივილისას. მთელი გულით შეგიკედლებ და მოგეფერები, გავიყოფ შენს ტკივილებს და იქნებ დაგიამო კიდეც, კარგი?

წერილები მომწერე სახელით „ვანდა", — ასე უსაფრთხოცაა და ნაკლებადაც მიაპყრობენ ყურადღებას. მარტის ბოლოს მიემგზავრებით? მე მაშინ ფლორენციაში გადავინაცვლებ. ასე, რომ შენი გამგზავრების შესახებ ცნობა იქ გამომიგზავნე, — „მოკითხვამდე". მეც ასევე მოგწერ, არცახონში. ღმერთო, იქ გამგზავრება რომ შემეძლოს!. რა მიმართულებით მიემგზავრებით? პარიზის გავლით? მაისის ბოლოს პარიზში ვიქნები და იქნებ იქ განახო? ასეთ ბედნიერებაზე ოცნებაც მიჭირს, მაგრამ სული ისწრაფვის და მეც მოწყურებულ ხელებს გიწვდი. შენც იფიქრე და მოიწადინე. ნუთუ ეს ბედნიერებაც არ გვეკუთვნის? თუნდაც ორიოდ საათი, შიშის გარეშე, საზეიმო საათები. რომლებიც ჩვენი სულების განახლებას შესძლებდნენ. იფიქრე, ეს ხომ ჩვენი ზიარება იქნება. განა ძალუძთ წერილებს, შესცვალონ ცოცხალი სიტყვები, მზერა, ხმა? უმხურვალესი წერილიც მკვდარია, ბედნიერებით დამუნჯებულია შეყვარებულის ჩურჩულთან შედარებით.

მომწერე შენი აზრი ამის შესახებ. ბევრი რამ მაქვს საამბობი, მაგრამ უკვე აღარ ვიცი, რა გითხრა სათაყვანო სიტყვებს გარდა.

შემდეგ წერილში უფრო ფართოდ მოგწერ. ახლა ასე იყოს. ნამდვილად ვიქნები ზაკოპანეში აგვისტოსა და სექტემბერში[40], ხოლო მაისიდან — კრაკოვში. ალბათ მაშინ გნახავ, ჩემო ფიქრო და ჩემო ცხოვრებავ. მომწერე, ნუ დამივიწყებ.

მუხლს ვიყრი და გიკოცნი ხელებს. დაე, თუნდაც ოცნებაში შემომეჭდოს შენი მკლავები, შენი ტუჩები კი ჩემსას დაეწებოს. მიყვარხარ, მწამს შენი.

გელი და ვნაღვლობ.

შენი ერთგული — ვ.

18. ფლორენცია 3 IV 1908

გამუდმებით ვკითხულობ შენს უკანასკნელ წერილს. გადავდებ გვერდზე და კვლავ ვკითხულობ. მთელი არსებით ვისრუტავ წერილიდან ყოველ ცრემლს, ყოველ ტკივილსა და ტანჯვას. ეს ქაღალდი ხომ შენი გულითადი ცრემლითაა მორწყული. ო, წმინდა მსხვერპლო[41], ეს ბარათი წმინდანის ცრემლითაა და სისხლითაა დალტობილი! ვგრძნობ, რაც უნდა გადაგეტანა! საშინელებაა! შენი მდგომარეობა ჩემთვის ორმაგად მტანჯველია, რადგან ადამიანს ყოველთვის ჰგონია, რომ თუ ტანჯვის წუთებში შეყვარებულთან იქნებოდა, მაშინ შესძლებდა მისი მდგომარეობის შემსუბუქებას. შემეძლოს მაინც შენი ტანჯვის საკუთარ თავზე აღება! ო, ჩემო წმინდა მსხვერპლო! დიდი სიამოვნებით მივცემდი ჩემს სიცოცხლეს, ოღონდ შენთვის წამება შემემსუბუქებინა. ვიცი, რომ ეს არ შეიძლება და ამიტომ ვწყევლი ბედს და საკუთარ უსუსურობას. იძულებული ვარ შენგან შორს ვიყო; ვერ მომაპყრობ განაწამებ თვალებს და მეც ძალას ვერ შეგმატებ, ტკივილებს ვერ დაგიშუშებ და ტანჯვას ვერ შეგიმსუბუქებ.

გულახდილად გწერ. ნება შენ დამრთე. ჩემი სიტყვები გატანჯული სულის ყივილია. ამ წუთას ჩემში ეგოიზმის, საკუთარ თავზე ფიქრის ნასახიც არაა. მხოლოდ შფოთვაა შენს გამო და უღრმესი თანაგრძნობა. რომ შემეძლოს ხელში აგიყვანდი, მკერდში ჩაგიკრავდი და გადმოგცემდი სითბოს, უხვად რომაა ჩემში, თავს დაგავიწყებდი და ტკბილ ღიმილს აღვძრავდი შენს განაწამებ ტუჩებზე, — ოღონდ შეგეძლოს ხვალინდელი დღის რწმენით ჩემი მკლავებიდან ამაღლება.

ამას ვოცნებობ, ეს მსურს შენთვის და ვაგლახ რომ ყოველივე მხოლოდ ქაღალდის ექოდ, წერილებში და ისიც ხანდახან შემიძლია გადმოგცე!

წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა!

იქნებ არც დაიჯერო, მაგრამ გეტყვი, რომ ყველაფერი ის, რაც შენ გადაგხდა, ძალიან განვიცადე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ცუდი რამ შეგემთხვა და ისე შევშინდი, რომ ვიდრემდის შენს წერილს მივიღებდი, რაღაც მოუსვენრობამ შემიპყრო, ყოველ ღამე, საკმაოდ დიდხანს, ასე ორი კვირა მაინც, მესიზმრებოდი. მერწმუნე, ჩვენს შორის რაღაც იდუმალი კავშირია. მე აშკარად ვგრძნობ მის ძალმოსილებას.

იცი, ის სიზმარი, შენ რომ ახსენებ, და რომელმაც ძალა შეგასხა, ზუსტად იმავე დროს მეც მესიზმრა. მახსოვს, გაშმაგებით გკოცნიდი, შენც მპასუხობდი, რაც ძალიან მსიამოვნებდა[42].

რა დამაიწყებს მას.

თუნდაც მყისიერი ბედნიერება ხომ განვიცადეთ სიზმრისეულ ოცნებებში. იქნებ იგი არც თუ შორეული სინამდვილის მაცნეა? ძალიან ისურვე და აგისდება კიდეც!

ახლა მშფოთვარე და გატანჯული ვარ და რაიმეს მოწერას ვერ ვბედავ. მხოლოდ ზოგიერთ რამეს გეტყვი. ამგვარად, შენს სახელზე „ვანდა ტ.", ორი წერილი გამოვაგზავნე, ერთი ამალფიდან, პალერმოდან შენი წერილის მიღებისთანავე, მეორე ფლორენციიდან. ორივე დამიბრუნდა და თუ გსურს, მათ ზაკოპანეში გამოგიგზავნი. იმ შემთხვევაში, თუ იქიდან წერილების მიღებამდის წახვალ, მაშინ იქაურ ფოსტას მისწერე და მათი გამოგზავნა მოსთხოვე. მირჩიე, როგორ მოვიქცე.

მომწერე თავს როგორ გრძნობ. ძალიან მაფიქრებს შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

თავს ნუ იტანჯავ და ძალებს უზომოდ ნუ ფლანგავ ავადმყოფობაზე გამუდმებული ზრუნვით, — ხვდები ალბათ, რისი მეშინია! ძალიან, ძალიან გთხოვ, გაფრთხილდე[43]! შვილებს სჭირდები, გახსოვდეს! როგორ არიან? იცი, ზოგჯერ ისე ვფიქრობ მათზე როგორც საკუთარ შვილებზე. ნუ გიკვირს, ისინი ხომ შენი ბავშვები არიან!

ერთი კვირაა ფლორენციაში ვარ. სასწაულებრივ მშვენიერია აქაურობა. ირგვლივ ყვავილები ჰყვავიან და სურნელებას აფრქვევენ. მაგრამ რა აზრი აქვს ყოველივე ამას უშენოდ. ფიქრით სულ შენთან ვარ. ვოცნებობ ყვავილთა შენს ფერხთით დაფენას და ამ საოცრებით შენს დათრობაზე. ახ, რომ შეგეძლოს ჩემი მეგზურობა...

მეოთხე გვერდს ვწერ და ვიცი, ბევრი არაფერი მითქვამს. ღმერთო, რა საოცრად მკვდარი და ციური სიტყვა, როდესაც მთელს არსებაში ვულკანი, ტიტანის ძალა და გრძნობათა ოკეანე ბობოქრობს. იქნებ ოდესმე შევძლო ამის გადმოცემა.

ვანდა, პალერმოში გამოგზავნილი წერილისათვის არა თუ მადლობას გიხდი, არამედ მუხლს ვიყრი შენს წინაშე და სიხარულის ცრემლებით ვალტობ შენს ფეხებს. ვშიშობ, მეტისმეტად ბევრს გწერ. შენ ისედაც მოქანცული იქნები და ჩემი წერილი თავს მოგაბეზრებს. მომწერე, რას აპირებ გაზაფხულზე. ეთქვათ, ავადმყოფი მალე მომჯობინდა და ექიმები სადმე ჩრდილოეთში გირჩევენ წასვლას. მე მაისის დასაწყისში კრაკოვში ვიქნები და დაგელოდები, თუკი ჩამოხვალ. შენ აუცილებლად უნდა გნახო, აუცილებლად. იმაში ხომ საკმაოდ დავრწმუნდით, რომ საჭირო არაა ბედის მოწყალებას ველოდოთ და სასურველ შემთხვევებზე ავაგოთ ცხოვრება. არა! თავად უნდა ავიღოთ ბედი ხელში და თავად გამოვჭედოთ ბედისწერა.

შენმა პალერმოში მოწერილმა ბარათმა მრავალ რამეზე ამიხილა თვალი; ბევრი რამ გამაგებინა, — აქამდის რომ არ ვიცოდი, რადგან შენ არ მეუბნებოდი! ამგვარი რამ აღარ განმეორდება, გეფიცები. მრავალი რამ იმიტომ არ შემეძლო, რომ ვერ ვხვდებოდი, რას წარმოვადგენდი შენთვის.

არცახონამდის ძალიან შორსაა, ნუთუ არ შეგეძლოთ სადმე ახლოს გამგზავრება? მოიფიქრე ეს. მსურს დამთანხმდე, რადგან ახლოს ჩამოსვლა შემეძლებოდა.

მოწყურებული ველი შენს წერილს. მომწერე, გთხოვ. კარგად იცი, რაა შენი წერილი ჩემთვის, — ერთადერთი საყრდენი, იმედი და ბედნიერება.

ახლა კი, როგორც იმ სიზმარში, სიყვარულით გიხუტებ მკერდში, გეკონები მოწყურებული ტუჩებითა და გკოცნი, გკოცნი შმაგად, თავდავიწყებამდის, სიკვდილამდის, ვიდრე მთლიანად არ შევერწყმით ერთმანეთს.

გრძნობ ამას? გსურს? თუ ფიქრობ ამის შესახებ?

წერილი ადრინდელივით შენი სახელით გამომიგზავნე.

წერილის პირდაპირ სადგურიდან გამოგზავნა რომ შემეძლოს, ფოსტის მუშაკებს არ ჩაუვარდებოდათ ხელში. ძალიან ვშიშობ ამ ჭორიკნებისა და უსაქმურების ყურადღება არ მიიპყროს ჩვენმა კორესპონდენციამ.

ველი წერილს. მიყვარხარ!
მიყვარხარ, ერთადერთო!

შენი ვლ.

P. S. იმავდროულად გიგზავნი ბარათს, — ხალხის მოსაჩვენებლად[44]. ო, სასწაულო, ამ წუთას წინ მიდევს შენი სურათი და კოცნით ვფარავ მას... გრძნობ?

19. ფლორენცია, 19 VI 1908

მეოთხე წერილს გწერ შენი წერილის ნაღვლიან მოლოდინში. არ კი ვიცი, გამოვაგზავნი, თუ ჩემს ხელნაწერში დაივანებენ და მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას დაელოდებიან, რათა მისი წაკითხვა შესძლოს სოცარმა, დედოფლურმა თვალებმა, ვისთვისაც ისინია დაწერილი! ეს ჯერ არ გადამიწყვეტია.

მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია და გწერ. წერისას ისეთი ილუზია მექმნება, რომ შენთან წყნარად, მეგობრულად ვსაუბრობ და ჩვენს შორის ყოველგვარი ბარიერი გამქრალია. ასეთ წუთებში ლაპარაკობენ არა ჩემი ტუჩები, არამედ სევდით აღსავსე სული ჩემი.

გულში გადანაშაულებ კიდეც, რომ ასე დიდხანს მალოდინე. შეშფოთებით ვკითხულობ, — რა მოხდა? რისთვის?

იქნებ არ მიგიღია ჩემი უკანასკნელი ბარათი? ისე ვიყავი შენი წერილით შეძრული, ისე დამაავადეს შენმა ტანჯვებმა, რომ თავადაც ცრემლებითა და თანაგრძნობით სავსე გწერდი, ცოტა გონებადაკარგულიც. თავს ვიმართლებ, რათა აგიხსნა იმ წერილის, ცოტა არ იყოს, მკაცრი ტონი.

ვერასოდეს ვერ შევძელი ზომიერების დაცვა და თუ ამის გამო არ მპასუხობდი, ეს ჩემი ბრალია და დანაშაულიც.

ასე რომ, ოდნავ გემდური კიდეც, — სიჩუმისათვის. ჩემთვის ძალიან ძნელია შენი წერილის გარეშე გაძლება. მის მოლოდინში დღეები ცარიელი და მოსაბეზრებელია, მათგან შემდგარი კვირა კი გაუთავებელი, გულისგამაწვრილებლად გრძელი. ცუდად ვგრძნობ თავს, ხშირად მთელი დღეები ვწევარ[45] და ყოველ წუთს მოგონებებით ვავსებ, ვაბრუნებ მათ გონებაში, როგორც ვარდის ტოტს, ახალგაშლილი კოკრებით სავსეს, რომელსაც არც ეკლები აკლია. თუმცა მარტოობაში ტანჯვაც სიკეთეა, რადგან ამ დროს იმედი და სასწაულის მოლოდინი იბადება.

გესმის ჩემი?

მეჩვენება, რომ წყაროს ნაპირს მივყვები ბურუსში, როგორც მაშინ[46] და საუბარში სულს გიხსნი.

დღესასწაულია დღეს, აღდგომა! ფლორენციის ზარები მხიარულად რეკავენ. მათი ექო გალობასავით მიჰქრის ნაწვიმარ, ფერმკრთალ სამყაროში. ჩემს ხმასაც რომ შეეძლოს ასევე გაქროლება და შენს სულში ექოს გამოცემა, თუნდაც მწუხრის ზარების გაჟღარუნება.

ზაკოპანეში ხშირად ვარ. დროდადრო, განსაკუთრებით ბინდბუნდში, შევყურებ განათებულ სარკმელს, ოცნებით გეძებ იქ, დაგყვები ოთახებში, ჩაგჩურჩულებ და უგონოდ ვეცემი. გონს შორს, უცხო ადგილას მოვდივარ და მწარე სინანული მიპყრობს. ჩემს ახლანდელ ცხოვრებას მხოლოდ ამგვარი ზმანებები შეადგენენ. მუშაობა რომ არა, რომელშიც უფრო და უფრო გამძაფრებით ვეფლობი, აქ ვერ გავძლებდი[47]. კრაკოვში ხეტიალზე ვოცნებობ. იქნებ იქ ახდეს ნატვრა და გნახო. აუცილებლად უნდა მოხდეს ეს. მე ხომ ამის იმედით ვცოცხლობ და მხოლოდ ამასღა ველი. როდის და სად მიემგზავრები?

გევედრები შემატყობინე, რადგან მასზეა დამოკიდებული ჩემი სამშობლოში დაბრუნება.

თუ არსად არ მიემგზავრები, მაშინ კრაკოვში მაისის დასაწყისში ვიქნები.

გთხოვ პირველ რიცხვებში დაწერილი წერილები ძველებურად კრაკოვში გამომიგზავნო, ოღონდ დამატებით დააწერო: „კრაკოვი“ ანდა „ვ... კრაკოვი“. მეშინია, რომ კვლავ არ გაიბნეს.

დღესასწაული როგორ გაატარე?

მე ცუდად. მრავალ მიზეზებს დაემატა წვიმაც, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში არ გადაუღია.

როგორაა ბატონი ა.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა[48]? გთხოვ ვრცლად მომწერო შენს შესახებ, რადგან წერილმანი ამბებიც კი ძალიან მაინტერესებს. მე ხომ შენი ცხოვრობით ვცხოვრობ.

ვამთავრებ წერას, რადგან არ ვუწყი, რა ხასიათზე შეხვდები წერილს, რაც ძლიერ მაღელვებს.

გიკოცნი კეთილი ხელების ყოველ თითს და ერთხელ კიდევ გთხოვ შენი ამბების მოწერას.

შენი ერთგული ვლ.

P. S. ხედავ რა მშვიდია ეს წერილი, როგორ შემიძლია ლაგამი

ამოვდო ჩემს თავს! მაგრამ თუ გრძნობ ასევე, რად მიღირს ეს და რა ძნელია მოკუმული პირით ლაპარაკი.

„მ“[49]...

20. ფლორენციაა, 22 IV 1908

შენი მოსალოცი წერილი გუშინ გადმომცეს. ძლივს არ მივიღე მეორე წერილი შენგან ფლორენციაში. ფრიად გამახარა, მაგრამ პასუხმა გული მატკინა. როგორ, მაშ სექტემბრამდის ვერ გნახავ[50]. რა საშინლად აეწყო საქმის ვითარება. ზაფხულის იმედით ვცოცხლობდი. ვოცნებობდი, თუნდაც ორიოდე დღით მაინც ვნახავ-მეთქი. ჩვენ ხომ ზაკოპანეში აგვისტოში ვიქნებით. კვლავ ყველა გეგმა ჩამეშალა. ღმერთო, რა სასტიკია ბედი ჩემს მიმართ! კიდევ ამდენი თვე ლოდინი! მეტი არ შემიძლია. შენ ვერც მიხვდები, როგორ მთრგუნავს ყოველივე ეს. შენგან არავითარი ცნობა არ მიმიღია. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა. ალბათ, იმ დროისათვის, როდესაც ამ წერილს წაიკითხავ, შენი პასუხიც მომივა, მაგრამ ახლა კი გაუქარვებელი სევდით ვკვდები. ამაშორე, წმინდანო, ამ გაუთავებელ მოლოდინსა და ტანჯვას. თუ კიდევ ვარსებობ, პალერმოდან მიღებული შენი წერილის წყალობით. იგია ჩემი შემწე და მანუგეშებელი. წმინდა, დალოცვილი წერილია. მკვდრეთით აღმადგენელია აქ ყოველი სიტყვა! რწმენის ცხოველი წყაროა! ვანდა! ვბედავ ხანდახან ასე წერას. ერთადერთო, უწმინდესო, სულო ჩემო სულისავ! შემიყვარე! რომ შემეძლოს დარწმუნება ჩემი გრძნობების სიღრმეში, მაშინ, მჯერა, შემიყვარებდი; მაგრამ, შენ გჯერა ჩემი, ხომ მართალია? აგერ, წელიწადნახევარზე მეტია, რაც ასე ვიტანჯები და ნუთუ ამან გრძნობათა სიწრფელეში ვერ დაგაჯერა?

ნებით გავხდი შენი მორჩილი ტყვე მთელი სიცოცხლის მანძილზე.

აღარ მსურს მოგწერო ამის შესახებ, არ მინდა თავი მოგაბეზრო, მაგრამ საყვედურს კი გეუბნები. გთხოვ პასუხი მალე დამიბრუნო.

ალბათ გრძნობ, რომ ფიქრით სულ შენთანა ვარ, შენ გიხმობ. უნდა გრძნობდე ამას. საით მიემგზავრებით არცახონიდან ამ ზაფხულს? ბრეტანი ხომ დიდია ჩრდილოეთში, ბრესტსა და ხერბურგს შორის. იქ მართლაც უკეთესი იქნება, რადგან დაბლობში ძლიერ ცხელა. ახლა კი ერთ რამეს გთხოვ. სადაც არ უნდა იყო, მოვალ შენს სანახავად, თუნდაც ორიოდე საათით! მომეცი ნება! ვანდა! უსაყვარლესო! მაჩუქე ეს ბედნიერება! უმორჩილესად გევედრები! ნურაფრის ნუ გეშინია, ყველაფერს ისე მოვაწყობ, ვერავინ დაეჭვდება.

არცახონამდის გზას არ ვუფრთხი. მას კარგად ვიცნობ. ესეც არ იყოს, მზადა ვარ შენს სანახავად საიქიოშიც კი წამოვიდე, მაგრამ იმ დროს არცახონში ჯერ კიდევ ცოტა ხალხია და შეიძლება ყურადღება მოგვაპყრონ. ვვარაუდობ იქ ივნისის ბოლოსათვის იქნები, ივლისში კი სხვაგან გადაინაცვლებთ. თუ იტყვი: პარიზი, კეთილი, იქაც შემიძლია წამოვიდე. თქვენ ალბათ რომელიმე დიდ პლაჟზე გაჩერდებით და მე ყველგან ვიპოვი სასტუმროს ან რაიმე თავშესაფარს; გნახო,გესაუბრო, გისმინო — ეს ნატვრაა, აუცილებელი და გარდაუვალი. რომელიც ჩემს ცხოვრებას უსაზღვრო ძალით წარმართავს.

ზაკოპანეში თუნდ სექტემბრის ნახევრამდის დაგელოდები, მაგრამ იქ მრავალი თვალი გვითვალთვალებს და ჩვენი სულები იძულებული იქნებიან ეტიკეტის რკინის ბორკილებში გამოემწყვდიონ. დამრთე ჩამოსვლის ნება, საოცარო! დამრთე ნება! თვალწინ მიდგას ეს შეხვედრა! მასზე ფიქრებით ვცოცხლობ! ო, წმინდანო, ო, ჩემო სასწაულო, ნახავ და იგრძნობ, თუ რას მოგითხრობენ ჩემი თვალები და რას გიგალობს ჩემი ნაღველი და ჩემი სიყვარული!

ახლა მოკლედ გეტყვი ჩემი გეგმების შესახებ.

15 მაისიდან კრაკოვში ვიქნები. ივნისის ბოლოს მივდივარ კოსოვოში, ალმოსავლეთ გალიციაში. ივლისის ბოლოს ორი კვირით პოზნანში და მაშინ შევძლებ შენს შესახვედრად წამოსვლას. აგვისტოს შუა რიცხვებში ზაკოპანეში ვიქნები. აი, ასე! ახლა მუხლს ვიყრი შენს წინაშე და სევდიანი ისეთი გაშმაგებით გიკრავ მკერდში, რომ მყისვე იგრძნობ, თუ როგორ მოწყურდი ჩემს ტუჩებს, ჩემს მკლავებსა და მთელ ჩემს არსებას. გკოცნი გონებადაკარგული და ნაღვლიანი, უწმინდესო სულო ჩემო!

შენი ერთგული ვლ.

P. S. მომწერე: კრაკოვი „მოკითხვამდე“,„ვანდა — კრაკოვი“. ვცხოვრობ შენი ცხოვრების ნამცეცებით.

მიყვარხარ! მიყვარხარ!

თუმცა არ გთხოვ, მაგრამ თავად იგრძნობ, რა ძალიან ველი შენს წერილს.

21. ფლორენცია 4, V 1908

მცირეოდენ გულწრფელობას გვედრი! აგერ თიოქმის თვეა, შენგან წერილი არ მიმიღია. რა მოხდა? რატომ? გამეხსნა სამოთხის კარი და შემდეგ კვლავ წყვდიადში მომისროლეს. გამუდმებით ვიცდი, მოლოდინი მაცოცხლებს, მაგრამ ამაოდ: არა და არ არის წერილი ფოსტაში. ან იქნებ შეცვლილი სახელით გზავნი? ადამიანები განა იმიტომ არა ვართ, რომ ერთმანეთს სევდა გავუქარვოთ?! ხომ უნდა ვიცოცხლოთ, თუნდაც ილუზიებით. აღარ შემიძლია მეტის ატანა. ნუ მომკლავ., უწმინდესო. ჩემი სული მოუსვენრობისა და სასოწარკვეთილებისაგან ტირის. ხანდახან შემაშფოთებს ხოლმე აზრი, ავად ხომ არ არისმეთქი. იქნებ თავი მოგაბეზრა ჩემმა გაუთავებელმა ჩივილმა? არა! არა! შენი ბოლო წერილების გადაკითხვა მამხნევებს! იქაა ის წყარო, საიდანაც ძალას ვიკრებ. მწამს შენი! მიბრძანე და გერწმუნები საუკუნოდ.

იცი, ყველა ის ბოროტება, რაც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებდა და გამუდმებით ხელს გვიშლიდა, წარმოსდგება შენი უთქმელობიდან და კიდევ იქიდან, რომ რადგან მიყვარდი სიცოცხლეზე მეტად, ვშიშობდი, არ დაგეცინა ჩემთვის.

ვერ ვბედავდი სიყვარულში დამერწმუნებინე და ამიტომ დავისაჯე ასე მკაცრად.

რატომ არ მწერ? გევედრები: გულწრფელ წერილს!

შენს ბოლო წერილზე, სადაც ბატონ ა. ავადმყოფობასა და შენი მძიმე მდგომარეობის შესახებ მწერდი, მაშინვე გიპასუხე. შემდეგ სადღესასწაულოდ მოგწერე. პასუხი არ ჩანს.

საბედნიეროდ, მივიღე სადღესასწაულო მოლოცვა, სადაც არცახონში გამგზავრების საკარაუდო თარიღი გაქვს აღნიშნული. დარწმუნებული ვიყავი ბარათთან ერთად წერილიც იქნებოდა. არ იყო, არა!

კვლავ გწერ და გვედრი ორიოდ სიტყვას. წერილი არცახონამდე გამოგიგზავნე, შეიძლება მოაღწიოს შენამდე. აქედან 7-ში მივემგზავრები, 12 კრაკოვში ვიქნები. იქ ასე მომწერე: „ვანდა — კრაკოვი“.

ერთსაც გთხოვ:

ჩემი ცხოვრება და მომავალი ახლა წყდება. ამიტომ უნდა განახო და გელაპარაკო. დამრთე შენთან მოსვლის ნება! მომეცი თუნდაც ნახევარი საათით შენთან ლაპარაკის საშუალება! მოვალ, სადაც მოისურვებ, — პარიზში, გინდ არცახონში. ოღონდ შენი ხილვა შევძლო. თუ შენთვის ხელსაყრელია, ბორდოშიც ჩამოვალ, შორს არაა. 15

იენისამდის თავისუფალი ვარ[51]. თავისუფალი თუნდაც სამუდამოდ, თუ შენ ასე მოისურვებ და ამის ნებას დამრთავ! ჩემი სევდა ისედაც შენს კვალს დაჰყვება! ღმერთო, როგორ მსურს ვიცოდე, რას ფიქრობ ახლა?

ჩვენ შეხვედრებს ისეთს გავხდიდით, როგორსაც მოისურვებდი! ყველაფერზე თანახმა ვარ, რასაც გადაწყვეტ, ოღონდ ერთადერთი სიტყვა მითხარი: მოდი! შემდგომ რაც იქნება, შენი ნებაა და ბედის ნება! ძალიან გთხოვ, შენი ცხოვრების, ფიქრებისა და გრძნობების შესახებ მოიწერო.

ო, ჩემო საოცარო, მიუწვდომელო ქალბატონო, რა ძალიან ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი და ასახსნელი.

საოცრება იქნებოდა ოკეანის ნაპირას განმარტოებული მენახე. ჩვენი ამგვარი შეხვედრა ხომ საუკუნო ცხოვრების ალდგენის, სულთა ზიარების, მათი შერწყმის დასაწყისი იქნებოდა. აი, ესაა ჩემი ოცნება, მაგრამ განა რეალურად ძნელი განსახორციელებელია?

არც ცოდვაა. რა ცოდვაა ღრმა სიყვარული და უსაზღვრო გრძნობა?! ეს ყველაფერი, რასაც გეუბნები, იმის ნაწყვეტებია, რისი გამოთქმაც ძალზე ძნელია. ეს ფრაგმენტებია, რაც შემეძლო შენთვის მეჩურჩულა.

ასლა საცოდავად მივათრევ ცხოვრებას. შენი წერილის მოლოდინში აგერ ერთი თვეა, ძლიერ ცოტას ვმუშაობ. ანდა რისი გაკეთება შეიძლია სევდით გატანჯულს? შენს წერილს კვლავ კრაკოვში დავუცდი; გამოიმეტე! ღიად წერას ვერ ვბედავ. ვშიშობ, როგორ მიიღებ, მაგრამ გელოდები!

სევდისაგან ვკვდები, მიყვარხარ!

ვკვდები. მომწერე: ჩამოდი!

შენი ერთგული ვლ.

22. კრაკოვი 5 VI 1908 წელი

დიდ ბოდიშს გიხდი წერილის დაგვიანებისათვის. ისე მოხდა, რომ რამდენიმე დღე კრაკოვში არ ვყოფილვარ. პოზნანში წავედი, მანამდის კი ფოსტაში შევლა, სადაც შენი წერილი მელოდებოდა, ვერ შევძელი. ეს შემთხვევით მოხდა, თორემ შენს ყოველ სიტყვას მოუთმენლად ველი. წერილის დაგვიანებით მოწერას ხომ მაპატიებ? ისიც მამშვიდებს, რომ უკვე მიიღებდი ჩემს ვრცელ, ყველა კითხვაზე ამომწურავად პასუხის გამცემ წერილს! ასე რომ, უკვე იცი, რას ვფიქრობ და ვგრძნობ, რაზე ვოცნებობ...

წერილში მოგწერე, რომ შემდგომშიც მივუბრუნდები ამ საკითხებს. ახლა კი ნება დამრთე კითხვაზე გიპასუხო; ახლა კრაკოვში ვარ, კოსოვოში აღარ წავალ, მაგრამ 15 ივნისის შემდეგ, ზამთრამდის ზაკოპანეში გადმოვინაცვლებ. რაც შეეხება ზამთარს, ეს შენზეა დამოკიდებული. ან იქ ვიქნები, სადაც შენ, ან იქვე ახლოს, ან კრაკოვში. როსცოფს არ ვიცნობ. ვიცი მხოლოდ, რომ იქ თბილა, უხვად ბოსტნეული მოჰყავთ და მაღალი წრის ხალხი ნაკლებად დადის. კლიმატი ზომიერია, ნალექები მცირე, ამიტომ ზედგამოჭრილია ავადმყოფებისთვის. მიყრუებული კუთხეა, თუმცა ძალიან ინტენსიური მოძრაობაა დიდ ნავსადგურთან სიახლოვის გამო. პარიზიდან საკმაოდ შორსაა, თითქმის ისეთივე მანძილითაა დაშორებული, როგორც არცახონი, ოღონდ მატარებლების მოძრაობა უფრო ცუდია. ვიცი ისიც, რომ სადგურ მალოს ორივე მხარეს მრავლადაა პატარა, ერთმანეთთან ტრამვაებით დაკავშირებული მყუდრო პლაჟები; მშვენიერია იქაურობა. სადგურ მალოდან მუდმივი კავშირებია კუნძულებთან, ხოლო დენარდამდე თუ სხვა დიდ ქალაქამდის, ახლოა. ბრეტანის ამ ნაწილის გასაცნობად არსებობს გზამკვლევები, რომლებიც შეგიძლია ნახო ბორდოს რომელიმე ბიბლიოთეკაში; თუ გსურს, მე გიშოვი. ახლავე მოვითხოვ ლიპსკიდან და გამოგიგზავნი, ანდა, დავავალებ, პირდაპირ შენ მოგიტანონ, კარგი?

მთელი სულითა და გულით გთხოვ — მაჩუქე შენი ფოტოსურათი. მაქვს შენი სურათი, რომელსაც სულ თან დავატარებ, მაგრამ გთხოვ ახალს, რადგან სურათები, ადამიანებივით, იცვლებიან. ეს სურათიც, მართალია, ძალიან კარგია, მაგრამ ოდნავ უცხოა. იგი მაშინდელი გადაღებულია, როდესაც ჯერ კიდევ არ გიცნობდი და სხვანაირი იყავი. გთხოვ, კრაკოვში გამომიგზავნო, ასევე მოკითხვამდე, ოღონდ დაზღვეული, რომ არ დაიკარგოს.

რატომ გიწოდებ საოცარს, მიუწვდომელს? პასუხის გაცემა, მით უმეტეს წერილობით, ძნელია. ამას ზეპირი მსჯელობით გაცილებით ადვილად მოვახერხებდი. ვეცდები ისე დაგახასიათო, როგორც გხედავ. თავიდანვე ბოდიშს გიხდი შეცდომებისათვის.

პირველ ყოვლისა, არ ხარ უბრალო, არც რთული. ასეთ ადამიანებს არ ძალუძთ ვინმეს მოხიბლვა, საამისოდ არაფერი გააჩნიათ. წყალივით გამჭვირვალენი არიან და უინტერესონი. შენ ძალზე მდიდარი ბუნების ადამიანი ხარ, რომლის გარეგნული უბრალოება სინამდვილესთან შეგუების უნარია. შენს პრინციპულ ხასიათად მიმაჩნია დაუძლეველი მოთხოვნილება, უყვარდე ყველას. ამასთან გაქვს ადამიანებზე ბატონობის ძლიერი სურვილი და კიდევ წმინდა ნერვიული ხასიათის ცვალებადი ბუნება, რომელიც განუწყვეტლივ ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს ეძებს. ხანდახან მეჩვენება, რომ გაქვს მარად მოწყურებული სული და იმასაც გეტყვი, რომ ხარ ცხოვრებით დაუკმაყოფილებელი.

ჰო, ჩემო დაის, შენ ძალიან გიზიდავს ცხოვრება, საოცრად გაინტერესებს და ეს არც მიკვირს. იმდენი გამოუყენებელი ძალა და ენერგია, მსხვერპლად გაღების უნარი, იმხელა გული გაქვს, რომ უჩვეულო მასალა ხარ ადამიანური შედეგრებისათვის. გახდები ამგვარი? ამაზეა დამოკიდებული ცხოვრება, მომავალი და შესაძლოა, ჩვენი ბედისწერაც. ადამიანმა თავად, მთელი ძალების დაძაბვით უნდა გამოჭედოს საკუთარი სული, ამაღლდეს, — მაგრამ ეს მილიონებში ერთეულებს ხელეწიფებათ. უმეტესობას შემთხვევები და ქაოსი ჰქმნის. შენ უაღრესად კეთილი და გულწრფელი ხარ ადამიანებთან ურთიერთობაში. კმაყოფილდები ძალზე მცირედით! ადამიანმა საკუთარ გულსაც კი გონების მძლავრი აღვირი უნდა ამოსდოს, რადგან მისი ანცობის გამო იტანჯება. დიახ, ანცობის და არა ნამდვილი გრძნობის. შენ ხშირად ნერვიულობ, ხომ მართალია? ცხოველი წარმოსახვა და ცხოვრების შმაგი წყურვილი ეკლიანი გზებით გატარებენ.

რაც გითხარით, ჩემი ფიქრების ნაწილია, თუ რამ ყალბია, მომიტევე და გამისწორე! ბარათებით შენი გაცნობა ვერ შევძელი! სასწაულებრივი იყვნენ, როგორც ღრმა, შემოქმედებითი და დიდი სულის აღმოხდომა. ზოგიც სრულიად მოულოდნელი, მოგუდული, სხვათაშორის და რაღაც ვალდებულების კარნახით დაწერილი. ისინი ამგვარად შევიგრძენი, სრული გულახდილობით გეუბნები. ეს ჩემთვის მტკივნეულია და სამწუხაროც. შეიძლება მეტის თქმაც. აი, ყველაფერი, რაც შენი ბარათებიდან ამოვიკითხე.

ახლა ჩემს ბოლო წერილს ვუბრუნდები. მასში ყველაფერი გითხარი, რაც ადამიანმა შეიძლება უთხრას თავის უძვირფასესს, მისდა სამწუხაროდ და საბედნიეროდ.

გსურდა, სიმართლეს ითხოვდი და ინებე.

ახლა განაჩენს ველი.

ვნახოთ ისიც.

ჩემი გულახდილობის სანაცვლოდ უფლება მაქვს იგივე მოვითხოვო.

იქნები გულწრფელი?

გამუდმებით შენზე ვფიქრობ. ვოცნებობ რაღაც უდიდეს, სასწაულებრივ, მძლავრსა და ბობოქარ ცხოვრებაზე. შენ შეგეძლო ბრძოლისა და სამყაროზე გამარჯვების რწმენა ჩაგენერგა ჩემთვის. ჩემი ძალის წყარო ხარ. რა უნდა იყოს, რომ შეთვის არ გამეკეთებინა. ნახევარ სამყაროს ფერხთით გაგიფენდი. რა ფასი აქვს პატარა, მდორე და მიწიერ ცხოვრებას, როგორსაც ჩვეულებრივი ადამიანები ეწევიან! წვრილმანი ზრუნვა, პატარა საქმეები, უმნიშვნელო ისტორიები და მცირედი კმაყოფილება.

ნუთუ არწივისებური ფრენა არ სჯობს.

თუ სიყვარულია, ჭკუის დაკარგვამდე!

თუ სიძულვილია, თუნდაც დანაშაულამდე!

მიწაზე ცოცვა აღარ შემიძლია. ჩემთვის ცხოვრებასთან ყოველგვარი, კომპრომისი მიუღებელი და საზიზღარია.

მწამს, უდიდესი, ნამდვილი ცხოვრებისათვის ხარ დაბადებული. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებდი შენთვის ასეთი ცხოვრების შექმნას. შენი სულის მასშტაბები სრული ადამიანის მასშტაბებამდის უნდა განვითარდეს, რადგან მაქვს ძალისა და გრძნობის თავად შენთვისაც უცნობი, ამოუწურავი მარაგი.

ასე ვოცნებობ და ვნატრობ შენთვის.

თავად თუ გსურს, ასეთი იყო?

მომწერე, დიდხანს იქნებით არცახონში? ისიც, თუ შემდეგ საით გაემგზავრებით? იცი, ვოცნებობდი და ახლაც ვოცნებობ, რომ შემოდგომაზე ასე, ოქტომბრის ბოლოს, უკვე ზაკოპანეში რომ იქნები, ჩამოხვიდე კრაკოვში ჩემი პიესის პრემიერაზე, იხილო ის, რაც შენდამია მოძღვნილი. — მაგრამ ჩამოხვალ? დრამატული პიესა საინტერესოა და ორიგინალური. იგი იტალიაში დავწერე და უკვე თეატრის დირექციის ხელთაა. მიქებენ და მის წარმატებასაც მიწინასწარმეტყველებენ. პრემიერის ჩატარების შემდეგ რუსეთსა და გერმანიაში წავალ.

წარმომიდგენია პრემიერის საღამო. შენ ლოჟაში, აღელვებული შედეგების მოლოდინში... შემდეგ წარმატებით გაამაყებული, გახარებული და შეყვარებული, — ეს პიესა ხომ შენს გამო და შენთვისაა დაწერილი.

ვრჩები წერას. ვიღაცეები მოვიდნენ და მიცდიან.

მიყვარხარ, დაის! ნება მომეცი, ასე მოგმართო!

მიყვარხარ და მწყურია შენი ტუჩები, შენი ხვევნა, მწყურიხარ შენ. მიყვარხარ და შმაგად გიკრავ მკერდში, ტანჯვით ვიწვი, ვიდრე მეტყვი, მიყვარხარო.

მიყვარხარ შენ, ერთადერთო, ძალავ ჩემო, სულო ჩემო!...

მომწერე ახლავე, ნახვამდის.

შენი ვლ.

23. კრაკოვი 6 1908

გუშინ დამავიწყდა მომეწერა, რომ ზაკოპანეს მთელი კამპანია ენახე. გთხოვ დამიჯერო — ათასჯერ მერჩია მენახე, თუნდ წუთით, ვიდრე მთელი დღის მანძილზე მათთან ვყოფილიყავი, მაგრამ მათთან იმიტომ დავყოვნდი, რომ იქნებ შენ ეხსენებინე ვინმეს.

ჯერ სტახა ენახე[52]. გასული ზამთრის სხვადასხვა, ხშირად სახუმარო ამბებს ჰყვებოდნენ. ბევრი რამ მის ნათქვამში ისეთი იყო, რომ ეჭვი მეპარებოდა მათ სიმართლეში.

შემდეგ პანი ჰელენა[53] ჩამოვიდა ვარშავიდან. მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით, ძალიან მეგობრულად განწყობილი შენს მიმართ, ოღონდ სული გამიწამა.

მოვიდა აგრეთვე პანი ჩაპლიცა, ბოლოს რუდნიცები[54]. ქმარს ცოლი სადღაც დავოსთან[55] ახლოს ჰყავდა წაყვანილი. ცხოვრებასა და ადამიანებზე ნაწყენი ძალიან წვრილმანი და ტრაგიკული პიროვნებაა. იქ ენახე პან რაძიევსკიც[56], შენი დიდი მეგობარი,. მოკლედ, ზამთარს მომხდარი ამბებისა და ისტორიების ექო იგრძნობოდა. რამდენიმე დღეს იყვნენ კრაკოვში და როდესაც გაემგზავრნენ, შეებით ამოვისუნთქე.

არ მიყვარს გართულებები ეშმაკურ თამაშობებზე.

ამასთან იძულებული ვიყავი მწარე მოსაზრებებით მესაზრდოვა. ბევრი ვისაუბრეთ. ყველა კმაყოფილი დარჩა, ჩემს გარდა, რადგანაც

უახლოესი წარსულის გახსენებისას არასასიამოვნო დასკვნებს ვაკეთებდი და ჯვარს ვეცვი.

ო, დაის, მტანჯველია ცალმხრივი სიყვარული, მაგრამ მასზე უფრო საშინელი ტანჯვაც არსებობს. შური კი არა, სევდა! უხეში, არაადამიანური სევდა ბედით, საზოგადოებით, საკუთარი თავით გამოწვეული; ასეთი სევდაა ჩაბუდებული ჩემს გულში.

კვლავ გაურკვევლობისა და ბუნდოვანი ვარაუდების ბურუსში გავეხვიე. მსურს თავიდან მოვიშორო ეს ყველაფერი.

ამიტომ დაჟინებით გთხოვ მომწერო, ვრცელი პასუხი გამცე წერილზე, რომელშიც ყველაფერში გამოგიტყდი, რასაც ითხოვდი! არ შემიძლია გაურკვევლობის ყულფზე ვეკიდო. გთხოვ ისეთივე გულახდილი იყო, როგორც პალერმოში მოწერილ წერილში.

მოწყენილობამ და ნაღვლიანობამ ძალიან გამტანჯა. მეშინია ყველაფერი არ მივყარო და შენსკენ არ გამოვფრინდე. მაგრამ მახსოვს, არცახონიდან გამოგზავნილ პირველ ბარათში მოწერილი: „არ ჩამოხვიდე, რისთვის უნდა ჩამოხვიდე?“

აღარ გიყვარვარ! აი, რასაც უფრო და უფრო ნათლად ვხედავ. რომ გყვარებოდი, ამის მოწერა აღარ დაგჭირდებოდა: „რატომ უნდა ჩამოხვიდე?“ ასე გულგრილობა ლაპარაკობს. თუმცა ვერაფერი გამიგია, მაგრამ მეშინია. განსაკუთრებით იმის, რომ ჩამოხვალ და შენს სასწაულებრივ თვალებში იგივე საშინელ — „რატომ უნდა ჩამოხვიდე?“ დავინახავ.

ო, დაის! რომ მოისურვო და შესძლო ჩემი გრძნობების დაფასება... დიახ, სიყვარული ძალად არ იქნება. ხშირად თავად მოდის და მაშინ ბრმაა, ბოროტი და უბედურების მომტანი. სიყვარულს ისეთივე სათუთი მოვლა სჭირდება, როგორც ვარდის კოკორს. თუმცა მწამს, რომ არც ამგვარი სიყვარულია ყოველთვის ბედნიერების მომტანი, მაგრამ იგი ადამიანის ამამაღლებელი ძალაა. მე შემიძლია ამის თქმა, რადგან სწორედ ამგვარი გრძნობით მიყვარხარ. დიდხანს ვებრძოდი საკუთარ თავს, ვფიქრობდი, რომ ვძლევდი და ჩემს გზაზე თავისუფლად წავიდოდი. ვერ გავიმარჯვე, ვერ დაგივიწყე და მაშინ თავს ნება მივეცი, მყვარებოდი. ჩემი გრძნობა გავწმინდე ყოველივე ეგოისტურისაგან. არა ნაკლებ გავიტანჯე, არა ნაკლებ.

თუმცა, თავს გაბეზრებ ამ ამბებით.

კიდევ რამდენ ხანს იქნებით არცახონში? ზაფხულს სად გაატარებთ? ჩაპლიცკებმა თქვეს, შეიძლება ამ დღისათვის არ დაბრუნდ-

ნენო... ნუთუ მართალია? თუ საფრანგეთში დიდი ხნით დარჩებოდით, პარიზში ვადმოვსახლდებოდი.

გთხოვ ვრცლად მომწერო.

შემატყობინე თქვენი მისამართი.

რამდენიმე სიტყვის დაწერას ვაპირებდი და გვერდები კი ავავსრელე. ნახვამდის. გკოცნი. ერთადერთი კოცნაა იგი, მაგრამ ისეთი გიჟური, ძლიერი და უკვდავი, როგორც შენდამი სიყვარული.

შენი ვლ.

24. ᲙᲠᲐᲙᲝᲕᲘ 14 VI 1908

ვიყავი ზაკოპანეში! ცხოვრებაში არასოდეს არ წავსულვარ იქ ასეთი აღტკინებით და არ გამოვბრუნებულვარ ასე სევდიანი.

დიახ, გამოგიტყდები, ბავშვივით მიხაროდა იქ სიარული, სადაც ოდესღაც ერთად გვისეირნია. შენს ნაფეხურებს ვეძებდი ყველგან. ძვირფას მოგონებებს ვაწყდებოდი და სულს ამით ვკვებავდი.

ის გზები ჩემთვის უძვირფასესი საყდარივით იყო. ირგვლივ შენს ფარულ არსებობას ვგრძნობდი, როგორც ღრმად მორწმუნე გრძნობს ყველგან ღმერთის არსებობას. სახლშიც ვიყავი[57].

საშინელი მტანჯველი სევდა მაწვა გულზე, მაგრამ იმედიანად ვებრძოდი. იქ სიარულისას მესმოდა არც თუ დიდი ხნის წინანდელი საუბრის ექო.

სასწაულებს გიჟივით ველოდი. სულ მეჩვენებოდა, რომ გზაჯვარედინზე, სახლთან, პლონკასთან[58] — შენ გნახავდი.

შენი აჩრდილის გამოძახებას გამაღიზიანებელი, ტკივილიანი, დამათრობელი სიტკბო ჰქონდა.

ორიოდ დღეში ალბათ არასოდეს არ გავტანჯულვარ ასე.

ცარიელი გზები და ტყეები, გამოკეტილი სახლები — შენზე ოცნებით გამოვაცოცხლე.

შემდეგ ვითარება შეიცვალა! აღტკინებისა და რწმენის ხიბლთან ერთად შხამიც შემასვეს. ხალხმა სული მომიწამლა. იცი რითი?

მომიყვნენ, თუ შენ და თქვენმა ჯგუფმა ზამთარი როგორ გაატარეთ. მიხვდები ალბათ, რასაც მეტყოდნენ. არ მჯეროდა, მაგრამ მრავალი რამ მეცნაურა.

ბოლო, 25 მაისს ჩემი აღსარების პასუხად გამოგზავნილმა შენმა ბარათმა ყველაფერი ამიხსნა.

ახლა ნათელია ჩემთვის მისი აზრი. ჩვენი ურთიერთობის ახსნას ითხოვდი, — სრულად აგიხსენი, გადაგიშალე ჩემი სული, ხელისგულზე დაგიდე გული და ცხოვრება. შენ აიღე, როგორც სალომეამ თავი იოანე ნათლისმცემლისა, ტრიუმფატორის ღიმილით შეაოვალიერე და თაროზე შემოდე სამშვენისებს შორის. სინანულით დაიჩივლე: რა საწყენია, რომ მომბეზრდა ეს ყოველივე.

შენი პასუხი სწორედ ამას ჰგავს.

აი, ჩემი ჭეშმარიტი ტრაგედია.

მიყვარხარ, როგორც ჩემი რწმენის ადამიანს შეუძლია სიყვარული. ცხოვრებას სასწორზე ვდებ, კარგად იცი და მაინც ერთადერთ პასუხად ამას ამბობ: გულდასაწყვეტია, ბატონთან სასიამოვნო საუბრების საშუალება აღარ მექნება.

ჯოჯოხეთური გაუგებრობაა.

იოტისოდენა სიბრალულის გარეშე ვწერ ამ ყოველივეს, რადგან ვიცი, შენ ამაში ბრალი არ მიგიძღვის.

ბობოქარმა და მდიდარმა ტემპერამენტმა გაგიტაცა.

თუმცა რა უფლება მაქვს ამაზე ლაპარაკისა. რა უფლებით ვერევი შენი გულის საქმეებში. მით უმეტეს, როგორც მეგობარს, ისედაც არ მიხსენე არაფერი.

მეშინია, არ გაიტანჯო. მეტისმეტად ძვირად არ დაგიჯდეს მხიარულება. ამას თამამად გეუბნები. რადგან მიუხედავად ყველაფრისა, ვიყავი, ვარ და ვიქნები შენი უგულითადესი მეგობარი.

იქნებ ვერასოდეს ვნახოთ ერთმანეთი, იქნებ გეზიზღები კიდეც, მაგრამ მეგობრად, რომელსაც სურს და ოცნებობს შენი ბედნიერებისათვის, ყოველთვის დავრჩები. ძნელია, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ბუნების ვარ.

გჯეროდეს, რადგან კვლავ არაერთხელ დარწმუნდები ჩემს გულითადობასა და ერთგულებაში.

ოდესმე, როდესაც დაწყნარდები და ყველაფერს ნათლად გაიაზრებ, მაშინ მიხვდები ჩემს წყენასაც და დიდ სიყვარულსაც.

მაპატიე ცხარე კილო; ძალიან ძნელია ასეთ დროს საკუთარი თავის დოკება. გადავხედე ცხოვრებას და მივხვდი, წამიგია.

ეს მით უფრო ძნელია, რომ ვიცი, რატომ.

ხუმრობა სერიოზულად მივიღე და ახლა დროა საკუთარ სისულელეებსა და შეცდომებზე ვიფიქრო. მაქვს დრო ამგვარი ფიქრისათვის ჩემს სამარისებურ მარტოობაში.

ჩემს ყოფას ვგონებ სიკვდილი სჯობს.

ბედმა დამჩაგრა.

მხოლოდ საკუთარ თავს ვემდური.

შენთან ერთად ამაღლებულ ცხოვრებაზე ვოცნებობდი; ახლა ტანჯვისა და სევდის ბნელ ჯურღმულში ვხოხავ.

ესეც ჩემი ბრალია.

ამაოდ გწერ. წაიკითხავ და ალბათ სიბრალულით, შესაძლებელია თანაგრძნობითაც, ჩაიცინებ. მაგრამ მჯერა, მცირეოდენ ნაღველსაც იგრძნობ.

საკმარისია, არა?

კარგად იცი, რასაც ვგრძნობ, მაგრამ არ მსურს თავი მოგაბეზრო, ისევე, როგორც არც ის მსურს, რომ გაგართო.

გასულ ოთხშაბათს სპირიტუალურ სეანსზე ვიყავი. სრულიად უცნობი მედიუმი მთელი დროის განმავლობაში ჩემსკენ ბრუნდებოდა. ბოლოს იმაზე დამიწყო ლაპარაკი, რაც მაწვალებს – შენდამი სიყვარულზე. სახტად დავრჩი. მითხრა შენი სახელი, ადგილები, სადაც იმყოფები – ხოლმე და მრავალი სხვა რამ. ბოლოს ისიც კი გამოიცნო, რომ აპირებ, ანდა უკვე მოგზაურობ. ოღონდ საით, ვერ თქვა. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, მაგრამ იმ დღიდან კრინტი არ დაუძრავს. ეს როგორც უჩვეულო ამბავი, ისე გავიხსენე. საერთოდ კი, დარწმუნებული ვარ მსგავსი ნათელმხილველობისა და წინათგრძნობის ჭეშმარიტებაში.

ჩემს შესახებაც გეტყვი ორიოდ სიტყვას.

ხვალ, 15 VI, ორშაბათს, ზაკოპანეში მივემგზავრები. ვიცხოვრებ ანტალუვცზე, ვიტკიევიჩებთან.

მიიღე ბაედეკერი? მასში სხვადასხვა ადგილები გავხაზე. განსაკუთრებული ყურადღება სადგურ მალოსთან მდებარე პლაჟს მივაქციე. თქვენი ოჯახისათვის ყველაზე შესაფერ ადგილად მეჩვენება.

როდის მიემგზავრებით არცახონიდან?

სიხარულით წავიკითხავდი ამჟამად რას აკეთებ, თუკი არ დაგეზარება ორიოდ სიტყვის მოწერა. მაგრამ თხოვნისაც მერიდება.

კიდევ ერთხელ, მთელი სულით გთხოვ შეპირებულ ფოტოსურათს. უარის თქმის უფლება არა გაქვს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთადერთი სურათი: ასე მცირეს ვითხოვ!

მაინტერესებს, რაში დაგჭირდა ჩემი აღსარება? შენ ხომ სანაცვლოდ არაფერი მოგიცია! თავს გულამოგლეჯილივით ვგრძნობ.

ჩემი ღრმა საიდუმლოც გაგანდე, როგორღა ვიცხოვრო?

ვიხშობ ყვირილს, ვიხშობ.

ახლა მხოლოდ სიჩუმე და მარტოობაა ჩემი ხვედრი.

ველირსები შენს ნახვას?

თუ წერილის მოწერას მოისურვებ, ზაკოპანეში გამომიგზავნე — „ვანდა — კრაკოვი". ხშირად ვიელი ფოსტაში, ეგებ?...

მშვიდობით.

სხვა რისი თქმა შემიძლია?

ერთგული ვლ.

25. ხაბუშკა, ოთხშაბათი, 16 VI 1908

სადგურზე ვიცდი. მივდივარ ზაკოპანეში. გაგიკვირდება, რომ კვლავ გწერ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. იმის გაფიქრებაც კი მკლავს, რომ შეიძლება დაგკარგო. საშინლად ვნანობ ბოლო წერილის დაწერას. გთხოვ ისე მიიჩნიო, თითქოს არ ყოფილა. არც ის დაივიწყო, რომ შენი ნახვის იმედით ვცოცხლობ.

უნდა გამიგო და გადაწყვიტო.

მივდივარ ზაკოპანეში და ვიცი, აქ არა ჩვენი, არამედ შენი ზამთრის გახსენება მელის. მაინც არ ვიშლი. ნებით მივდივარ ჯოჯოხეთში, თუმცა იქ ბედნიერების მაცდური აჩრდილი აღწევს და ოცნებას არსებობა შეუძლია. რითღა ვიარსებო, თუ არა შენი ნახვის ოცნებით?!

ველი დაპირებულ ფოტოსურათს, იქნებ მან რაიმე ჩაიმღეროს შენზე. მიყვარხარ, დაის, მიყვარხარ! ამას იმდენჯერ და ისე ძალუმად ვიმეორებ, რომ გაიგებ და შეგაურეოლებს. ასე ძლიერ ჯერ არავის ჰყვარებიხარ.

ვიცი, მოგცემდი მეტს, ვიდრე ბედნიერებაა. მოგცემდი ნამდვილ, ადამიანურ ცხოვრებას.

ო, დაის, საოცრად ვიცხოვრებდით.

ჩემო ძალავ და სამყაროვ! ჩემო მთის დილავ, ნუთუ უკვე სრულიად მიმატოვე?

ვინა ხარ, რა გსურს?

თავად აღიარებ, რომ ცოდვა გეზიდება და მის ნაცვლად არჩევ... გართობას. მხოლოდ მძიმე ცოდვაა მშვენიერი და შემოქმედი, მხოლოდ მისი განტევება შეიძლება. პატარა ადამიანებს არ ძალუძთ სცოდონ, მათ მხოლოდ წვრილმანი სისულელეების ჩადენა შეუძლიათ. ცოდვას სიმძიმე ალამაზებს.

ჩემი სიყვარული ცოდვიანია და მძაფრი, ეს შენ კარგად იცი. შემოგწირავ სიცოცხლეს ჩემი ხელოვნების გარდა. მხოლოდ მისი მოცემა არ შემიძლია. თუმცა არც ესა გსურს.

ნეტავ ახლა აქ იყო. მზე ანათებს და თბილა. ნიავი არწევს ჯეჯილს, ბუნება თითქოს მთვრალია მზითა და ძალით. შეეერეოდით ჩვენც ჯეჯილს, ჩამოვსხდებოდით სადმეს ყანის პირს, დავტკბებოდით მზის ცქერით, შემდეგ თუნდ მოვმკედარიყავით, ტუჩმიკონებულნი, ზეადამიანურ სიტკბოებით გაბრუებულნი.

საოცარი არფა ხარ. სული ამაღლებული საგნებისათვის გაქვს მონიჭებული და არა უბრალო, უგულო ხვევნა-კოცნისათვის.

თუმცა, რა ვიცი?

იქნებ ვცდები, იქნებ არა.

მივდივარ.

მომწერე, დაის, გთხოვ, გეეედრები.

ნუ დამივიწყებ.

მომწერე ძველებურად: „ვანდა — კრაკოვი" — ზაკოპანეში.

საძაგლად ეჩხაპნი.

მაპატიე.

გეხვევი, გშთანთქავ. ოხ! სასიკვდილოდ და სამუდამოდ უშენობით ვარ მშიერი.

შენი ვლ.

26. ზაკოპანე 27 VI 1908

ორივე წერილი მივიღე, ბუნებრივია, დიდი დაგვიანებით, რადგან ვიდრე კრაკოვიდან გადმოგზავნეს, დრო გავიდა. მადლობას იხდიან ფოტოსურათისათვის?

არა, სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად, ისეთი სიხარული მომანიჭა შენმა ფოტოსურათმა. ყოველდღე გლოცავ მის გამო — ფარულად და ძლიერ! ალბათ იგრძნობ, თუმცა შორს ხარ, რომ ჩემი ფიქრები გამუდმებით გარს დაგტრიალებენ, მუდამ შენთან არიან.

იშვიათი ფოტოსურათია.

ეს ისეთი სახეა, ტრიუმფალურად მშვენიერი, რომ მანცვიფრებ. მე სხვა ამგვარი მშვენიერება არ ვიცი. შემოდგომას ასეთი არ ვიყავი, — მბრძანებლური და ჩაფიქრებული. მგონი ყველაზე მომხიბლავი თმა და წარბები გაქვს დედამიწის ზურგზე.

ცოტა შიშით ვწერ. თუ მოგისწრებს წერილი არცახონში? გთხოვ ახალ მისამართს, ძალიან გთხოვ.

შენს ადრინდელ წერილებს ალბათ აღარ გავიხსენებ! მათზე ფიქრსაც ვერიდები, მათგან იმდენი წყენა მახსოვს...

ჩემს წერილზე ბოდიშს გიხდი. სხვაგვარად ვერ დავწერდი, ისეთ სალმობას განვიცდიდი წერისას. მეტისმეტად უბედურად ვგრძნობდი თავს.

მიხვდები ჩემს მდგომარეობას და მომიტევებ. ხომ ასეა?

მეგობრული სიტყვებისათვის, როგორც ყოველთვის, ახლაც გპასუხობ, — ჩემი სახით ერთგული და თავდადებული სული გყავს. მეტიც შეიძლება ითქვას.

ორ კვირაზე მეტია ზაკოპანეში ვარ. საოცარია და საშინელიც ერთსა და იმავე დროს! ყველგან შენს აჩრდილს ვხედავ. ყოველდღე დავდივარ წყაროსთან, ხშირად მივდივარ გამოკეტილი სახლის მისალაციცებლად. ნაძვებში მხოლოდ ექო ისმის. სინანული, უნაპირო სინანული სტანჯავს ჩემს გულს. ყველაფერი ძველებურადაა აქ, ოღონდ შენ აკლიხარ აქაურობას! ესეც ბედია?! მსოფლიოს ვუვლით და ერთმანეთს ვერ ვხვდებით. ბედისწერა გვსდევს. ხვედრი? იქნებ. ვნახოთ მისი განაჩენიც.

შეშიძლია ლოდინი! რა შეიძლება იმაზე უარესი მელოდეს, რაც გადამხდა?!

მწარე ფიქრები ჩამოწოლილან სულში, როგორც შავი ღრუბლები, მზე რომ დაუჩრდილავთ და წვრილ, ძვალ-რბილში გამტან ცივ წვიმის წვეთებს სცრის.

გთხოვ ორიოდ სიტყვას ახალი სამყოფელიდან. მომწერე, როდესაც თავს კარგად იგრძნობ.

გუშინ ქალბატონმა ელენემ გადმომცა შენი ავადმყოფობის ამბავი. გამოკეთდით? საიდან შეგხვდა ეგ დაავადება? ალბათ ძლიერ გაიტანჯებოდით. ასეთ წუთებში საკუთარი თავი მავიწყდება და გაავებული ვფიქრობ, რომ შემწეობა არ შეშიძლია. მსგავს წუთებში ყველაზე ნათლად ვხედავ ადამიანთა შორის არსებული გადაულახავი უფსკრულის მთელ საშინელებას. ამას ვგონებ სიკვდილი ახერხებს! მაგრამ ვამთავრებ.

შემდგომში ფართოდ მოგწერ.

ახლა გიკოცნი ხელებს და გთხოვ კეთილ, მეგობრულ ბარათს.

ერთგული ვლ.

P. S. ჩემი მისამართია: ზაკოპანე, მოკითხვამდე, ძველებურად, ოლონდ ჩემს გვარზე.

27 ზაკოპანე 17 VI 1908

როსცოფიდან გამოგზავნილი შენი პირველი წერილი გუშინ მივიღე. ისეთი ნატვრითა და სევდით ველოდი, რომ დღეები საუკუნეებად მეჩვენებოდა. ყოველ თითს განსაკუთრებული, გულითადი მადლიერებით გიკოცნი.

მივიღე ორივე ფოტოსურათი. ყოველდღიურ სიამოვნებას ანიჭებენ ჩემს თვალებსა და გულს. არ ვიცი, რომელი სჯობს. ორივე მომწონს, თუმცა განსხვავებულ ხასიათზეა გადაღებული. ორივეში ერთი მიყვარს — შენ.

გამაკვირვა შენმა კითხვამ — „კიდევ გიყვარვარ?"

მაშ რაზე ლაპარაკობენ ჩემი წერილები? რაზე გალობს თვითოეული ასო, სიტყვა, ბოლომდის უთქმელი წინადადება? ნუთუ ამას ვერ გრძნობ და ხედავ?

აგერ მეორე წელი, წელიწადნახევარიც კია, ერთსა და იმავეს ვიმეორებ, იქნებ ძალზე ხშირად და გულწრფელადაც. ვგონებ ამ გულახდილობაში დევს ჩემი უბედურების სათავე. თუმცა ამის უფრო მეტი მიზეზი ჩემი თავდადებულობა უნდა იყოს. საკუთარი თავისათვის ვერ მიპატიებია, რომ შენი ჩემდამი სიყვარული ვირწმუნე. დავმარცხდი, რადგან უნდა დავმარცხებულიყავი. მხოლოდ უსინდისო, ანდა უბრალოდ განებივრებული ადამიანი იმარჯვებს. მე კი შენი გულის მოსაგებად მხოლოდ ერთადერთი ხერხით, სიყვარულითა და ერთგულებით ვიბრძოდი.

დღეს ამით ვამთავრებ. ფართო თემაა, მე კი ვჩქარობ, გამოგიგზავნო თუნდაც ორიოდე სიტყვა. მე ხომ დიდი ხანია არ მომიწერია, რადგან შენი მისამართი არ ვიცოდი.

ზაკოპანეს ამბები გაინტერესებს?

საშინელი მოწყენილობაა!

იძულებული რომ არ ვიყო, არა თუ აქ არ გავჩერდებოდი, აღარც კი ვიფიქრებდი მასზე.

ის კი არ მაწუხებს, რომ გადაუღებლად წვიმს, ანდა აუტანელ დიალექტზე მობზუილე ბრბოს აუვსია ქუჩები, არამედ შენი არ ყოფნა!

პანი ელენას იშვიათად ვხვდები. არ მსიამოვნებს მასთან ყოფნა.

პორონინოში ხშირად ვარ, მაგრამ აქ, კასპრთან მწარე მოგონებებით ვსაზრდოობ[59].

თავს ძალიან ცუდადა ვგრძნობ, ძალიან ცუდად.

საბედნიეროდ, ალბათ დიდხანს არ გავჩერდები აქ, რადგან 20 აგვისტოს გავემგზავრები.[60] ქორწილში მივდივარ პოზნანს. შემდეგ სოფელში მომიწევს ხეტიალი და სექტემბრის დასაწყისში პარიზში ვიქნები. იქიდან შეიძლება როსცოფშიც ჩამოვიდე[61]. გთხოვ ნუ გაოცდები. დიახ, მოვალ, რადგან უნდა განახო და გელაპარაკო! აუცილებელია და უარს ნუ მეტყვი, ძალიან გთხოვ.

ახლა ზოგიერთი განმარტება. „დაისი" ჩემი ნოველის გმირია. იგი შემოდგომაზე დაიბეჭდება. დაისი — იდუმალი, მშვენიერი და იმავდროულად უბედური არსების სახელია.[62] ხომ წაიკითხავ?

ჩავთვალოთ ეს წერილი უსტარად, ხვალ კი ნამდვილ წერილს მოგწერ. რამდენ ხანს დარჩება თქვენი ოჯახი რ-ში? ზამთარს სად გაატარებთ?

გთხოვ მიპასუხო.

ნახვამდის, დაის, ნახვამდის ოცნებავ ბედნიერებაზე და თავად ბედნიერებავ!

ერთგული ვლ.

P. S. გთხოვ ძველებურად მომწერო: „ვანდა — კრაკოვი". ძალიან გთხოვ. მაშ ფიქრობ, რომ აღარ მიყვარხარ? გეწყინებოდა?

28. ზაკოპანე, 12 აგვისტო, 1908

ჩემი ბრალი არაა ეს სიჩუმე; თანაც ვფიქრობდი, რომ დაგავიწყდი და ემზადებოდი წერილების დასაბრუნებლად, როგორც მოითხოვე[63]. თუმცა იმედს არ ვკარგავდი, რომ გაგახსენდებოდი. ნიშანი დიდხანს არ ჩანდა. ათასი მიზეზი გამოვძებნე. მათგან არსებითი ის იყო, რომ ფოსტის ჭკვიანმა მოხელემ კონცერტზე კრაკოვი წაიკითხა და იქ გააგზავნა[64]. ვიდრე გაარკვიეს და უკან დააბრუნეს, თითქმის თვე გავიდა. აი, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი. წერილს გიბრუნებ.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. უპირველეს ყოვლისა, შუქი მოეფინა ჩემს პიროვნებას, მთელ ჩემს იდეალისტურ ურთიერთობას შენს მიმართ და, რაც მთავარია, შენს დამოკიდებულებას. ახლა, ვგონებ გასაგებია შექმნილი სიტუაცია, თანაც საკმაოდ აშკარად. ამიტომ ზო-

გაერთებივით არც ვმალავ, რომ დავიკავე ადგილი კეთილ, თუმცა დროის ბურუსით მოცულ მოგონებებში. ჩემი წერილები შენდამი სხვა არაფერია, თუ არა ინტელექტუალური გართობისა და მეგობრული საუბრების საშუალება, ოდნავ გამაღიზიანებელი თავის ამაღლებული კილოთი და შინაარსითაც. ხომ ასეა?

ქალებს უყვართ თაყვანისცემა! შენ განსაკუთრებით. ხომ მართალია? სინანულისა და სიყვარულის გარეშე ვლაპარაკობ. მზემ არ იცის თავისი მეხოტბეებისა და არც ყვავილთა შესახებ, მისგან ფეტიშს რომ ჰქმნიან! ქალებმა იციან და მათით ცხოვრობენ. ვგონებ ეს აძლებინებთ ცხოვრებაში. ასე უნდა იყოს სინამდვილეში. თუ უბედურებაა, ეს მხოლოდ თაყვანისმცემელთათვის და მით უფრო ჩემნაირებისათვის! სხვებს, მუდამ შენილბულთ, ქალების ტრფიალი ხელობად გაუხდიათ, ისე გამუდმებით და იმდენი ხატის წინაშე სჩადიან, რომ ბოლოს მოთხოვნილებად ექცევათ და მათთვის სულ ერთი ხდება, მსხვერპლს ვის სწირავენ. ამას არც აძლევენ მნიშვნელობას, რადგან სხვაგვარად ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ.

წყენით არ ვლაპარაკობ. უბრალოდ, გამოცდილებამ მასწავლა და დამარწმუნა, რომ დროა ჩემი გზით წავიდე! მართალია მას ბედნიერებისაკენ არ მივყავარ, ხშირად მაცდუნებს და სადღაც სიცარიელისაკენ მიმიქანებს, სადაც მხოლოდ სევდაა დაბუდებული... თუმცა რატომ ვლაპარაკობ ამას და თავს გაბეზრებ? მაპატიე გადახვევა, ნაღვლიანი ვარ და ავადმყოფი, ამასთან უიმედოდ მოქანცული, მაპატიე, თუ წერილი საზეიმო განწყობილებით არაა დაწერილი[65].

ზაკოპანედან ორიოდ დღეში გავემგზავრები და ალბათ მალე არ დავბრუნდები. აქ ფატალური ადგილია ჩემთვის. ვარშავაში მივდივარ.

როგორაა თქვენი ქმარ-შვილი? როსცოფში რამდენ ხანს გაჩერდებით? ზამთარში საით?

ამგვარად იმიტომ გეკითხები, რომ შენმა ბოლო წერილმა ისე იმოქმედა ჩემზე, თითქოს ნაღვერდალზე წყალი გადაასხესო. წერა აღარ ძალმიძს. ანდა რისთვის ვწერო, რისთვის?

კარგი შემთხვევა მოგეცა ტრიუმფალური მოგონებების კოლექციის გაფართოებისა, თუმცა იმდენი მოგონებები გექნება, რომ მათ სიმრავლეში ალბათ გავფერმკრთალდები. გთხოვ ირონიად ნუ მიიღებ.

კვლავ რაღაცას ვამტკიცებ, თუმცა ძალა აღარა მაქვს არც საკუთარი თავის ძაგებისა და არც რაიმეს იმედისა. გულახდილად ვლაპარაკობ, შენ ხომ ამას ხშირად მთხოვდი, ასე რომ ვეღარ მისაყვედურებ.

ერთსაც გეტყვი:

ისე ვარ, როგორც სახლი მძლავრი მიწისძვრის შემდეგ. ცხოვრების გაგრძელებისათვის ხელახლა უნდა ავაშენო ის, რაც მსუბუქი საქციელით დავანგრიე. ამისათვის სიმშვიდე და წყნარი მუშაობაა საჭირო.

თუ ოდესმე შეგხვდები, მაშინ იქნებ ვრცლად ვისაუბროთ და იქნებ შემიგრძნო და გამიგო კიდეც. განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ჯიშს მივეკუთვნებოდით და ამიტომ ვერ გავუგეთ ერთმანეთს. წავაგე.

შენ გართობა მაინც შესძელი.

თუ ყველაფერი, რაც მესმის და რასაც ვფიქრობ ჩვენი ურთიერთობის შესახებ სწორი არაა, მით უარესი ჩემთვის! ალბათ თავი მოგაბეზრე და ამიტომ მეშინია, წაიკითხავ ამ ბოდიალს?

პატიებას გთხოვ.

ახალ წლამდე ვარშავაში ვიქნები, შემდეგ პარიზში გადავინაცვლებ თუ პასუხის მოწერას მოინდომებ, ვარშავაში ჩემს სახელზე გამოგზავნე, მოკითხვამდე. კვირის ბოლოს იქ ვიქნები.

მარად ივივე — ვლ.

P. S. სასიკვდილოდ ვარ ავად, — განსაკუთრებული ნაღველი და სულის სისხლნაკლულობაც მჭირს.

29. (ვარშავა) 26 IX 1908

დღეს ძლივს მივიღე შენი ბოლო ორი წერილი. კრაკოვიდან, სასტუმროს ქაღალდებზე დაწერილი და ზაკოპანედან[66]. წერას მშვიდად დავიწყებ, რათა დავძლიო და ჩავკლა ის საშინელი შეგრძნება, ის კატასტროფა, რაც მათმა წაკითხვამ განმაცდევინა. კარგად ვერც ამიხსნია მათი შინაარსი, თუმცა გული საშინლად მატკინეს. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს კოშმარული სიზმარი მენახოს.

ჭეშმარიტად არ ვიცი, ნუთუ ყოველივე მართალია? წერილს გამუდმებით ვკითხულობ და გამოუთქმელი სინანულისა და შეურაცხყოფის გრძნობა მეუფლება.

რატომ მოხდა ასე?

ვიდრე დავწყნარდებოდე, თავისუფლად უნდა ვიაზროვნო და განვმარტო, თუ რატომ არ ვიყავი კრაკოვში. ჩემი ბრალი არაა! არა! ამას ისეთი ხმით ვყვირი, გაიგებ და დამიჯერებ.

ვარშავაში არ ვცხოვრობ. ზაკოპანეში დაბრუნებისთანავე ექიმმა ცოლს მიყრუებულსა და ტყიან ორმოში, ოტვოცკში გამგზავრება ურჩია. ვარშავაში კვირაში ერთხელ მივდივარ! პირველი წერილი და ტელეგრამა 22 სექტემბერს, ანუ დათქმული დროიდან რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე. ფაქტები მომყავს, რადგან არ შემიძლია ბედისწერასა და ჩემს მაშინდელ გრძნობებზე ვილაპარაკო.

შემდეგი წერილები მხოლოდ დღეს მივიღე, კვლავ დიდი დაგვიანებით. ახლა სახლში იქნები. ეს ბედისწერა კი არა, უბედურებაა; უბედურება ჩემთვის.

პანი ვანდა, ახლა ბოლო წერილს ვუბრუნდები! რატომაა იგი ასე მწარე, საშინლად დამადანაშაულებელი? ხანჯალივით მესობა. თუმცა იგი ისე არ მტკივა, როგორც მისგან გამოწვეული სინანული. ეს სასოწარკვეთილების ტკივილია!.

რა დაგიშავე?

რატომ ამბობ: „ჩემი ღირსება შეილახა?“ — საქმის ასე წარმოდგენის შემდეგ მეცა მაქვს რაღაცის უფლება, მაგრამ მხოლოდ ნათელ განმარტებას გთხოვ და გვედრი უდანაშაულო სულით[67].

გთხოვ იფიქრო, რა საშინლად დამადანაშაულე და გულთან ახლოს მიიტანო ჩემი მდგომარეობა.

განა რა ჩავიდინე ასეთი?

პანი ვანდა! მთელი ჩემი ადამიანური ღირსებით გთხოვ ნათელ და გულახდილ პასუხს!

მრავალი სისულელის ჩადენა შევძელი ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს არავის პატიოსნება არ შემილახავს! რა საშინელია ჩემი მდგომარეობა!

როგორ შემეძლო, „პანი თქვენს პირად ცხოვრებაში ბინძური ხელებით ქექვა?“

ამ წუთში, თუ საჭიროა, მოვკვდები, მაგრამ არ შემიძლია ვაღიარო, რაც არ ჩამიდენია!

არასოდეს ვყოფილვარ წვრილმანი კაცი!

ლამისაა გავგიჟდე, ისეთი საშინელი ტკივილები მიწამებენ გულს. კალამი ხელიდან მივარდება. კვლავ წერილს ვუბრუნდები. ძნელია დაიჯერო, რომ ჭიოტა ხორბალს იძლეოდეს, ხოლო გრძნობას, არაგულწრფელს და ყალბს, გველის სისინის გარდა რაიმეს მოცემა შეეძლოს“.

მეხი და წყევლაა ეს მათთვის და საბოლოო გასრესა, მაგრამ ახლა ამაზე არაფერს ვამბობ, იმას გარდა, რომ უსამართლოდ მძვინვარე ხარ.

ოღონდ გკითხავ: რატომაა ჩემი გრძნობა არაგულწრფელი და ყალბი? ჩემი ტანჯვაც ყალბია? მაშ რა მიზანს ისახავს? — გთხოვ კარგად დაუფიქრდე. ნუთუ ვინმეს შეუძლია ამგვარი სიყალბის ჩადენა — თანაც ამდენი ხნის მანძილზე? მერედა რისთვის?

რა მივიღე ამის სანაცვლოდ, — განუწყვეტელი წყენის, სასოწარკვეთილებების, უბედურებისა და საშინელი, გამოუთქმელი ტანჯვის გარდა?

გულწრფელად ვლაპარაკობ, როგორც კათოლიკე თავის უკანასკნელ აღსარებაზე, როდესაც იცის, რომ ხვალინდელი დღე მისთვის აღარ გათენდება. ვდგავარ შენი გულისა და გონების წინაშე და მხოლოდ სამართლიანობას გთხოვ. მომისმინე, თუნდაც გეზიზღებოდე.

სწორად შენიშნავთ პანი, რომ ყველაფერზე საზღაურს ვიღებთ. დიახ, ასეა. მეც გავიღე და საკმაოდ ძვირიც.

მაშ აქამდის რას წარმოვიდგენდი, რომ ზაკოპანელმა ჭორიკანამ შესძლო ამდენი ბოღმა დაეგროვებინა შენში და ასეთი ზიზღი აღეძრა ჩემს მიმართ! რა აზრი ჰქონდა ჩვენს მეგობრობას?

წერილი აბადაუბდა გამოვიდა, რადგან ქაოსია ჩემს გონებაში.

წერ: „დარწმუნებული არა ვარ ჩემი წერილები მხოლოდ შენს საკუთრებას წარმოადგენდნენ“. სამარცხვინო ბოძზე გაკვრასავით მწველია ეს სიტყვები. სირცხვილი მე, რომ ჩემსკენაა ისინი მომართული. თანაც აშკარად მიჩვენებენ, თუ რა ზომამდე გაღიზიანებულხარ და გატანჯულხარ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაწერდა შენი კალამი ასეთ სიტყვებს. მათი გახსენებაც ძნელია ჩემთვის. სილის გაწვნასა ჰგავს და მათი ატანა მხოლოდ იმან შემაძლებინა, რომ კარგად მესმის, ნერვების რა ძლიერი დაძაბულობისას უნდა დაგეწერა. ამიტომ ვერ ამჩნევდი, რა დიდ შეცდომებს უშვებდი.

არა, პანი ვანდა, შენი წერილები მხოლოდ ჩემს საკუთრებას წარმოადგენდნენ[68]. კაცი, რომელიც მსგავს წერილებს ვინმეს უჩვენებდა, უნამუსოა და მეტი არაფერი. ძალა აღარ მყოფნის თავის დასაცავად.

ეს რა წინააღმდეგობები დახლართეს!..

დახმარებას მთხოვ მათ გახსნაში. კეთილი, გთხოვ დამავალო, რაც გნებავს. შევეცდები ყველაფერი გავაკეთო, ოღონდ განვიწმინდო შენს თვალში.

მოვიძიებ წყაროს, საიდანაც ჩემს მიმართ შხამი შეგასვეს. მოვნახავ დამნაშავეთ და გავსრეს მათ, თუნდ საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ღმერთო, რა ცხოვრებაა და რა ადამიანები.

შენმა უკანასკნელმა წერილმა იმ ზომამდე აღმაშფოთა, რომ მხოლოდ რეაბილიტაციის იმედით-ღა ვცხოვრობ.

ამიტომ აუცილებლად უნდა განახო, ყველაფერი გითხრა და მოგისმინო, ვიდრე სამუდამოდ დაგშორდებოდე.

გთხოვ მომიტევო ეს წერილი.

თვალები ცრემლებმა დამილტო და ტკივილებმა ამიმღვრია; შემდეგ წერილში იქნებ შევძლო ვრცლად და კონკრეტულად გავერკვე სიტუაციაში, ამ წერილში კი იმასაც ვერ ვბედავ, გითხრა: გიკოცნი ხელებს, რადგან შესაძლებელია ამის ნებაც არ მომცე. მოვიცდი, ვინაიდან დარწმუნებული ვარ — თავად გამომიწვდი ძველებური გულწრფელობითა და მეგობრული ნდობით.

მარად იგივე — ვლ.

P. S. გთხოვ ძველებურად ვარშავაში მომწერო. იქ ხშირად ვივლი.

30. ვარშავა 1 X 1908

ვფიქრობ, რომ ამ ორიოდ დღის წინ გამოგზავნილ ჩემს წერილს უკვე მიიღებდი[69]. ხასიათგაფუჭებული და ცოტაოდენი სიფიცხით ვწერდი, ამიტომ თუ რამ არასასიამოვნო მოგწრე, გთხოვ მაპატიო. შენი წყენა არც მიფიქრია, მაგრამ შენი ბოლო წერილით ისეთი გუნება მოწამლული, ისე სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ კარგად არც კი მქონდა გააზრებული, რას ვწერდი.

ახლა უკვე რამდენადმე დაწყნარებული ვარ და შემიძლია გულგრილად გესაუბრო. ტკივილი დავაიურვე, შენს მიმართ ჩადენილი შეცდომის განსჯა შევძელი და ბევრი რამის გარკვევაც მოვახერხე. ისეთი რამეები გავიგე, რომ ამ საშინელი გაუგებრობის თუნდაც ნაწილობრივ ახსნას მაინც შევძლებ. უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრა, რომ არსად და არავისთან არ მითქვამს რაიმე ისეთი, რასაც თუნდაც ოდნავი ჩრდილის მოყენება მაინც შეეძლოს შენთვის, არათუ დამცირება. პატიოსან სიტყვას გაძლევ. ყოველივე ცილისწამებაა. ზაკოპანე ჭორების, ეჭვების, შურის საშინელი ბუდეა. იქ შესაძლებელია ავადმყოფები ინკურნებიან, მაგრამ სული ლპება, იხრწნება და მომწამვლელ შხამად განეფინება იქაურობას. მე ამას, როგორ ჩემი, ასევე სხვათა დაკვირვებების საფუძველზე გეუბნები. იქ უცნობებისა კი არა, საკუ-

თარი, უახლოესი მეგობრების[70] უნდა გერიდებოდეს და გეშინოდეს. იმ ჭაობიან ადგილას თითქმის სრულიად იკარგება კეთილსა და ბოროტს შორის ზღვარი, სადაც მტრები კი არ გკლავენ, არამედ მოკეთენი.

მე ვიცი, ზუსტად ვიცი, ვინც შეოხზა ჩემზე ეს საშინელი ლეგენდა[71]. მაგრამ მერწმუნე, გეფიცები, რომ სიმართლეს გეუბნები; ისეთ ამბებს მომიყვნენ ზაკოპანეში შენს მიერ გატარებული ზამთრის შესახებ, თანაც ისე, თითქოს ამას ჩემზე ზრუნვით აკეთებდნენ.

სხვაც ბევრი რამ მითხრეს.

ქრისტეშობის დღესასწაულის წინ წერილი გამომიგზავნე, სადაც შენი მომავალი ექსკურსიის შესახებ მწერდი, რომელშიც მხოლოდ ორი წყვილი მიიღებდით მონაწილეობას; ცოტა დაეჭვებულმა გიპასუხე. გახსოვს? იმ წერილის ფრაგმენტები ცოტა ხნის შემდეგ ჩემს ცოლს მოუვიდა!

ამის შესახებ სამწუხაროდ ძალიან გვიან გავიგე. ნეტავი ვის და რა გზით შეეძლო ჩემი წერილის ხელში ჩაგდება? — იქნებ აქაური ფოსტის საშუალებით?... ვერ გამიგია!

ჩვენთან ასეც ხდება! მრავალი ასეთი ფაქტების მოყვანა შემიძლია.

ამიტომ გთხოვ ნუ გაგიკვირდება, რომ ზაკოპანედან ჩემს მოწერილ წერილებს გულახდილობა აკლდა და ოდნავ სარკასტული კილოც გადაჰკრავდა. ამას ახლა ვნანობ და გულით და სულით გთხოვ პატიებას! შენს შესახებ მხოლოდ მათთან მისაუბრია, ვისთანაც ეს შესაძლებელი იყო, ისიც ძალზე იშვიათად. თუმცა ასეთი წერილის მოწერა ყოველთვის მსურდა, მაგრამ ვერაგობის მეშინოდა!

დიდად სამწუხაროა, რომ საუბრისას ეჭვიც არ შემპარვია მათ კეთილგანწყობილებაში, ამიტომ ვიყავი ეგზომ გულწრფელი. სხვები კი ამით სარგებლობდნენ და გადაკრული სიტყვებით, მინიშნებებით და გახსენებებით გულს მიშხამავდნენ. ამას მანამდე ვერ მივხვდი, სანამ არ შევნიშნე, რომ სიტყვებს შეგნებულად მაგლეჯდნენ სულიდან, რათა ჩემი საიდუმლო გამოეტყუათ და მთელ ქვეყანაზე მოეფინათ. ჭორიკანებს მუქთახორებისათვის და აურზაურს მოწყურებული სულებისათვის სიამოვნების მინიჭება სურდათ. უსაქმურობის და სისულელის, შემაძრწუნებელი სისულელის გამო სჩადიოდნენ ამას! როდესაც შენ ეს ამბები გაიგე, იქ რომ ვყოფილიყავი, შევძლებდი ამ ჭორების აღკვეთას.

დიდი ხანია, რაც ეჭვი შეიტანეს ჩემს შენდამი სიყვარულში. მითვალთვალებდნენ კიდეც და ჩემს ცოლთან მოჰქონდათ ამბავი, ყო-

ველდღე რაღაც ახალ ამბავს ატყობინებდნენ ჩვენზე. რა უნდა მეჭა, მოკუმული ტუჩებით და შეკუმშული მუშტებით ვუსმენდი. სწორედ მათ თქვეს, თითქოს შენ ვილაცასთან დაგეჩივლოს, რომ თავი მოგაბეზრე, ჩემთვის თბილი სიტყვის თქმაც კი აღარ გინდა, რადგან გეშინია, მთელ ქვეყანას არ მოვდო. ამრიგად, თუკი იძულებული ვიყავი შენს შესახებ მელაპარაკა, ძალიან გულგრილად ვლაპარაკობდი, ისე, როგორც შეიძლება კაცმა უბრალო ნაცნობის და ამავე დროს მთლად არაკეთილგანწყობილი პიროვნების შესახებ ილაპარაკოს. იქნებ არც იცოდე, რას ნიშნავს იძულებით ასეთი ნილბის ტარება. სწორედ ასეთი ნილბით დავდიოდი და ვცხოვრობდი იმ ხალხში. ამრიგად, ვერ შეძლეს რა მათ ჩემი გაშიშვლება, სახეში შემაფურთხეს!

ეს ამბავი იმდენად მტკივნეულია, რომ ამის შესახებ ლაპარაკიც მიჭირს, თანაც ყველაფრის მოყოლას მაინც ვერ შევძლებ. ამას იმდენად ვიხსენებ, რამდენადაც აუცილებელია და ისიც ხანდახან. თუ მეტყვი, კიდევ რისი მოსმენა გსურს და რითი ხარ ასე საშინლად შეურაცხყოფილი, — რამდენადაც შემეძლება, მაშინ ყველაფერს განვმარტავ. ახლა კი საკუთარ სიცოცხლეზე მეტად სიმართლის დამტკიცება მაინტერესებს! ბედნიერებაზე უკვე აღარ ვლაპარაკობ, რადგან მოტეხილი და ცხოვრების ფსკერზე მოსროლილი ვარ!

თუ შესძლებდი ჩემი ახლანდელი ცხოვრების და იმ ყველაფრის შეგრძნებას, რაც მე შენი გაცნობის დღიდან თავს დამატყდა, მაშინ იქნებ ჩემს სიმართლეშიც დარწმუნებულიყავი. არც ვჩივი და არც შებრალებას ვმათხოვრობ. სამართლიანობა მაინტერესებს. ვგრძნობ, რომ შენი კეთილი გული ამაზე უარს არ მეტყვის. დღეს არა, მაგრამ ოდესმე დადგება ისეთი დრო, როდესაც ჩემს ერთგულებასა და თავდადებას დააფასებ. ჩემთვის ისედაც აუტანელი, მძიმეა ამ ქვეყნად ცხოვრება, მაგრამ შენმა წერილმა მთლად ბოლო მომიღო და შეურაცხყოფის დამყაყებულ ჭაობში მომისროლა. თუმცა არ მწყინს. გასაგებია, ამდენი ცილისმწამებლური ამბების შემდეგ გასაკვირი არაფერია. ყოველივე ამან გული აგყარა ჩემზე და შეგჯავრდი კიდეც. მაგრამ დრო, ყოველგვარი ტკივილის დამაყუჩებელი დედა, დაგარწმუნებს საკუთარ შეცდომებში.

მსურდა ჩემს შესახებაც მომეწერა ორიოდ სიტყვა, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ მათ ზიზღითა და სიძულვილით არ აარიდებ თვალს. არა, უმჯობესია შევინახო შენთვის გამოსაგზავნი წერილი, ვიდრე ძველი მეგობრობის ექო კვლავ არ გახმაურდება. მაშინ ჩემს შესახებ ყოველივეს დაწვრილებით მოგწერ.

ამჯერად ვამთავრებ და გთხოვ, მომწერო, როგორ და რით შემიძლია დაგეხმარო. პასუხს მოუთმენლად ველი და გთხოვ დამიჯერო, თუნდაც ეს ერთადერთი რამ, რომ ყველაფრის გაკეთებას ვესწრაფვი, თუკი ეს შენთვის სასარგებლო იქნება.

ერთგული, როგორც ყოველთვის

ვლ.

P. S. იანვარში ნამდვილად პარიზში[72] ვიქნები. თუ ჩემთან შეხვედრას მოისურვებ, შემატყობინე და ჩამოვალ ბორდოში ან სხვაგან, სადაც ინებებ. წარმოიდგინე რა მოუთმენლად ველი შენს პასუხს.

31. ვარშავა 12 XI 1908

შენი ბოლო წერილი ორი კვირის ბოლოს მივიღე. როგორც ხედავ პასუხის გამოგზავნა ძალიან დავაგვიანე[73]. ბოდიშს გიხდი. მრავალ მიზეზთა გამო ვაყოვნებდი მის დაწერას; განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ძლივს შევძელი გაღიზიანებისა და სევდისაგან განთავისუფლება, შენმა ბოლო წერილმა რომ მომგვარა. საკვირველი წერილებია! უცხო, და თუმცა ჩემდამია მომართული და მეც მმარხავს მეწყერში, მაინც მე არ მეხება, არა. შენი სურვილი ჩემთვის ბრძანებაა. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მოითხოვ, მაგრამ არ შემიძლია და არცა მაქვს იმის ძალა, რომ შენი უკანასკნელი წერილი ჩემდამი მოწერილად მივიჩნიო. შენი წყენა და ჩუმი ჩივილი ჩემს გამო არაა, მე არ დამიმსახურებია. არაფერი ჩამიდენია ისეთი, რაშიც ბრალსა მდებ!

უდიდესი და უსამართლო შეცდომა დაუშვი. იქნებ ეს შეგნებულადაც ჩაიდინე, რადგან ვინ გამოიცნობს გაღიზიანებული და შემთხვევების გავლენით მოქმედი ქალის საქციელს?

წერილების ნაწილს კვირის ბოლოს დაგიბრუნებ, დანარჩენსაც არა უგვიანეს ორი კვირისა; კრაკოვში დავტოვე, თვის ბოლოს იქ ვიქნები და მაშინვე გამოგიგზავნი; ოღონდ იმ პირობით, თუ შენც ყველა ჩემს წერილს გამომიგზავნი! დანაშაულს არ ჩავდივარ და ნუ გაიკვირვებ, შენც ხომ ასე იქცევი. თავს ვიზღვევ. სამუდამოდ შენი პატივისმცემელი ვრჩები, ვეცდები არც შენი მეგობრობა და კეთილი სურვილები დავკარგო, მაგრამ ფათერაკი არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ნივთებსაც თან სდევთ. ამიტომ გთხოვ წერილების დაბრუნებას. შენთვის ისინი მხოლოდ წამიერი სენსაცია, გართობა, ქალური ჟინის დაკმაყო-

ფილება იყო — და რადგანაც მათ ეს როლი უკვე შეასრულეს, გამოუსადეგარი ქაღალდები-ღა არიან. დამიბრუნე ისინი. მათშია ჩემი ოცნებები და სიცოცხლის იმედი.

ჩემი დანაშაული, უდიდესი დანაშაულია, რომ ცხოვრების უკანასკნელი სიზმრის, ბედნიერებაზე სიზმრის ხილვა განვიზრახე. ამიტომ დავისაჯე. უბედური ვარ. აი, ჩემი სასჯელი. მეგონა ადამიანებს ვიცნობდი და უნდა მცოდნოდა, რომ მანამდე არაერთ წირავს თავს, ვიდრე სანაცვლოდ რაიმეს არ მიიღებს.

საბოლოოა ეს წერილი, რადგან შენ ასე ინებე.

მსურს განშორებისას მთელი გულით გისურვო ბედნიერება; ამასვე ვუსურვებ შენს ვაჟიშვილებსაც. თუ ოდესმე, მრავალი წლის შემდეგ შეხვედრა გვიწერია, მხოლოდ იმას ვინატრებდი, რომ შენს სულში ჩემი სიყვარულის შეფასება მეგრძნო[74] — ეს საიქიოს ჩემი გამარჯვება იქნებოდა.

სურათს არ გიბრუნებ. დამიტოვე იგი როგორც ერთადერთი რელიქვია საშინელი და მტანჯველი წლების გასახსენებლად. არ გეშშვიდობები, მხოლოდ ნახვამდის, ოდესმე...

ზამთარში პარიზსა და ნიცაში გავემგზავრები.

წერილები გთხოვ ჩვეულებრივი მისამართით, მოკითხვამდე გამომიგზავნო.

ვლ. სტ. რ.

32. ვარშავა, 13 XII 1908

პასუხი დამიგვიანდა. მასთან შენი წერილების გამოგზავნაც მსურს, თუმცა ჯერჯერობით ვერ ვახერხებ[75]. ისინი კრაკოვის ერთერთ ბანკში აწყვია ანაბრის სახით. ვფიქრობდი 29 ნოემბერს კრაკოვში ჩასვლას, მათ გამოტანას და შენთვის გამოგზავნას. მაგრამ წასვლა ვერ შევძელი, ფოსტა კი მათ გამოგზავნაზე უარს აცხადებს. გთხოვ ნუ ინერვიულებ. შენს წერილებს მხოლოდ სეიფის რკინის კედლები და სიბნელე ხედავს. ქრისტეშობისთვის აუცილებლად წავალ და მაშინვე გამოგიგზავნი. ბოლო წერილის გარდა. ხომ მრთავ მისი დატოვების ნებას? ძალიან გთხოვ. წმინდა რელიქვიაა ჩემთვის. დამიტოვებ?

რაც შეეხება ჩემს იმ წერილებს, რომელთაც ისე ვწერდი, როგორც შენ მოითხოვდი, გაზაფხულამდე შემიძლია დაველოდო[76]. გენდობი. შენი სიტყვა საკმარისია ჩემთვის. მადლობას გიხდი უკანასკნელი

წერილის კეთილი, მეგობრული სიტყვებისათვის. გულით დამაქვს ისინი, როგორც თილისმა. მით უფრო მადლობელი ვარ, რომ მოულოდნელი იყო ისინი ჩემთვის და ძლიერ შემმატეს სულის სიმტკიცე. ისე სასიამოვნო შეგრძნება განვიცადე მათი კითხვისას, როგორც შეყვარებულის ხელისგულის დადება სიცხით ალეწილ შუბლზე. მომხიბლეს და ტკბილი თავდავიწყება განმაცდევინეს. მეგონა ნამდვილად ვიდექი შენს, როგორც ძვირფასი და მარად დაუვიწყარი მეგობრის წინაშე. მომიტევე, მაგრამ ზოგჯერ ძნელია ოხვრის შეკავება, თავისდაუნებურად რომ აღმოგხდება მკერდიდან. მსურს ჩემს შესახებაც გითხრა ორიოდ სიტყვა, ხომ მაძლევ ამის უფლებას?

ახლა ვიმყოფები ვარშავაში, სადაც ალბათ კარგა ხანს მომიწევს გაჩერება. ხელისუფლების მიერ ვარ ინტერნირებული ჩემს წინააღმდეგ აღძრული საქმის საფუძველზე. ძალზე უსიამოვნო საქმეა, რადგან შეიძლება ერთი წელი ციხე მომისაჯონ. საიდანღაც ამოქექეს ჩემს მიერ გამოცემული გაზეთები ე. წ. რევოლუციის დროისა და მათზე მთხოვენ პასუხს[77].

ვექილები მტკიცედ მიცავენ, თუმცა ცოტა იმედია, რომ შესძლონ ერთ წელიწადზე ნაკლების მოსჯა.

თუმცა ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთია. როგორც ყინვისაგან გათოშილი ბარტყი, ისე ვგრძნობ თავს. ვცხოვრობ მექანიკურად, ხვალინდელი დღის ყოველგვარი იმედის გარეშე. და თუმცა ჯერ კიდევ არ მიფიქრია სიკვდილზე, მაგრამ ვიცი, არც ის დააყოვნებს. ასე, რომ, ჩამსვამენ თუ გამანთავისუფლებენ, ჩემთვის სულ ერთია[78]. არაფერი მაბადია, რისთვისაც ცხოვრება ღირდეს. აი, ამაშია მთელი უბედურება. მიზანი ისე დამშორდა, რომ ძლივს ჩანს ჰორიზონტზე. რაც იმედად მიმაჩნდა, მირაჟი აღმოჩნდა, საკუთარი წარმოსახვით შეთხზული[79].

ასე, პანი ვანდა!

გაინტერესებთ „შავი პანტერა?“

მარტში დაიბეჭდება, სათაურით „ბურუსი“. გამოსვლისთანავე გამოგიგზავნი. „გლეხების“ მეოთხე და უკანასკნელი ტომი იანვარში გამოვა. მასაც გაახლებ გამოსვლისთანავე. იქნებ მათი კითხვისას მაინც დაფიქრდეთ ჩემზე. ადამიანზე, ვინც ცხოვრობს სადღაც, გრძნობს და ოცნებობს, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ უცნობი ავტორის ანდა უბრალო გამვლელის შესახებ. რომელზედაც თვალები უნებლიედ ჩერდებიან.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ხომ უკვე აღარ შეგვიძლია ვიყოთ უცხონი, თუნდაც უბრალო ნაცნობები. ხომ ასეა?

ნუთუ ვერ გრძნობთ ამას?

ბევრი დავწერე. რა ვქნა, ისეთი მარტოსული ვარ, რომ უზომო სიამოვნებას მანიჭებს თქვენთან საუბარი.

იქნებ აჯობოს წერილები რაიმე შეთანხმებული ფსევდონიმით გამოგიგზავნო, რათა მათი სახლში მოტანისაგან დაგიცვათ?

როგორც გადაწყვეტთ, ისე მოვიქცევი.

პასუხად ორიოდ სიტყვას გვედრი.

წერილს ვურთავ უღრმეს, უგულითადეს, მფეთქავი გულიდან ამოგლეჯილ, უცვლელი მეგობრობისა და ერთგულების სიტყვებს.

ვლ.

33. 1 VIII 1908

გუშინ ძლივს მივიღე შენი წერილი. ორი კვირა თითქმის ნახევარ ევროპაზე მომყვებოდა უკან და მხოლოდ აქ, შენგან ორიოდ საათის სავალზე, ოკეანის ნაპირზე წამომეწია. დიდი მადლობა. და რადგან წერილის დაწერა შენი პირადი ინტერესით იყო გამოწვეული, პასუხს შენის ნებართვით პირდაპირ საქმიდან ვიწყებ. გმადლობ წერილების დაბრუნებაზე თანხმობისათვის, მაგრამ ვინაიდან ისინი ჩემთვის საჭირო არაა და ამასთან მათი გამოგზავნა ზედმეტი დატვირთვა იქნებოდა შენთვის, ამიტომ გთხოვ, მოსპო. ისვრი ბუხარში და ცრემლებსა და გრძნობებს, იმედებსა და სასოწარკვეთილებას ცეცხლი წამში შთანთქავს. იქმნ ასე? ძალიან გთხოვ! მათ განადგურებას მაშინათვე ვირწმუნებ, როგორც კი შემატყობინებ. ახლა შენი აზრი მაინტერესებს, რა ვუყო ჩემდამი მოწერილ წერილებს? ისინი ხომ შენი საკუთრებაა. თან მაქვს ახლა და შენს განკარგულებას ველი. თუ დაბრუნებას ინებებ, დაგიბრუნებ, თუ განადგურებას მიბრძანებ, გეფიცები, გავანადგურებ. მხოლოდ ფოტოსურათსა და ერთადერთ გულწრფელსა და მეგობრულ წერილს დავიტოვებ. მთელი წარსულის სანაცვლოდ გთხოვ მათ, იმედია უარს არ მეტყვი.

შარშან პარიზში შენი წერილი მივიღე და გამოგიტყდები, არ მიპასუხია. თავს ვიტყუებდი, შევხვდები და საუბარში ვეტყვი-მეთქი მის პასუხს. თუ კი შეგხვდებოდი, მართლაც გეტყოდი ბევრ, ბევრ ჯერაც უთქმელ ამბებს!

თანაც ტირანულ სულს თავისი ბუნტი აქვს. ავბუნტდი მეც, აბუნტდა ჩემი გულიც და მსურდა დრო მეხელთა, რათა მოგონებები სიზმრისეულ ბოდვებად გადაქცეულიყვნენ. მოთმინების ფიალა ამევსო. — არა, წერა არ შემეძლო, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ნაცნობებისაგან ვგებულობდი შენს ამბებს. შემდეგ გრძელი და ყრუ წელიწადი გავიდა და შენგან არავითარი ცნობა არ მიმიღია. ზამთარში ზაკოპანეში ვიყავი. ბუნებრივია, ყოველი ფეხის ნაბიჯზე მოგონებები და გახსენებები ცოცხლდებოდნენ. ხშირად გიხსენებდით და ზოგიერთები მწარედ განიცდიდნენ შენს იქ არ ყოფნას[80].

მოვიწამლე მოგონებებით.

წერილიდან ვგრძნობ, რომ ჯანმრთელად და კარგ გუნება-განწყობაზეც უნდა იყო. მსიამოვნებს. სამწუხაროდ იგივეს თქმა ჩემზე არ შეიძლება[81]. მაგრამ ნაკლებ საკუთარ თავზე.

ასეთი სასიამოვნო ინფორმაციისათვის ჩემს ამბებს მოგითხრობ.

აგერ თვე ხდება, რაც როიანთან, პატარა, ტყიან პლაჟზე დავბანაკდით. თან გვახლავს პანი ჩ. განზრახული გვაქვს სექტემბრამდის აქ დავრჩეთ. შემდეგ ორი თვით სამშობლოში უნდა დავბრუნდეთ[82]. ნოემბრიდან მთელი ზამთრის განმავლობაში პარიზში ვიქნები. ახლა, დიდ სამუშაოს ვიწყებ[83], რის შესრულებაც სამშობლოში არ შემიძლია.

აი, თავადაც ხედავ, რა უინტერესოა ჩვენი ცხოვრება. ვწუხვარ, რომ სამშობლოში მალე დაბრუნებას არ აპირებ. ნუთუ ასე კარგად ერძნობ თავს უცხოეთში?...

ხენდაის[84] კარგად ვიცნობ — სამი წლის წინ დიდი ხნით ვიყავი. შესაძლოა წელსაც ჩამოვიდე და ვესაუბრო ჩემს გულითად, ლიტერატურულ მეგობარს, პანი ლუტოვსკას, რომელიც ყოველ ზაფხულს[85] იქ ატარებს. ხენდაი ხომ ასე ბრწყინვალე ადგილას მდებარეობს და უმშვენიერესი პლაჟი აქვს.

ორიოდე სიტყვის მოწერა მსურდა და ოთხი გვერდი კი ავაჭრელე. ბოდიშს გიხდი და ვამთავრებ. კვლავ უმხურვალესად გთხოვ, მომწერო, როგორ მოვექცე შენს წერილებს.

როგორ არიან შენი მშვენიერი ბიჭები?

შევძლებ ოდესმე შენს ნახვას?

ჩემი გულითადი მოკითხვა პან ანდრეის, ხოლო შენ კი გულითადი სალამი.

შენი მონა-მორჩილი ვლ. სტ. რეიმონტი.

P. S. გთხოვ წერილს მისამართზე: პარ ბორდო ა როიან
მოკითხვამდე: ვლადისლავ.
იღებთ პოლონურ გაზეთებს?

34. პარიზი, 15 IV 1908

პანი ვანდა!

პასუხი დავაგვიანე, რადგან შენმა წერილმა ისე დამათრო, როგორც ძველმა, კარგმა ღვინომ. თავში ამივარდა და სასიამოვნოდ გამაბრუა. მოულოდნელი იყო და მით უფრო დიდი სიამოვნება მომგვარა მისმა წაკითხვამ. სასიკვდილო გაზმორებამდე ვსვი იგი და ახლა გამოფხიზლების მეშინია. მაშინებს წუთი, როცა ყველაფერი ფსკერზე დაილექება და სულს კვლავ ყოველდღიური უფერულობისა და უიმედობის სევდა მოიცავს.

წერილის მოწერის ნება დამრთე და მეც გწერ გულახდილად, ვიდრე ოდესმე. დიდად გმადლობ ამ შესაძლებლობის მოცემისათვის! გმადლობ და გლოცავ განაწამები სულით, მეყსეულად რომ მოესალბუნა შენი უწმინდესი ალერსი.

ჩემი ამბები გაინტერესებს? გიპასუხებ! ვცოცხლობ. აი, ყველაფერი. ზუსტად ამ სიტყვაშია მთელი ადამიანური უბადრუკობა, ჩემი განსაკუთრებით.

მთელი ჩემი ცხოვრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღე უხალისოდ, უსიცოცხლოდ რაღაცას მივათრევ ფერდობზე. ეს უფრო საცოდავი, უბადრუკი არსებობაა, ვიდრე სრული, ნამდვილი ცხოვრება. დღეს აღდგომაა და ასე მგონია, იმ წლების აღსარებას გეუბნებოდე, როდესაც მხოლოდ ფიქრი შემეძლო შენზე.

გულახდილი ვიქნები, რადგან შენი წერილებიდან ისე ჰქრის გულწრფელი გრძნობა, როგორც ძველი მეგობრობის ექო. გთხოვ მაპატიო დაბნეულობა. გონება ისე მაქვს მოშხამული, რომ ჩემი გრძნობებისა და ფიქრების ნათლად გამოხატვა არ ძალმიძს, არ შემიძლია თუმცა სულის სიღრმეში ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენს შორის არ გახიდულიყვნენ წლები, ბოროტი ადამიანები და ბედისწერა. თითქოს უწინდებურად ვწერდე ჩემს მსგავს სულს, ნაოცნებარ გულს, სატრფოსა და ერთადერთ სიყვარულს. მე არა მაქვს უფლება ამგვარი წერისა, რადგან ჩემს უწინდელ სიყვარულს არაფერი მოჰკლებია და ჩემს არსებაში მძლავრად სჩქეფს. ოღონდ დროის ნაცრითაა მინავლული, ღრმადაა დაფარული და სტანჯავს ჩემს არსებას. ესაა ჩემი ერთადერ-

თი განძი და ცხოვრების გამამართლებელი. არ გიმალავ ამას. ადამიანები, რომელთაც შეყვარებულის მიმართ იმედის ნაპერწკალი არ ჩაჰქრობიათ, ასე არ ლაპარაკობენ. ასე მხოლოდ ისინი ლაპარაკობენ, ცხოვრებაში ჩემსავით თანაგრძნობას რომ აღარ ელიან[86]. მე მხოლოდ მწარე სინამდვილე დამრჩა. შენი წერილიდან ნაღვერდალივით მწყრალი საყვედური გამოსჭვივის. იქნებ საფუძვლიანი, მაგრამ არა სამართლიანი.

პანი ვანდა! შეგნებულად და განზრახ ისეთი რამ არ ჩამიდენია, რომ შენი ღირსებისათვის რაიმე ჩირქი მომეცხო. გეფიცები, არასოდეს დამიწამებია ცილი, არ გაგკარებივარ შენდა საზიანოდ. არა, არა და ათასჯერ არა. მუხთალ და პატარა კაცუნებს შეეძლოთ ამგვარი რამ ჩაეგონებინათ შენთვის. შესძლეს კიდეც.

მე მესმის შენი. ტკივილებმა უზომოდ გაგტანჯეს, — მაგრამ რა ჩემი ბრალია. აბა დაფიქრდი, ნუთუ ჩემი მხრიდან ეს შესაძლებელი იქნებოდა? ვიცი, ეს ვინც გააკეთა და შენც იცნობ მათ. მეტი წერა აღარ შემიძლია, რადგან მძვინვარე ზიზღს შევუპყრივარ იმ სულელი კაცუნების მიმართ.

შენთან შეხვედრა და ყველაფრის მოყოლა რომ შემეძლოს, დამიჯერე, ჩვენს შორის გაუგებრობის ლეგა ღრუბელი აღარ ჩამოწვებოდა.

მიდიხართ ოჯახით ზაკოპანეში ამ ზაფხულს? ო, ერთსა გთხოვ ძალიან, პანი ვანდა, თუნდაც უკანასკნელად დამრთე შენი ნახვის ნება, გინდ ორიოდე წუთით. ნუთუ პარიზში არ ჩამოხვალთ? მე სამშობლოში უკვე 9 მაისისათვის უნდა დავბრუნდე. სამუდამოდ გადავდივარ იქ საცხოვრებლად. ჩავეფლობი სოფელში გრძელი თვეების მანძილზე და მხოლოდ ზამთრობით, ის თითო-ოროლა კვირა თუ მოვახერხებ პარიზს დავხედო. დანარჩენს ცხოვრება გვაჩვენებს.

შენი მოთხოვნისამებრ წერილს გიბრუნებ. რაც შეეხება მათ, ჩემთან რომ დარჩნენ, ვერ შეველევი. დამიტოვე, როგორც ერთადერთი დამაკავშირებელი ძველსა და ახალ დროს შორის, როგორც სევდიანი და ჩუმი თაღი, ჩვენი შემაერთებელი[87]. თუ ადრე მაინც გეკითხებოდი[88] მათი დაბრუნების შესახებ ეს შენი თხოვნის გავლენა იყო ამ ორი წლის წინ. გეკითხებოდი, რადგან ვიცოდი, პასუხად ორიოდ სიტყვას მაინც გაიმეტებდი. უმანკო ეშმაკობაა, გთხოვ მაპატიო. ადამიანმა ხანდახან ამგვარი გზით უნდა მოიპოვოს უფბა თუნდაც იოტისოდენა ბედნიერებაზე.

შენი უსტარი მწყუროდა. ძალიან მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ ჯერ არ დაგვიწყებივარ და მოგონებები ჯერაც არ გადაგიყრია

ცხოვრებისეულ ძველმანებთან ერთად. ჩემისთანა გლახაკისათვის ესეც დიდი ბედნიერებაა. მე ხომ მხოლოდ მუშაობის წყალობით ვცოცხლობ და არსებითად ამგვარი იმედებია ერთადერთი თავშესაფარი, სადაც ცხოვრების ამაოებისაგან თავის არიდება შემიძლია. ჩემი სახლი ხომ მხოლოდ რუდუნებითაა აღვსილი და ოჯახსაც იმიტომ ვინარჩუნებ, რომ სიმარტოვის მეშინია. თუმცა ალბათ მალე ესეც დამენგრევა. მაიძულებენ, აქამდე მივიდე. ყველაფერი ნანგრევებშია ჩახერგილი. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს საჭირო იქნება სუფთა ჰაერზე გასვლა და განმარტოებული ქოხის აშენება. ისე ცუდად ვგრძნობ თავს, როგორც ბედის მიერ დაუნდობლად ფეხქვეშ გათელილი ადამიანი. პატიებას გთხოვ, თუმცა შენმა სიტყვებმა აიძულეს ჩემი სული გულწრფელი ყვირილისათვის. არავინა მყავს ამ ქვეყნად, ვისთანაც შემეძლებოდა ძლიერი მწუხარების ჟამს გულის გადახსნა. ეს მხოლოდ შენს წინაშე შემეძლო, მხოლოდ შენი გულის წინაშე, თუმცა კმარა. უკვე საკუთარი თავისაც მეშინია და შენთვის თავის ბობეზრებისაც. რაიმე სხვაზე ვილაპარაკოთ.

სამუდამოდ არცახონში დარჩენა ხომ არ განგიზრახავთ?

გთხოვ შენი და ბიჭების სურათი გამომიგზავნო. ძალიან გთხოვ. უარს ნუ მეტყვი. შენი შვილები ჩემთვის ისე ძვირფასები არიან, რომ ძალიან ხშირად ვფიქრობ მათზე. გამუდმებული სევდის, მოუსვენრობის, სულიერი შიმშილის გრძნობა ნამდვილი საგნების ილუზიებსა ბადებს, მაგრამ რა ვქნა, იძულებული ვარ მითით ვიკვებო. სასაცილო ილუზიებია, მაგრამ მაინც ამით მიდგია სული.

ჩემი დისშვილის დახმარების გაწევისათვის მადლობის წერილი გამოგიგზავნეთ, მიიღეთ?

პანი ვანდა, გთხოვ მაპატიო ეს იწილო-ბიწილო და შესაძლოა, ოდნავ შეუფერებელ კილოზე დაწერილი წერილი. თანაც მეტისმეტად პირადული რომაა?! სხვაგვარად ვერ შევძელი. თუკი ორიოდ სიტყვით პასუხს მომწერდი, მაშინ უფრო ღირსეულს გამოგიგზავნიდი.

გიკოცნი ხელებს, გიკოცნი როგორც უწინ. ღმერთო, რა წამებაა! მთელი გულით, უსაზღვრო ერთგულების გრძნობით გთხოვ მეგობრობას.

ერთგული მეგობარი — ვლ.

მისამართი: კ. დე. ვოზნიცკი[89]. 2-რუე პოისი. პარიზი.

ვანდა ტოჩილოვსკას წერილები

ზენონ პრჟესმიცკისადმი

1932-1935 წლებში

1. ვარშავა, 19 XII 1932

ფრიად პატივცემულო პან,

ვიცი რა, როგორი განსაკუთრებული მეგობრობითა და პატივისცემით გეპყრობოდათ აწ განსვენებული ვლადისლავ რეიმონტი[90] — ძალიან მსურს თქვენთვის რჩევა მეკითხა გარდაცვალებულის ზოგიერთი მემკვიდრეობის შესახებ[91]. ამ საკითხის თავად გადაწყვეტა არ შემიძლია და თქვენს გარდა არც არავინ მიმაჩნია ამ საქმეში საკმაოდ კომპეტენტურად.

ტელეფონი არა მაქვს. უაღრესად გთხოვთ ორიოდე სიტყვის ფოსტის საშუალებით გამოგზავნას. გთხოვთ მაცნობოთ, შემიძლია თუ არა თქვენი ნახვა, სად და როდის.

ვცხოვრობ 3 მაისის ქუჩა 12, ბინა 15-ში[92]. ჩემი ნახვა შეიძლება დილის 12 საათამდე და შუადღის 3-5 საათებში. თუ თქვენთვის უფრო ხელსაყრელია ჩემი მოსვლა — გთხოვთ დამინიშნოთ დღე და საათი, როცა ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ღრმა პატივისცემით

ვანდა ტოჩილოვსკა

2. ვარშავა, 2 V 1933

ფრიად პატივცემულო პან

იქნებ შესძლოთ მცირეოდენი თავისუფალი დროის გამონახვა?

პან დემბიმ[93] ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩემთან პან ვლადისლავის პორტრეტის შეძენის თაობაზე ლაპარაკობდა[94] — სხვათაშორის ძალზე ფრთხილად და საკმაოდ დასაბუთებული ფორმით, ცნობილი და დამსახურებული ადამიანების წერილებს შეეხო[95]. ამ საკითხზე თქვენი აზრის გაგების გარეშე არაფრის გადაწყვეტა არ მსურს, რადგან თქვენს სიტყვას ჩემთვის ისეთივე წონა აქვს, როგორც თავად რეიმონტის სიტყვას.

შუადღემდის და ასევე 3-5 საათებში ყოველთვის სახლში ვარ. იქნებ ინებოთ, დამირეკოთ და მითხრათ, როდის შემეძლებოდა თქვენთან მოსვლა. დიდი პატივისცემით — ვანდა ტოჩილოვსკა

ტელ: 2-93-40

3 მაისის ქუჩა, 2-15

3. ვარშავა 21 V 1933

ღრმად პატივცემულო, ღირსეულო პან

ჩანს რეტროსპექტიული აზროვნება მაქვს და ალბათ ამიტომ, დღეს, გამირბინა რა გონებაში ჩვენმა გუშინდელმა საუბარმა პან ვლადისლავის წერილების თაობაზე, გამახსენდა, რომ თქვენთვის კონკრეტულად არაფერი მითქვამს და არც რაიმე განსაზღვრული პოზიცია დამიკავებია, რაც თქვენ პან დემბის მიმართ მოქმედებას გაგიიოლებდათ. შესაძლოა ეს იმიტომ, რომ ჩემს გონებაში თავად კონცეფცია ამ წერილების გაყიდვისა ზიზღსა და ამაზრზენ განწყობილებას იწვევს. მეორე მხრივ, იბადება კითხვა: მაქვს თუ არა უფლება ამ წინადადების უარყოფისა? იგი ხომ თავად ცხოვრებამ წარმოშვა, ჩემი ნებისაგან დამოუკიდებლად? ადრე ამგვარი რამ აზრად არ გამივლია. ბედისწერასთან ბრძოლის ძლიერ კრიტიკულ მომენტებშიც კი არ მიმიჩნევია ისინი, როგორც სიტუაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა[96].

თუ გუშინ ბიბლიოთეკის მიერ 600 ათას ზლოტად შეძენილი წიგნის შესახებ გიხსენეთ[97], არა იმიტომ, თითქოს განსხვავებას ვერ ვხედავდე მასსა და ჩემს ბარათებს შორის, არამედ მსურდა ხაზი გამესვა, რომ არიან ნივთები, რომელთაც ვერავითარ ბაზრის ფასს ვერ მიუყენებ; ფასდაუდებელი ნივთები. ამ საქმეში შეთანხმება იმას ნიშნავს, რომ ერთ მხარეს მისი შეძენა სურს, მეორე მხარეს კი მისი დათმობა შეუძლია. ჩემი კონტრაგენტი სახელმწიფო დაწესებულება, ანდა კერძო პირი რომ ყოფილიყო, მაშინ ყველაფრის მიუხედავად, ფასის დადება არ მომერიდებოდა. დაე, ფასი რეიმონტის შესაფერი ყოფილიყო, — მაგრამ, ვიმეორებ, ამ წერილების შეძენა სურს საჯარო ბიბლიოთეკას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რეიმონტის განცდების ყველასათვის უცნობ პერიოდს, ამ წერილებიდან რომ გამოსჭვივის უშუალო გავლენა ჰქონდა მის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ალბათ შეამჩნევდით წერილებში ნახსენებ სიტყვა „დაისს“? ესაა იმ ნოველის გმირი ქალის სახელი, რომლის დასათაურებაც რეიმონტს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა როგორც — „შავი პანტერა[98]“. ნოველა შემდგომში დაიბეჭდა სათაურით „ვამპირი“, (თუ ამჯერად მეხსიერება არ მღალატობს). ეს სახელი რეიმონტს რამდენჯერმე აერია ჩემს სახელში, იმიტომ, რომ სახელდობრ მე ვიყავი მისი პროტოტიპი. თუმცა რატომღაც არ გამოვიდა და ჩემთვის სულიერად უცხო დარჩა. „დაისის“ სახე ნოველაში ჩემთვისაა შექმნილი და ჩემზე

ფიქრშია დაწერილი[99]. გარდა ამისა, სხვა ნოველებშიც გვხვდება მთელი ნაწყვეტები პან რეიმონტისადმი გაგზავნილი ჩემი წერილებიდან, რომლებიც, მისი რწმენით, ესადაგებოდნენ მის ნოველებს და მთხოვდა გამოყენების ნებართვას[100]. მეტად მძლავრი ფაქტორი იყო მისთვის ენება, რომელშიც თავისი იმპულსური ბუნების მთელი გაქანებით სრულიად ინთქმებოდა და განა შეიძლებოდა მის შემოქმედებაზე გავლენა არ მოეხდინა? ამრიგად, მომავალი, ჩვენგან რამდენიმე თაობით დაშორებული მკვლევარისათვის ამ წერილებს შესაძლებელია უდიდესი და ულრმესი მნიშვნელობა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, ისინი უბრალო სენსაციის გამომწვევ საგნებად არ დარჩებიან.

ამიტომ თუ ეს საქმე საკუთარ შეხედულებებთან, (არა ამჟამინდელთან) და „ბედის გაღიმებასთან" ჩემი კონფლიქტის ექვივალენტი გახდება, — დაე იმის საშუალება მაინც მომცეს, რომ მტკიცედ დავხვდე ფეხზე, შემძინოს რაღაც, რაც ამ წერილების „გასაღებას" და არა შეწირვას გაამართლებდა. ასეთი კეთილშობილური ჟესტისადმი უფლება ამჟამად არა მაქვს, ამიტომ მხოლოდ გაყიდვის შეთავაზება შემიძლია. ეს მრავალი ცხოვრებისეული გართულებების თავიდან აცილების საშუალებას მომცემდა, რომელთა მიმართ ახლა ასე უსუსური ვარ. ოღონდ თქვენ უნდა მოისურვოთ ამ საქმეში ჩემი შეწევნა. უაღრესი ნდობით ვაბარებ თქვენს კეთილშობილურ ხელთ ამ საქმეს.

უსაზღვრო მადლიერების გრძნობითა და გულითადი პატივისცემით
— ვ. ტოჩილოვსკა

P. S. წერილებზე ფასის დადება არ შემიძლია, რადგან ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არა მაქვს.

4. ვარშავა 6 VI 1934[101]

ღრმად პატივცემულო, ღირსეულო პან,

რეიმონტის წერილების შესახებ კიდევ ერთხელ მსურდა თქვენთან მოლაპარაკება. უმორჩილესად გთხოვთ დილის საათებში (12 საათამდე) ტელეფონის საშუალებით მითხრათ სად და როდის შეძლებთ ჩემს მიღებას.

ულრმესი პატივისცემით — ვ. ტოჩილოვსკა.

5. ვარშავა 3 VII 1934

მარშალკოვსკა 33-13
ტელ: 8-75-12

ღრმად პატივცემულო, ღირსეულო პან,

ვიდრემდის რეიმონტის წერილების ასლს გადავიღებდეთ პან ბერნაცკისათვის[102] გასაგზავნად, მსურს კიდევ ორი წერილი გადმოგცეთ, ოღონდ ჯერ უნდა გადავათვალიეროთ. კიდევ ერთი რამ გამახსენდა, რაც აგრეთვე იმაზე ლაპარაკობს, რომ ზუსტად საჯარო ბიბლიოთეკამ უნდა შეიძინოს ეს წერილები. ო, რამდენი ნამდვილი ცნობებია იმ წერილებში, მისმა მეუღლემ ბიბლიოთეკას რომ გადმოსცა და დამატებით რამდენ რამეს ხსნიდა ვლადისლავის წერილები და დღიური, ჩემთან რომ ინახება[103].

აი, ორი ნაწყვეტი ჩემდამი მოწერილი ბარათიდან: „და გთხოვ მომიტევო ეს წერილი. ასე ამჟღავნებენ გულის საიდუმლოს ფეთქვას. ასე იწერება ჩემი დღიური და შენდამი მოძღვნილი წერილები“.

(ჩემი შენიშვნა: წერილი 11; ქაღალდი უჯრებიანი, უბის წიგნაკის ზომა 16-10 სმ).

და კიდევ: „მსურს და ვოცნებობ, რომ ოდესმე ჩემს სულში ჩახედვა შეძლო, ღრმად ჩახედვა, — მაშინ დარწმუნდებოდი, ვინა ვარ და შენ რას წარმოადგენ ჩემთვის. არის ამის შესაძლებლობაც. რამდენიმე წელია ვწერ დღიურს, თავისებურ ანგარიშს სინდისის წინაშე. იქ არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ გრძნობებსაც აღვწერ. აღვწერ ოცნებებსა და იმედებს. ესაა ერთგვარი აღსარება საკუთარი თავთან. დღიურს ჯერ არავის თვალი არ მიჰკარებია. განდობ მის იმ ნაწილს, რომელიც 1907 წლითაა დათარიღებული. მისი წაკითხვის შემდეგ დარწმუნდები, რომ არ არსებობს განსხვავება იმათ შორის, რასაც ვწერ და რასაც ჭეშმარიტად ვგრძნობ. თუ არის ის, ისეთია, რომ სინამდვილეში კიდევ უფრო ძლიერ მიყვარხარ და ვოცნებობ შენზე, ვიდრე წერილებით შევძელი მისი გადმოცემა“.

ამრიგად, თუ თქვენ, ღირსეული ბატონი, მოელაპარაკებით დირექტორ დემბის პანი რეიმონტის საჩუქარზე და უჩვენებთ მას, რომ არსებობს აგრეთვე რეიმონტის ჩემდამი მოწერილი წერილები და დღიური, მაშინ ნათელი გახდება, რომ ყოველივე ამისაგან შესაძლოა აღსდგეს ზედმიწევნით სრული და ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც იგი თავისი უაღრესად იმპულსური ბუნების მთელი გაქანებით

გრძნობებს მიეცა და რაც შემდგომში მის მიერ მრავალი წამოწყების საფუძველი გახდა.

ეს ყველაფერი საკითხის ფორმალურ მხარეს შეეხება. ხოლო ახლა, ნუ გამინაწყენდებით, თუ თქვენ, მის მეგობარს, იმასვე გეტყვით, რასაც თავად ვეტყოდი, ცოცხალი რომ იყოს. სახელდობრ იმას, რომ ისეთი სიყვარული, იგი რომ ოცნებობდა და თავის პოეტურ სამყაროში ჰქმნიდა, — საერთოდ არ არსებობს, სხვაგვარი კი ტანჯვად და ბრძოლად არა ღირს...

ამ უკვე გაყვითლებულმა ბარათებმა, რომლებიც მოულოდნელად გაცოცხლდნენ და სისხლსავსე გულივით დაიწყეს ფეთქვა, საოცრად ამაღელვეს. რამდენმა, რამდენმა გარდასული დროის ამბავმა წამოჰყო თავი, რომელთა გახსენების ნებას არასოდეს არ ვაძლევდი თავს, რათა არ გავტეხილიყავი და გამეძლო, როგორც ჯარისკაცს პოსტზე, რათა სიცოცხლის ადამიანთათვის განკუთვნილი მიჯნისათვის მიმეღწია.

შესაძლოა მოზღვავებულ გრძნობას ჩავუარე გვერდი. შესაძლოა, ვიღებდი რა საგნებსა და მოვლენებს ჩვეულებრივად, ადამიანურად, გავანაწყენე ეს უსაზღვროდ ერთგული გული, მაგრამ მაშინ არაფრით არ შეურაცხმიყვია იგი. ჩვენი სიყვარული ბოლომდის წმინდად დარჩა, ზეციდან არ დაშვებულა და მიწას არ შეხებია.

ვინ იცის, იქნებ ამრიგად ჩემი გული უმწარესი სასოწარკვეთილებისა და ტანჯვისაგანაც ვიხსენი. ყოველ შემთხვევაში, მე უნდა გამესრულებინა ჩემი ყმაწვილქალობა, გამევლო საშინელი განცდებისა და გრძნობების მთელი ჯოჯოხეთი, რათა მივმხვდარიყავი ამას და გამეგო. საჭირო იყო დიდი ხნის უკან ჩავლილი ამბებისა და მოვლენებისადმი მთელი ჩემი გრძელი ცხოვრების პერსპექტივიდან შემეხედა, რათა შემძლებოდა დამენახა, რომ ჩვენს უკან, ისევე როგორც ჩვენს წინ, დგას ერთი და იგივე უდიდესი „არარაობა“... რომ ბედნიერებას ქვიშაზე ვაშენებთ და სიყვარულს კი რეალობად მივიჩნევთ... და მაინც, წარსულთან ასეთი უშუალო შეხების შედეგად ვგრძნობ, თუ რაოდენ ძვირფასია ეს წერილები და რა მძიმეა მათთან განშორება. ჩემთვის მათში არის უჩვეულო სიმტკიცე და ცხოვრების ძალა, მიუხედავად ყველაფრისა...

მას, დიდებით მოსილ ადამიანს, სურდა საოცარ ცისარტყელაში გავეხვიე და საკუთარი დიდების ბრწყინვალებით გავეცისკროვნებინე. სურდა მისი შთაგონების წყარო, მისი ბეატრიჩე და მისი გენია ვყოფილიყავი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის დიდება და პატივი, რომელიც მან მომაგო, არასოდეს შემილახავს...

ვუბრუნდები რა საქმის არსს, მსურს გითხრათ, პატივცემულო და ჩემდამი კეთილად განწყობილო პან, რომ თქვენი რჩევის თანახმად, წერილი გავუგზავნე პან ბერნაცკის იმ პირობის შეთავაზებით, რაზედაც კვირას შევთანხმდით. გავუგზავნე აგრეთვე დანართიც, სადაც რეიმონტის პირველი ორი წერილის, წერილების ამ ციკლის დასაწყისის აღწერილობაა მოცემული.

პასუხის მიღებისთანავე თავს ნებას მივცემ, თუ თქვენ ამას საჭიროდ მიიჩნევთ, რომ ტელეფონით გაცნობოთ პან დემბის დაინტერესება წერილებით. ოღონდ ძალიან გთხოვთ, ამის შესახებ შემატყობინოთ. კვირის ბოლოს ვილნიუსში მივემგზავრები, მაგრამ აქ ამბავს ვტოვებ, რომ თქვენი წერილი მიღებისთანავე გადმომიგზავნონ. ვრჩები თქვენი ძლიერ მადლიერი და პატივისმცემელი. უაღრესად მყუდროდ და ნეტარად ვიგრძენი თქვენთან თავი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირი სტუმრობით გაგაბეზრეთ და დიდ დროს გართმევთ. ბოდიშს გიხდით.

ვანდა ტოჩილოვსკა

6. ვარშავა 3 XII 1934

მარშალკოვსკას ქუჩა 33, ბინა 13
ტელ: 8-75-13

ღრმად პატივცემულო პან

თქვენს მიერ შეპირებული, მაგრამ განუხორციელებელი სტუმრობის შემდეგ გრძელი კვირები გავიდა. სტუმრობის მე ძლიერ მოხარული ვიყავი. იმის გამო, რომ ტელეფონი მუდამ მღალატობს და ვერ მოვახერხე თქვენთან უშუალოდ დაკავშირება — თავს ნებას მივცემ მოკლედ მოგწეროთ ჩემი მხურვალე თხოვნა, რომელსაც ლაპარაკით უფრო დიდი სიამოვნებით გადმოგცემდით, ადვილი მოსახერხებელი რომ იყოს. ბოლოს და ბოლოს მე ხომ ვშიშობ კიდეც ჩემი დაუპატიჟებელი სტუმრობით თავი არ მოგაბეზროთ.

პან პრეესმიცკი, ერთხელ კიდევ გთხოვთ შემეწიოთ პან ვლადისლავის წერილების გაყიდვის საქმეში. თქვენს სიტყვის დიდი წონა აქვს და თქვენი ჩარევა მეტად საიმედოა. ამავე დროს, ამ წერილების არსი თქვენთვის ხომ განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი! გავიგე რაღაც ლიტერატურული აკადემია არსებობს[104], (ცუდად ხომ არ გადმოვცემ სახელწოდებას?) რომლის თავმჯდომარე სიეროშევსკია, ხოლო თქვენ წევრი ხართ. იქნებ იქ დაინტერესებულიყვნენ წერილებით და რიგიანადაც გადაეხადათ? მით უმეტეს, რომ ეს ლიტერატურული

ქმნილება კი არ არის, არამედ თავად ცოცხალი რეიმონტია, — მისგან წლების მანძილზე დაწერილი ეს ბარათები უძვირფასესი დამატებითი წყარო გახდება მომავალი კვლევებისათვის. ისინი არ უნდა დაიკარგოს. მე, სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩემს თავს დიდსულოვნების ნება მივცე და დღეს ეს ერთადერთი ჩემი განძი ნებისმიერი პირობებით თავიდან მოვიშორო.

რაღაც მნიშვნელოვანი ნაღდი ფულის გარეშე თავს დამბლადაცემულად, უმოქმედობისათვის განწირულად ვგრძნობ... არც ჩემი სამუშაოს შემდგომი სრულყოფა შემიძლია, რომელიც დღესდღეობით ჩემი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს. თუმც კარგად ვიცი, რა უნდა მოვიმოქმედო, რათა საზოგადოებაში შესაფერისი ადგილი მოვიპოვო, მაგრამ უძლური ვარ. სათანადო თანხის უქონლობა ყოველთვის ხელს მიშლის. ამგვარად წინ მხოლოდ დინებას მივყვები, ხოლო ასეთმა უიმედო ცხოვრებამ ძალიან გამტანჯა.

თქვენ ჩემდამი, სრულიად უცნობი ადამიანისადმი ისეთი კეთილი იყავით, ისე საიმედოდ მომეხმარეთ რეიმონტის პორტრეტის გაყიდვაში, რომ ჩემი ფიქრები ასლაც თქვენ დაგტრიალებენ სრული ნდობით. ძალიან მწამს, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩემი დახმარება. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ მორჩილი შემსრულებელი ვიყო ყოველი თქვენი წამოწყებისა, თუ თქვენ საჭიროდ მიიჩნევთ, ამასთან ძალიან გთხოვთ, დიდხანს ნუ დამტოვებთ უპასუხოდ, როგორიც არ უნდა იყოს იგი. უაღრესად ქანცგამცლელია ასეთი მოლოდინი! ჩემთან დარეკვა უმჯობესია 12-13 საათებში. ამ დროს მუდამ სახლში ვარ.

დიდი პატივისცემით და გულითადი მადლიერებით — ვანდა ტოჩილოვსკა.

7. ვარშავა 24 I 1935

მარშალკოვსკა 33, ბინა 13
ტელ: 8-75-13

ღრმად პატივცემულო, ღირსეულო პან,

იურკევიჩების ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი მათთან საუბარი რეიმონტის წერილებით მარშალის მეულლის[105] დაინტერესების შესახებ. სამაგიეროდ გავიგე, რომ შესაძლოა უფრო შედეგიანი იყოს პანი კაზიმიერა ილაკოვიჩოვნას[106] შუამდგომლობა უშუალოდ მარშალთან[107]. ეს საღ აზრად მომეჩვენა, მაგრამ ჯერ ერთი, პანი ილაკოვიჩოვნას არ

ვიცნობ და თანაც, თქვენი ნებართვის გარეშე არც მსურს რაიმეს წამოწყება. დღეს დაგირეკავთ. ვეშურები რა ამ საქმის მოკლე ხანში დასრულებას და თანაც ვერიდები მეტისმეტად ცნობილი გვარის ტელეფონში წარმოთქმას, გწერთ ამ ორიოდ სიტყვას, რაზედაც პასუხს გთხოვთ ტელეფონით შუადღის 2-4 საათებში. რამდენადაც თქვენ, როგორც ლიტერატორი, თუნდაც რომ არ იცნობდეთ პანი ილაკოვიჩოვნას, მისგან მაინც შესაფერისი პატივისცემა გეჭნებათ კოლეგური სოლიდარობის ნიშნად, ამიტომ ძალიან გთხოვთ თქვენს შუამდგომლობას მასთან. ეს კი როგორ უნდა მოვახერხო, მოვილაპარაკოთ ტელეფონით, ოღონდ არ გადავდოთ, კარგით, პან პრეესმიცკი?

ღრმა პატივისცემით და გულითადი სალმით — ვანდა ტოჩილოვსკა.

8. ვარშავა, 8 IV 1935

ფრიად პატივცემულო, ღირსეულო ბატონო,

ერთი კვირაა, რაც საცხოვრებლად ახალ ბინაში გადავედი. სამწუხაროდ ტელეფონი ჯერ-ჯერობით არა მაქვს. თუკი საქმე გექნებათ, უმორჩილესად გთხოვთ საღამოს საათებში დამირეკოთ ნომერზე — 9-75-27. ესაა ჩემი დის ტელეფონის ნომერი. ყოველდღე, საღამოს 6-დან 10 საათამდე სახლში ვარ. თუ შემთხვევით სახლში არ ვიყო, გთხოვთ თქვენი გვარი ჩააწერინოთ, გადმომცემენ და თავად დაგიკავშირდებით. თუ შესძელით ვინმეს დაინტერესება რეიმონტის წერილებით? დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენ, რომელსაც ასეთი გამორჩეული მდგომარეობა გიკავიათ ლიტერატურულ ელიტაში, ვერაფერს გააწყობთ, — მაშინ მე უკვე შემიძლია დავემშვიდობო ამ წერილების რეალიზაციის ყოველგვარ იმედს. მით უფრო, რომ თავად არ ვიცი, ვის მივმართო.

გულის ფანცქალით ველი თქვენს ყოველ ცნობას.

დიდი პატივისცემითა და გულითადი სალმით — ვ. ტოჩილოვსკა.

9. ვარშავა 2 X 1935

ფრიად პატივცემულო, ღირსეულო ბატონო, შემთხვევით გავიგე, რომ ქ. ლვოვის ოსოლინიუმის ბიბლიოთეკა აწარმოებს მოლაპარაკებას რეიმონტის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაზე უფლების

მოპოვებისათვის. ამ კრებულში შესაძლებელია მოთავსებულიყო თქვენთვის ცნობილი წერილები.

ვინაიდან თავის დროზე, ბატონ ბერნაცკის უკვე მივეცი წინადადება წერილების გადაცემის შესახებ, რამაც შედეგი არ გამოიღო, რადგან წერილებზე ჩემს მიერ დადებული ფასი ბიბლიოთეკისათვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, მიმაჩნია, რომ ამჟამად არ შემიძლია თავად განვაახლო წინადადება. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა, თუ ვინმე, ცნობილი პირი ლიტერატურულ წრეებში, აცნობებდა ბიბლიოთეკას, რომ იცის რეიმონტის უცნობი წერილების შესახებ. ამ წერილების დახასიათებას კი თქვენზე უკეთ ვინ შესძლებდა? თქვენი ჩემდამი, ასე უცნობი პირის მიმართ უდიდესი კეთილმოსურნეობისა და დაუჯერებელი შემწეობით გათამამებულმა, მსურს უაღრესად გულითადად გთხოვოთ, რომ პირადად თქვენ მოისურვოთ ჩარევა ამ საქმის გამო პან ბერნაცკისთან. სხვას ვის სიტყვას ექნება უფრო მეტი წონა, ვიდრე სიტყვას პან პრჟესმიცკისა? თქვენი შუამავლობის შემდეგ ბიბლიოთეკის დირექცია დაუყოვნებლად მომაკითხავს და ჩემი შანსები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მარტო რომ ვიხლაფორთო.

კეთილო პან, გული ნუ მოგივათ, თუ თავი მოგაბეზრეთ. ყოველივე ამას ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენი პირველი გულთბილი შეხვედრა მაბედინებს. ამ დღიდან ვერ შევძელი რეიმონტის პიროვნება თქვენთვის დამეშორებინა. ალბათ ამაში უფრო მეტი ბრალი პან ვლადისლავს მიუძღვის, ვიდრე მე...

დღე-დღეზე ველი ბინაში ტელეფონის დადგმას. დადგმისთანავე დაგირეკავთ და გავიგებ, რა დაადგინეთ ბიბლიოთეკის დირექციასთან მოლაპარაკებისას. თქვენთან პირადად მოსვლა მსურდა, მაგრამ ვერ შევძელი ტელეფონით დაგკავშირებოდით და ამიტომ მოწერა გადავწყვიტე, რათა უხერხულ დროს მოსვლით არ შემეწუხებინეთ.

დიდად მსიამოვნებს აგრეთვე, რომ შემთხვევა მეძლევა აღვნიშნო, თუ რა უღრმესი, პირდაპირ ენით გამოუთქმელი კმაყოფილება განმაცდევინა თქვენმა ასე მშვენივრად დამთავრებულმა პროცესმა პროფ. პინთან[108].

ღრმა პატივისცემითა და გულითადი მადლიერებით — ვანდა ტოჩილოვსკა.

შნიადეცკის ქუჩა 5-7

P. S. ლიტერატურულ საქმეებთან დაკავშირებით ყური მოვკარი შვეიკოვსკის[109] გვარს. თუ იცნობთ მას?

შენიშვნები:

1. რეიმონტი მადლობას იხდის კრაკოვში მიღებული წერილისათვის.

2. ადრესატი ქმარშვილთან ერთად ზაკოპანეში ცხოვრობდა, დაოჯახებული იყო რეიმონტიც.

3. რეიმონტის თხოვნით, ვანდა საპასუხო წერილებს ჟურნალ „ტოგოდნიკის“ რედაქციაში, ვარშავაში აგზავნიდა.

4. ცოტა ხნით ადრე, 1904 წლის 19 დეკემბერს, რეიმონტი თავის დას წერდა: „ჩემო ძვირფასო, ჩემი ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ჩემს ხასიათსა და საქმიანობაშია საძიებელი. გულწრფელად გეუბნები ამას, რადგან არავითარი სხვა მიზეზი მე არ მაწუხებს და უფლება არა მაქვს, ვინმეს ან რაიმეს ვსაყვედურობდე... ცხოვრება შეიძლება შეიქმნას მძიმე და აუტანელი მრავალი შინაგანი მიზეზის გამოისობით.

5. რეიმონტს ეს ხერხი იმიტომ სჭირდებოდა, რომ ცოლი არ დაეჭვებულიყო. ამგვარი კონსპირაციის შესახებ მწერალი წერდა: „მრცხვენია, რომ ასეთ ხერხს მივმართავ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია“.

6. ვანდა ეკუთვნოდა პიეტრიკევიჩების გვარს. მისი ბიძაშვილი, მარია, ცოლად გაჰყვა მწერალ სტანისლავ ვიტკევიჩს. ზაკოპანეში ვანდა ხვდებოდა აგრეთვე პოეტ იან კასპროვიჩს, მხატვარ თადეუშ კრუშევსკის, ავტომობილიზმის პიონერს — მათაშევსკის და სხვებს.

7. არცახონი — ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

8. თუნდაც ბრეტანში, ბეგ-მეილში 1902 წელს ყოფნისას, სადაც რეიმონტი რომან „გლეხებზე“ სამუშაოდ გაემგზავრა.

9. სევდა-კაეშნის მოტივი რეიმონტმა განავითარა ნოველა „სევდაში“.

10. ტოჩილოვსკების საცხოვრებელი ადგილი.

11. ალბათ ანტონი პოტოცკი, რომელიც იმ დროს პარიზში ცხოვრობდა.

12. ვანდა ტოჩილოვსკა ითხოვდა მიმოწერაში სიფრთხილეს და მისთვის წერილების მესამე პირის საშუალებით გადაცემას.

13. ვანდამ არაერთხელ სთხოვა რეიმონტს წერილების უკან დაბრუნება, თუმცა ჭორებისაგან ვერც ამან იხსნა.

14. შეხვედრას აღსრულება არ ეწერა.

15. უფრო ადრე, 1907 წლის 1 დეკემბერს, რეიმონტი ცნობილი პოლონელი მწერლისა და მხატვრის, სტანისლავ ვისპიანსკის დაკრძალვაზე გაემგზავრა.

16. ვიგილია — პოპულარული რელიგიური დღესასწაული პოლონეთში, რომელსაც იხდიან ყოველი წლის 24 დეკემბერს.

17. ტოჩილოვსკების ოჯახი პეტერბურგში ვერ გაემგზავრა.

18. სტ. ვისპიანსკის დაკრძალვაზე 28/12 1907 წელს, კრაკოვში.

19. მათი საერთო ნაცნობები — რ. ჩაპლიცკა და მ. რუდნიცკა.

20. ანდრეი ტოჩილოვსკი — ვანდას მეუღლე.

21. გაზეთმა „კურიერ ვარშავსკიმ“ 1907 წელს მოათავსა შეტყობინება: „ლიტერატორების ჯგუფმა გუშინ ვარშავიდან გაგზავნეს შემდეგი ცნობა: ვისპიანსკის დამკრძალავ კომიტეტს, საქალაქო საბჭოს ქვემორე ხელისმომწერნი მიემგზავრებიან ვისპიანსკის დაკრძალვაზე. მათი სახელით საფლავთან სიტყვას წარმოთქვამს ზენონ პრჟემიცკი. 16 დასახელებულ პირთა შორის იყო რეიმონტიც. ამ ცნობის ქვეშ მოთავსებული იყო ტელეგრამა, რომ სიტყვის წარმოთქმა განსვენებულის ნების თანახმად საჭირო არ იყო.

22. რეიმონტის წერილი, სადაც ვანდასათვის წიგნის გაგზავნას ახსენებდა, არ შემონახულა. გაუგებარია, რომელ წიგნს ახსენებს რეიმონტი.

23. იეარაუდება მოყვარულთა რომელიღაც სპექტაკლი, ჩატარებული საქველმოქმედო მიზნით, რასაც მოწმობს წერილის ბოლოს გაკეთებული შენიშვნა ოფიციალური წერილისა და ბილეთის ფასის გაგზავნის თაობაზე.

24. 1908 წელს ჩამოსულ სტუმართა შორის იყო რეიმონტიც.

25. რეიმონტი მზეში იტალიას გულისხმობს, სადაც იგი 1908 წელს გაემგზავრა.

26. ეს გროდნოში ე. ორჟეშკოვის საიუბილეო ცერემონიალის მეორე დღე იყო.

27. რეიმონტი ვანდას მეუღლის, ანდრეის ჯანმრთელობის მდგომარეობას გულისხმობს.

28. არსენ ამარტოლი გვახსენებდა: „დიდი არს ძალი სიყვარულისა, რამეთუ შესაძლებელს ხდის შეუძლებელსაც“ (მთარგ.)

29. მწერლის ცოლი, შესაძლებელია, ამ დროს დედულეთში იყო.

30. ეს აბზაცი სიტყვებიდან: „მსურს, და ვოცნებობ...“ ვანდას მიერ ციტირებულია ზ. პრჟესმიცკისადმი მიწერილ წერილში. (იხ. დამატება).

31. ზღვის თვალი — ასე ეწოდება პატარა ტბას ზაკოპანეს ახლოს (მთარგ.).

32. რეიმონტი მონაწილეობას იღებდა სპირიტისტულ სეანსებში.

33. იგულისხმება წინასწარ დათქმული გამგზავრება პეტერბურგში.

34. მ. რუდნიცკა და ხ. ჩაპლიცკა.

35. აპრილი რეიმონტმა იტალიაში გაატარა. კრაკოვში დროდადრო ცხოვრობდა 1908 წლის მაისსა და ივნისში.

36. ვარშავაში.

37. პერიფრაზი წმინდა იოანე ნათლისმცემლის სიტყვებისა (1, 19-23).

38. რეიმონტმა ბოლო წერილი ვანდას პარიზიდან მისწერა 1908 წლის 12 თებერვალს. მასში ატყობინებდა, რომ აპრილის ნახევრამდის პალერმოში იქნებოდა და სთხოვდა წერილის გაგზავნას მოკითხვამდე წარწერით „ვანდა". მაგრამ პალერმოს ნაცვლად ამალფში გაემგზავრა.

39. განუწყვეტელი ზრუნვა ტუბერკულიოზით დაავადებული ქმრის ჯანმრთელობისათვის.

40. ზაკოპანეში გამგზავრება ივლისისათვის გადაიდო.

41. ვანდას მეუღლის ავადმყოფობის გამო არცახონში გამგზავრება გადაიდო.

42. თავისი ეპოქის გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისად „გლეხების" ავტორი სპირიტისტულ სეანსებში იღებდა ხოლმე მონაწილეობას. სწამდა ასტრალური სუბსტანციის ემანაცია, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მოძრაობა მძინარე სხეულის მიტოვების შემდეგ.

43. რეიმონტი შიშობდა, რომ შესაძლებელი იყო ვანდა ტუბერკულიოზით დაავადებულიყო. მისი ვაჟიშვილები მაშინ პატარები იყვნენ, 5 და 3 წლის.

44. ყველასაგან საიდუმლოდ, მოკითხვამდის გაგზავნილი წერილების გარდა, რეიმონტი ტოჩილოვსკების ოჯახში ოფიციალურ ბარათებსაც აგზავნიდა. მსგავს მეთოდებს იყენებდა მისი ადრესატიც. უკიდურესმა სიფრთხილემაც ვერ დაჰფარა ისინი საიდუმლოს გამჟღავნებისაგან (იხ. წერილი 29).

45. ბრმა ნაწლავის მიზეზით.

46. რეიმონტი და ვანდა ერთმანეთს ზაკოპანეში გაეცნენ.

47. რეიმონტი ისტორიული ტრილოგიის — „წელი 1794" დასაწერად ემზადებოდა.

48. ვანდას ქმარი — ანდრეი.

49. შესაძლებელია ეს არის სიტყვა „მიყვარხარ".

50. გაჩერების ადგილად როსკოფი იქნა შერჩეული. იხ. წერილი 22.

51. სავარაუდოა, რეიმონტმა იმ დროს დაამთავრა სასწრაფოდ დასაწერი დრამა, რასაც 22 წერილში ახსენებს.

52. სტანისლავ ვიტკიევიჩი, ვანდას უფროსი დის, მარია პიეტრკიევიჩოვნას, მუსიკის მასწავლებლის ქმარი.

53. ალბათ ელენე მილჩინსკა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჰენრიკის ცოლი.

54. ელენე ჩაპლიცკა, რომელიც მწერლის მეუღლეს მეგობრობდა და მარია რუდნიცკა ქმრით.

55. დავოსი — კურორტია შეიცარიაში (მთარგ.).

56. ლეონ რაძიევსკი, ჟურნალისტი.

57. ხრამცოვების ნაქირავებ სახლში.

58. რესტორნის მეპატრონე ზაკოპანეში.

59. იგულისხმება რაღაც შემთხვევა იან კასპროვიჩის (პოლონელი პოეტი — მთარ.) სახლში, სადაც ზაკოპანელი ნაცნობები ერთმანეთს ხვდებოდნენ ხოლმე. იხ. აგრეთვე წერილი 30. ეს შემთხვევა, შესაძლოა, რეიმონტის ტოჩილოვსკასთან მიმოწერის საიდუმლოს გამომეღავნებას უკავშირდება.

60. ცოლის სისუსტემ გამგზავრება შეაჩერა. ისინი 2 IX გაემგზავრნენ.

61. თანახმად ექიმის რჩევისა, რეიმონტების ოჯახმა მთელი დრო ნოემბრამდის ოტვოცკში გაატარა. შემდეგ ვარშავაში გადავიდნენ, „კარგად მოწყობილ ბინაში".

62. ნოველა „ვამპირი" გაცილებით გვიან, 1911 წელს დაიბეჭდა. დაისის მოკლე დახასიათება წერილში ნათელს ჰფენს რეიმონტის ურთიერთობას ნამდვილად არამიწიერ და უგრძნობ არსებასთან, რომელიც ამ ნოველაშია გამოყენებული.

63. ვანდა ხშირად სთხოვდა რეიმონტს წერილების უკან დაბრუნებას.

64. ზაკოპანესა და პორონინოში გაგზავნილ წერილებს სიმბოლურად აწერდნენ „ვანდა — კრაკოვი".

65. მწერლის მკვეთრი გაღიზიანება, რაც გამოსჭვივის შემდგომი წერილებიდანაც, იმ ინტრიგის შედეგია, რის შესახებაც ლაპარაკია ოცდამეათე წერილში.

66. ვანდას საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნება შესაძლოა საკუთარი ინტერესებით იყო ნაკარნახევი. მას სურდა ენახა რეიმონტი და დაედანაშაულებინა თავისი ნათესავების და ნაცნობების წრეში ჭორების გავრცელებისათვის.

67. ახსნა-განმარტება იხ. ოცდამეათე წერილში.

68. ეს წერილები ასედაც დარჩა დაცული. იხ. 32 წერილი.

69. იგულისხმება 26 ნოემბერს გაგზავნილი წერილი.

70. სავარაუდოა, რომ ეს უკავშირდება იან კასპროვიჩის ხსენებას 27 წერილში.

71. პიროვნება გამოუცნობია. ლეგენდა შესაძლებელია ეხება რეიმონტის რომანს ვანდა შჩუკოვასთან ზაკოპანეში 1900 წელს.

72. პარიზში გამგზავრება რეიმონტმა აპრილში მოახერხა.

73. ვანდასადმი ბოლო წერილი რეიმონტმა 1 ოქტომბერს დაწერა. ამგვარად ექვსი კვირა გავიდა, ვიდრე სიჩუმეს დაარღვევდა.

74. ვანდა რეიმონტის მისადმი სიყვარულზე აზრს გამოსთქვამს ზენონ პრეესმიცკისადმი 1932-1935 წლებში გაგზავნილ წერილებში. იგი აღნიშნავდა რომ ისეთი სიყვარული, როგორადაც რეიმონტი ოცნებობდა, არ არსებობს. მაგრამ ვანდა ამ აზრს გამოსთქვამს რეიმონტის წერილების დაწერიდან 20 წლის გასვლის შემდეგ და თანაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

75. წერილები საერთოდ აღარ გადაუგზავნია. იხ. 34 წერილი.

76. რადგან რეიმონტმა ვანდას მისი წერილები არ გაუგზავნა, აღარც საკუთარი წერილები მოუთხოვია. ოღონდ მათი განადგურება სთხოვა.

77. გაზეთ „ჟიტიე გრომადსკიეში" დაბეჭდილი მოთხრობა „დედის" გამო მწერალი დაადანაშაულეს და დასაჯეს.

78. რეიმონტს არ მოეპყრნენ მკაცრად. ნოემბრის დასაწყისში იგი გროდნოში ელზა ორჟეშკოვას ესტუმრა.

79. შესაძლო ამ მწარე მსჯელობის მიზანი ვანდაში სინანულის გაღვიძება იყო.

80. ყველაზე მეტად თავად რეიმონტი.

81. ბრმა ნაწლავის შეტევების გამო.

82. ეს თვეები რეიმონტმა უმთავრესად ზაკოპანეში გაატარა.

83. ისტორიული ტრილოგია „წელი 1794".

84. ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, ესპანეთის საზღვართან. რეიმონტი იქ 1906 წლის ივლის-აგვისტოში იმყოფებოდა.

85. სოფია ლუტოვსკა საზანოვების გვარის წარმომადგენელი იყო. პოეტი ქალის მეუღლე იყო ფილოსოფოსი ლუტოსლავსკი. სავარაუდოა რეიმონტი ხენდაის ესტუმრა 1911 წელს ესპანეთში ყოფნისას.

86. ეს მწარე ფიქრები წერილის საერთო კილოს არ ეთანხმება. წერილიდან ჩანს, რომ რეიმონტს აშკარა იმედი აქვს ძველი სიყვარულის დაბრუნებისა.

87. ამ ბარათების ბედი ჯერ კიდევ არაა ცნობილი.

88. რეიმონტმა შუამავლობისათვის თავის დის შვილს, მიჩესლავ იაკიმოვიჩს მიმართა. ფრაგმენტი წერილისა, რომელიც ვ. ტოჩილოვსკას ეხება შემდგომში ტუშით შელებეს (იკითხება გამჭოლ შუქზე). მ. იაკიმოვიჩი არცახონში სამკურნალოდ ყოფნისას ხშირად ნახულობდა ტოჩილოვსკებს.

89. კაზიმერუ ვოზნიცკი, მთარგმნელი და ლიტერატორი, ცხოვრობდა პარიზში.

90. მათი მეგობრობის შესახებ ვანდამ შესაძლოა იცოდა თავად რეიმონტისაგან რომელმაც რომანი „გლეხები" პრეესმიცკის მიუძღვნა.

91. რეიმონტის წერილები ვანდასადმი 1907-1912 წლებში და აგრეთვე მიჩესლავ იაკიმოვიჩის მიერ დახატული მისი პორტრეტი მხატვარმა ტოჩილოვსკების ოჯახს აჩუქა 1912 წელს არცახონში ყოფნისას.

92. 1923 წელს ვანდა ვილნიუსიდან ვარშავაში გადასახლდა, სადაც იმუამად მისი ვაჟიშვილები ცხოვრობდნენ.

93. სტეფან დემბი (1862-1939) — ვარშავის საჯარო ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი.

94. პორტრეტი ბიბლიოთეკის კოლექციისათვის იქნა შეძენილი. მომცრო, აკვარელით საკმაოდ კარგად შესრულებული სურათი დირექტორის საწერ მაგიდაზე იდო. დაიწვა ომის დროს.

95. სტ. დემბიმ ვ. ტოჩილოვსკას სიტყვა გადაუკრა ბიბლიოთეკის მიერ რეიმონტის წერილების შესყიდვის შესაძლებლობაზე.

96. ვანდა 1923 წ. დაქვრივდა. (მისი ქმარი 53 წლის მოკვდა) ორი წლის შემდეგ მისი შუათანა ვაჟიშვილი, იეჟი დაინვალიდდა. სკოლის დამამთავრებელი გამოცდების დროს ერთმა ფსიქიურად დაავადებულმა მოსწავლემ ყუმბარა გაისროლა, რომლის ნამსხვრევებიც იეჟის ფილტვში მოხვდა. გარდაიცვალა 1931 წელს.

97. იგულისხმება ბიბლიოთეკის მიერ 1931 წელს შეძენილი ფლორენციული ფსალმუნები.

98. ეს სათაური რეიმონტის 32 წერილშია ნახსენები.

99. ვანდამ ნამდვილად მოახდინა ზეგავლენა ნოველა „ვამპირის“ შექმნაზე. ამ ნოველამ დასრულებული სახე 1909 წელს მიიღო. ოღონდ დაისის სახე რეიმონტმა უფრო ადრე შექმნა და სათაურით „ბურუსი“ დაიბეჭდა 1904 წელს ჟურნალ „კურიერ ვარშავსკი“-ში . ვანდამ არ იცოდა ამის შესახებ, ვინაიდან რეიმონტი 1907 წელს გაიცნო. მწერალი საჭიროდ არ სთვლიდა თავისი წარსულის გახსენებას. პირიქით, ვარაუდობდა, რომ ნოველა საგანგებოდ თავისი შეყვარებულისათვის შექმნა.

100. ვანდას წერილების ერთი ნაწილი რეიმონტმა შეინახა.

101. წინა წერილის დაწერიდან წელიწადი გავიდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ ხნის მანძილზე ვანდასა და ზ. პრეესმიცკის შორის არსებობდა კონტაქტები, როგორც პირადად, ასევე ტელეფონით. ამას ადასტურებს აგრეთვე ვ. ტოჩილოვსკას მეხუთე წერილი.

102. ლუდვიგ ბერნაცკი — ქ. ლვოვის ოსოლენიუმის ბიბლიოთეკის დირექტორი.

103. რეიმონტის ქვრივის, ავრელიასაგან საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა

მწერლის კორესპონდენცია, აგრეთვე ამონაჭრები სამამულო და ადგილობრივი გაზეთებიდან. ეს ძვირფასი კოლექცია სამამულო ომის დროს დაიწვა. რეიმონტის კორესპონდენციის უმნიშვნელო ნაწილი დაბეჭდა ი. კრჟიჟანოვსკიმ: ვლადისლავ სტ. რეიმონტი, ლეკოი, 1937, აგრეთვე „ლიტერატურული მოძრაობანი", 1937 № 7-8; წერილების სახით გადარჩა ფრაგმენტული ასლების სახით ვიტოლდ კოტოვსკის სტატიაში: „რეიმონტის შემდგომი კატასტროფა", „ლიტერატურული მოგონებანი", 1947 წ. ტ. I, აგრეთვე წიგნში: „ქარში. რეიმონტის ახალგაზრდობა" ლოძი, 1979 წ.

104. პოლონეთის ლიტერატურული აკადემია დაარსდა 1933 წელს.

105. ალექსანდრა პილსუდსკა.

106. კაზიმერა ილაკოვიჩოვნა, პოეტი ქალი, მთარგმნელი, ავტორი წიგნისა „ლექსები მარშალ პილსუდსკიზე", ვარშავა 1936 წელი.

107. იოსებ პილსუდსკი (1867-1935) — 1920 წლიდან პოლონეთის მარშალი, ამ ქვეყნის უშუალო ხელმძღვანელი.

108. თადეუშ პინი (1972-1937) — ლიტერატურის ისტორიკოსი, გამომცემელი. ციპრიან ნორვიდის ქმნილებების გამოცემასთან დაკავშირებით პრეესმიცკიმ მის წინააღმდეგ პროცესი აღძრა და მოიგო 1935 წელს.

109. ზიგმუნდ შვეიკოვსკი (1894-1978) ლიტერატურის ისტორიკოსი, პრუსტის წერილების გამომცემელი.

Wydawnictwo "Intelekt" Tbilisi 1998

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ინტელექტში"
თბილისი, ილ ჭავჭავაძის №2 22 43 62; 29 31 33;